

ისტორიანი



„ოქეოს ნვითის“ კადაგი

„კახოველის შინელებები“ მისამის ხალი

საფრანგეთის
„ლენ(ჰ)ერაზიმის“
სათავაძოს

ჩოგონის ბაკუმავს
ორგონისიძეებ
ეს სტაციონი
სამინისტრო

კავკასიონთა
ტაბული –
ინგუშების
ბალასუბლება

ბიოჩიბი
საკაპიტანო
ოზი სახი

ყველ მეორე საკაპიტანო
ისტორიის არა

კოსტატი გამოსაზღვრები
დავით ალექსანდრეალი
8 წიგნები

ნიბნი 1

ფასი 3 ლარი

მიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი



10



6



8



14



26



34



38

საჩიტო

ახალი კიბები	
ხერცინის პირამიდის ახალი	
საიღუმლოვანი	
საფრანგეთის პირველი გურგონი	6-7
ხევის თავი „ამოცობილია“	8-9
ნორვეგიაში მინიკონფერენცია	10
საქართველოს საზოგადო	
როგორ გააჩვენს რეჯონიკიმა და	
სტალინება საინილო	11-13
ახეროვნები	
ვალი — „ოქროს ჭვეშის“ ქალაქი	14-20
სისხლისა წაცალევაზე	
კავკასიონის ტრაგედია	21-25
ილი ილიაზე	
დავით IV აღმაშენებელი	26-33
ბიობიაზე	
რაბინის მილედი — საფრანგეთის	
უკანასკნელი დედოფალი	34-37
კეხოთის სამსახური	
ქართველი ვალი ირავი	38-41



42



53



59



50



68



84



78

საქრიპტი

ხომია მცოდოლი თმის ცო

„ქართველი გონდლერი“ **42-49**

ბიზნესის ისტორია

ჯონ მორგანი — უულის ეპეთმგელი

ფველავა — სრულყოფილი „განეანა“

მსოფლიორიზმი

50-52

ჩვეულებითი სამართლი

სასამართლო... ეკლესიის მწორი **53-58**

ესპასი

დიდი იყო მოურავი?

გიორგი საბაპარის მრი სახე

59-67

სხვოვჩან

რამაზ ჩხითებაშვილი: არტისტი ძუნცია,

ისე არ მიავებას თავს,

გული არ დასტყდეს...

68-71

ჟავასის ხალხი

ჩახევადი ...

72-77

ცომის ისტორია

საფეხურთო „ღრა(ჰ)მატიზმის“

სამავალებთან

78-82

საკანონდი

ისტორიები

პილევაც დაიზრდებიან

83

84-90

ჩელაქორის სვეტი

წარმოშობით ქართველებმა, მაგრამ სულითა და საქმიანობით რუსმა პოლიტიკოსებმა, სერგო ორჯონიკიძემ და იოსებ სტალინმა, ყველაფერი გააგეოს, რათა საქართველოს თავისი ძირძველი ისტორიული ტერიტორიები – საინგილო და ლორე ჩამოსცილებოდა. რატომღაც ქართველ საზოგადოებაში ხშირად გაიგონებოდა, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ სერგო ორჯონიკიძემ მიიღო. „ისტორიანის“ მკითხველს მინდა განვუმარტო: არსებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1921 წლის ივლასში კავკასიის ბიურის იმ სხდომებს, სადაც კავკასიის რესპუბლიკის შორის ტერიტორიათა გამიჯვნა წყდებოდა, იოსებ სტალინიც ესწრებოდა.

საბჭოთა იმპერიაში ყოფნა მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა ტრაგედია. დიდი მსხვერპლი გაიღეს ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებმაც. განსაკუთრებით, ჩამნებმა და ინგუშებმა. 1944 წლიდან გერმანელებთან თანამშრომლობის საბაბით ინგუშები სამშობლოდან აყარეს და შუა აზიაში გადასახლეს. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ინგუშების ნაწილი საქართველოს შემოუერთდა და იქ ქართველები ჩაასახლეს. საბჭოთა კავშირის უძალლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის გადაწყვეტილებით, ინგუშებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. რაოდნენ გასაოცარიც უნდა იყოს, მათ ნაფუძარზე დაზვედრილმა ქართველებმა გადასახლებიდან ჩამოსულ ინგუშებს მხრუნველობის ხელი გაუწიდეს, ქონქა გაუვეს და ყოველგვარი ექსცესების გარეშე საქართველოში გამობრუნდნენ.

საბჭოთა აგრესიამ ათიათასობით ქართველი გადახვეწა ევროპასა თუ ამერიკაში. ერთ-ერთი მათგანი იყო მიხეილ კედია. ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს სტივენ სპილბერგის გახმაურებული დრამა „შინდლერის სია“, რომელმაც შვიდი ოსკარი დაიმსახურა. ეს ფილმი ცნობილი ავსტრალიელი წიგნის, „შინდლერის კიდობნის“ ეკრანიზაციაა. სიუჟეტი კი ერთდროულად მძიმეცა და გასაოცარიც, თუ როგორ შეძლო ერთმა გერმანელმა მეწარმემ, დალუპვისგან ქსნა 1200-მდე ებრაელი... მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ თურმე ქართველებსაც გვეოლია „ჩვენი შინდლერი“ — მიხეილ კედია, რომელმაც ათასობით ებრაელი იხსნა ნაციისტთა სამსჯავროსგან.



ხშირად ბაიბონები, ჩომ ზუამარისა ეს ცოჩის ლაპარაკა მხოცეო მიხმიასიდის სინეისჩენი, ასე აა აჩის...

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშავა

რედაქტორი
გვლა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

არტრედაქტორი
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
**ალექსანდრე ბოშემვილი
ოქროპირი ჯიქური
ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:
**ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ


რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადახელდება აკრძალულია

სირამიდის ახალი საიდუმლოებანი

ფრანგი არქიტექტორი ეან-პიერ ჰოუდინი ამტკიცებს, რომ ვიზის დიად პირამიდას, რომელიც ხეოფთის პირამიდის სახელითაა ცნობილი, ორი საიდუმლო ოთანი უნდა პქონდეს, რომელთა არსებობის შესახებ ამ დრომდე არავინ არაფერი იცოდა. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ ოთახებში უკვიდი ინახება, რომელიც გარდაცვლილ ფარაონს იმ ქვეშად უნდა „გამოყენებისაა“.

ძველი შშენებლების საიდუმლოებანი უკვე 5 ათასწლეულზე მეტია, მკვლევრებს მოსკვენების საშუალებას არ აძლევს. „მსოფლიო საოცრების“ აგება XXI საუკუნის სატვირთოებითა და პიდრაცლიკური ამწევბითაც კი არ იქნებოდა ადვილი. 147-მეტრიანი კონსტრუქცია 2,5-დან 15 ტონამდე წონის დეტალებისაგან შედგება.

პასუხი კითხვაზე — როგორ მოახერხეს შშენებლებმა ძველი წელთაღრიცხვის XXVI



დიდი
გალერეა
ხეოფთის
პირამიდაში

საუკუნეში პირამიდის აგება, ფარაონ ხეოფთის ერთგულმა მსახურებმა მომავალ თაობებს თავსატეხად დაუტოვეს.

ამ თავსატეხში გარკვევა პირველად ბერძენმა ისტორიკომა პეროდოტემ სცადა. ეგვიპტე მან ჩვენს წელთაღრიცხვამდე 450 წელს მოინახულა. ისტორიკომა იყარაუდა, რომ მონები ლოდებს ერთი საფეხურიდან მეორეზე სისგან დამზადებული სამშენებლო მანქანებით სწევდნენ. თუმცა არ განუმარ-



პირამიდის მიმდევის სამგანზომილებიანი გაძიახულება, რომლის თანაბეჭდ, პირამიდის შიგნით სიცარისულები ნაგებობის სპირალისებურადა განთავსებული

ტავს, რა სახის მანქანა შეიძლებოდა ყოფილიყო.

პირამიდების მშენებლობის გამოცანის ამოხსნა ჩვენს დროში ერთგვარ ინტელექტუალურ შეჯიბრად იქცა. პიპოთება მრავალია და ყველა ორიგინალური. ერთი მითჩვენ, რომ ლოდებს საპარო გველების დახმარებით სწორდნენ. მეორენი ირწმუნებიან, რომ პალმის ნაცრის, დაფშვნილი ქვიშაქვისა და მდინარე ნილოსის წყლიდან მიღებული სპეციალური გამაფხვიერუბლისგან დაშაბდებული ნარევი მაღლა სათლებით აპერიდათ და ლოდის ფორმის სპეციალურ ყალიბში ასხამდნენ.

ფრანგი ქიმიკოსი ჟოზეფ დავიდოვიცი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთ ასეთ ხელოვნურ ლოდში ადამიანის თმაც იპოვა. თუმცა მას არავინ დაუკვრა.

არიან ისეთებიც, ვინც პირამიდების მშენებლობაში „ეჭვმიტანილად“ უცხოპლანეტელებს მიიჩნევნ. ისინი ფიქრობენ, რომ მშენებლებს პირამიდების აგება აიძულეს ან ასწავლეს, მაგრამ მათ საკუთარი ანტიგრავიტაციული ტექნიკით დაქმარნენ.

გრავიტაციული ანომალიები

საფრანგეთის აეროკსემოსური კვლევების ცენტრის არქივში, თითქმის 20 წლის განმავლობაში მტვერი ედი 1986 წელს განხორციელებული ექსპერიმენტის შედეგებს, რომლის მიზანიც ხეოფსის პირამიდის მიკროგრავიტაციული ანომალიების აღმოჩენა იყო.

უან-პიერ პოუდინის განცხადებით, ექსპერიმენტის შედეგები მოწმობს, რომ პირამიდის შიგნით არსებობს სიცარიელები, რომელიც ნაგებობაში სპირალისებურად არის განთავსებული.

„მაშინ ამას ახსნა ვერ მოუძებნეს, მაგრამ ახლა სპირალების განლაგება საგარაუდო საყრდენებს შევადარე და ისინი ერთმანეთს ემთხვება. გამორიცხული არ არის, რომ საყრდენები კვდლიდან ორ-სამ მეტრში ახლაც შენარჩუნებულია. საჭიროა გვაიტელები დაგარწმუნოთ, რომ საყრდენებამდე მიგდლიოთ, თუმცაც პირამიდის ერთ-ერთი მხარის გახვრუტით“, — ამბობს ფრანგი არქიტექტორი.

6.4 მლენ ტონიანი პოლოსი

პირამიდა ნაწილობრივ უკვე ჩამოშლილია და მისი სიმაღლე ახლა არა 147, არამედ 137,2 მეტრია. სიგანე კი 230 მეტრი. ნაგებობის მოცულობა დაახლოებით 2521000 კუბური მეტრია. საძირკვლის ფართობი — 53 ათასი კვადრატული მეტრი. წონა კი 6,4 მლნ ტონაა.

კონსტრუქცია ქვის 2,3 მლნ კუბისგან შედგება. მათი საშუალო წონა 2,5 ტონაა. არის მიმე, 15-ტონანი ლოდებიც.

გიზის პირამიდა ძეველი წელთაღრიცხვის XXVI საუკუნეში, ფარაონ ხეოფსის პერიოდში (ძვ.წ. 2590-2568 წწ.) ააგეს. ის მსოფლიოს შეიდ საოცრებათაგან ერთ-ერთია და მათგან ერთადერთი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

„ჯრონიუსის“ მასალების მიზედვით

ფრანგი არქიტექტორი
უან-პიერ პოუდინი ხეოფსის
პირამიდის კვდლებას



მეფე ანრი IV-ის
ძველებულობის სცენა



საფრანგეთის პირველი პუნქტი გაფის თავი „ამოცობილია“

საფრანგეთის მეფე ანრი IV როგორც იქნა, სიშვიდეს „მოიპოვებს“. ბურბონთა დანასტიის დამფუძნებლის ნაწილებს, ქრძოლ, ბალზამიუბჟელ თავს სენ-დენის ბაზილიკაში გადასცენებენ. მისი ნამდვილობა ფრანგ ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომელსაც ცნობილა პათოლოგიანატომი ფილიპ შარლე ხელმძღვანელობდა.

სამი წლის წინ სწორედ შარლემ გაარკვია, რომ შინონის ციხესიმაგრეში არა უან დ'არკის ნაწილები, არამედ ეგვიპტური მუმიას ნარჩენები ინახებოდა.



ანრი IV-ის თავის ქადაგისგან აღღენილი გამოსახულება



ჟურნალისტი შტეფან გაბე, რომელმაც მონარქის თავი ერთ-ერთი ანტიკვარის საცავში შემოტვევით აღმოაჩინა, ეკიპა:


„გვითხრუს, რომ მასალის არარსებობის გამო დნმ-ის ანალიზი შეუძლებელი იყო. მხოლოდ მას შემდევ ამოვისუნთქეთ შვებით, რაც ანთროპოლოგებმა კომპიუტერის დახმარებით, თავის ქალის მაკვტით შექმნეს სახის ციფრული მოდელი. ეს ანრი IV-ის ორული იყო. სალიც ზუსტად იმ ადგილას ჰქონდა, სადაც ანრი IV-ს, ისე-თოვე იარა ტუჩზე. სწორედ მაშინ დაუკარგეთ, რომ შესაძლოა ეს მართლაც რაღაცას ნიშნავდა“.

ფილიპ შარლე: „ანრი IV-ის დნმ-ის ნიმუში მართლაც არ გვქონია, მაგრამ არაერთი სხვა მტკიცებულების შეგროვება მოვახერხეთ. 30-მდე მტკიცებულება მაინც გვაქს, რომ ეს ანრი IV-ის თავია და არ არსებობს არც ერთი არგუმენტი, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა. ამიტომ ჩვენს დასკვნაში დარწმუნებული ვართ“.

ბურბონთა დინასტიის დამარსებელი, ანრი IV დიდი ნაგარელი, 1589 წელს საფრანგეთის ტახტზე ასკლამდე რელიგიურ ომებში იყო ჩართული. 1598 წელს მისი წყალობით დადებული ნანტის ედიქტი პროტესტანტების რელიგიის თვეისუფლების გარანტი გახდა, რამაც საფრანგეთში სამოქალაქო ომს ბოლო მოუდღო.

გამეფების შემდეგ მან რწმენა კალვინზე-მიდან კათოლიკობაზე შეიცვალა, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საფრანგეთის ერთ-ერთი კველაზე პოპულარული მეფე როგორც მისი მმართველობის პერიოდში, ასევე შემდეგაც, ანრი ქვეშვერდომთა კეთილდღეობაზე ზრუნავდა და იმ დროისთვის უჩვეულო რელიგიურ ტოლერანტობას იჩენდა. მეტსახელად „ანრი დიდე“ საფრანგეთში ხანდახან „კეთილ მეფე ანრის“ უწოდებდნენ, ან „მწვანე გლოანტს“ მექალთანეობის გამო.

ანრი IV-ის სახელი ქროდა არქიტექტურის სტილს, რომელსაც ის მფარველობდა. პარიზის მრავალი დიორმესანიშნაობა ანრი IV-ის აგებულია, მათ შორის ახალი წილი, ვოგეზთა სასახლე და ლუვრის დიდი გალერეა.



საფრანგეთის პირველი ბურბონი მონარქი კათოლიკე ფანატიკოსმა ფრანსუა რავალი-აქმა 1610 წელს მოკლა. ანრი IV პარიზის ახლოს, სან-დენის სამეცნი ბაზილიკაში დაკრძალეს. 1793 წელს რევოლუციის მომხრეებმა კველა მონარქის, მათ შორის ანრი IV-ის საფლავიც დაარბიეს და საძალედან ნაწილები ამოჟარეს.

მონარქის მოკვეთილი თვი ერთ-ერთმა მონარქისტმა გადამატა. ის ერთი კოლექციონერიდან მეორის სელში რამდენჯერმე გადავიდა.... „სი-ნეტის“ მასლუების ძიხვევით



ნორვეგიაში ეინიაროვანი ჯდომარინის

ნორვეგიაში არქეოლოგებმა წეოლითის ხანის პომპეის ანალოგი აღმოაჩინეს. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ კრისტიანსენთან ნაპოვნია დასახლება, რომლის ასაკიც 5500 წელია. როგორც წესი, ქვის ხანის დასახლებული ჯუნქტები ცუდად არის ხოლმე შემონახული, მაგრამ ამ ნასახლარმა ჩვენამდე შესანიშნავ მდგომარეობაში მოაღწია. იმის წყალობით, რომ ქვიშის მეტრიანი ფენა ფარავდა.

ოსლოს უნივერსიტეტთან არქებული კულტურის ისტორიის განყოფილების თანამშრომლები მდინარე ტოპდალსელვსა და ჩრდილოეთის ზღვას შორის ციხესიმაგრის მსგავს ნაგებობას წაწყდნენ. 30-მეტრიანი კედელი ქვიშის, ლამისა და თიხის ნარევისგანაა აგებული. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ის ხის საფუძველს ემყარება. ნაგებობების ნაწილი მასიური ქვებისგანაა დაშანადებული. ისინი აქ შორიდან უნდა მოეტანათ.

აღმოჩენილია ჭურჭლის ნამსხვრევები, რომელიაგან ბევრის აღდგენა შესაძლებელია.

**ნაბრისებრი თასის კულტურის პერიოდის
ნიმუში, დაცულია ოსლოს მუზეუმში**



ისინი მდიდარია ორნამენტებით, ძირითადად თოკის ანაბეჭდებით. ამან საშუალება მისცა მეცნიერებს დასახლება გვიანნეოლითური ძაბრისებრი თასების კულტურისთვის მიეკუთვნებინათ, რომელიც ვეროპის ჩრდილოეთში ძვ.წ. 4000-2700 წლებში იყო გაფრცელებული.

ძაბრისებრი თასების კულტურის უძველესი ნიმუშები ხასიათდება სფერული ფორმითა და ცუდად დიფერენცირებული ყელით (ძაბლოებით ძვ.წ. 4450 წ.) უფრო გვიანდელ კლასიკურ ფაზაში (ძვ.წ. 3700-3300 წწ.) გაბატონდა ორნამენტები მკაფიო პროფილირებით. გვიან ფაზაში (ძვ.წ. 3300-3100 წწ.) ჭურჭლის პროფილები გახდა უფრო რბილი, გლუვი და ორნამენტებით უფრო მდიდარი, როგორიცაა თოკის ანაბეჭდები.

თავად დასახლება ძვ.წ. 4000-3600 წლებში არსებობდა, მაგრამ სეზონური იყო. აშკარაა, რომ ადამიანები აქ თავის ნივთებსა და ჭურჭელს იმ იმედით ტოვებდნენ, რომ მათ გამოყენებას შემდეგშიც შეძლებდნენ. მაგრამ მოხდა რაღაც კატასტროფა, რომლის შესახებაც მეცნიერებს ზედა ფენა მიანიშნებს.

სინამდვილესთან ეველაზე ახლოს უნდა იყოს გერისა, რომ დასახლება მომიჯნავე მდინარეებ დატბორა და ჩახერგა. არსებობს მტკიცებულებები, რომ ყველაფერი მეტად სწრაფად მოხდა. კატასტროფის შემდეგ ადამიანებს ამ დასახლებაში აღარ უცხოვიათ.

დასახლებას რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ეკავა. თუმცა არქეოლოგებმა ჯერ მხოლოდ 500 მეტრი გათხარეს. რადგან ლამი და თიხა ხეს კარგად ინახავს, იმედოვნებენ, რომ ღირებულ მასალას მიაკვლევენ.

Discovery News-ის მასალების მიხედვით

როგორ ჩაიწარი როკოკოკიძე და სტალინი სიცილი

აზერბაიჯანის დემოკრატიული
რესუბლიკის არმიის აღლუმი



1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ საქართველოს მსგავსად დამოუკიდებლობა აზერბაიჯანმაც გამოაცხადა. 28 მაისს თბილისში, მთავარმმართებლის ყოფილ სასახლეში ამიერკავკასიის ფედერაციის სეიმში აზერბაიჯანის დეპუტაცია და სახოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. კრებამ ერთხმად მიიღო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი. აირჩიეს მთავრობა, რომელიც მოგვიანებით სამუშაოდ ბაქეში გადავიდა.

1919 წლს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, ამიერკავკასიის სხვა რესუბლიკების დარად, აზერბაიჯანის მთავრობამაც წარადგინა თავისი მოთხოვნები და საგანგებო მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რა საზღვრებში ესახებოდა მუსავატების მთავრობა პარტიას მომავლი აზერბაიჯანის რესპუბლიკის არსებობა. მოხსენების მიხედვით, „აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულოს საინგილო (ზაქათალა), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი. მაშასადამე, უძველესი ქართული ტერიტორიების გარდა, აზერბაიჯანი მოითხოვდა, აგრეთვე, მესხეთის ბათუმითურთ“ (ვიქტორ ნოზაძე).

ადვილი მისახვედრია აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა გათვლა. ისინი იმ ქართულ პროვინციებს აღებდნენ ხელს, რომლის მოსახლეობას მუსლიმი ქართველები შეადგენდნენ. ამდენად, მათი მოთხოვნა უპირველესად რელიგიურ პრინციპებს ემყარებოდა. ამასთანავე, ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში აზერბაიჯანს ზღვაზე გასასვლელი ეძღვოდა, რაც ესოდენ ესაჭიროებოდა ამ ქვეყანას.

საერთოდ, როგორც აზერბაიჯანი, ასევე სომხეთიც, ყოველთვის ცდილობდა თავისი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მთმართ ისე ჩამოყალიბებინა, რომ წარმატების შემთხვევაში ზღვაზე გასასვლელი მოექოვდინათ.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. 28 აპრილს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრი „თხოვნით“ რუსეთის მთავრობამ ბაქეში ჯარი შეიყვანა და თავისი დიქტატურა დამყარა. ამავე დროს, აზერბაიჯანის რევგომა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში ხელი მოწეურა რუსეთსა და საქართველოს მორის სახაზე.



წითული არმიის შესვლა ბაქიში. 1920 წ.

ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა ოფიციალურად აღიარა ზაქათალის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „რუსეთი გალდეტულობს, უკველად ცნოს საქართველოს შემადგენლობაში: ზაქათალისა და სოხუმის ოლქები“.

სერგო ორჯონიძე



ვინაიდან იმხანად ბაქოში რუსეთის პროტექტორატის „ქვეშ“ მყოფი საბჭოთა მთავრობა იყო მოკალათებული, ამ უკანასკნელმა, ბუნებრივია, ცნო ზაქათალის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ „საქართველოს კონსტიტუციაში“ უკვე ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ ზაქათალის ოლქი წარმოადგნდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს და მას ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება ენიჭებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანს, სომხეთის მსგავსად, არ გამოუჩენია დიდი ენთუზიაზმი სადაც ტერიტორიების შემოსაერთებლად, ამიტრავგასისის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სადაც საზღვრების მოსაწესრიგებლად.

1921 წლის 2 მაისს რეპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ შექმნა საგნგებო, შემათანხმებელი კომისია, რომლის 26 ივნისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „კომისია გადადის მორიგი საკითხის — საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის გაფლების საკითხის განხილვაზე. ზაქათალის ოლქისა და ფარაიაზის უბნის სა-

კითხებზე შემდეგი მოღუსი შეიმუშავეს: პოლიტიკური მოსაზრებით, აზერბაიჯანის სსრ პრეზენტისას არ აცხადებს, იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავოდ უფლება აქვთ ფაქტობრივად, ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებით და სხვა საყარულებით), რომლებსაც მეფისა და მეჩევიების რეებიმის დროს ფლობდნენ“ (აღნიშნული დოკუმენტი მოიძია ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლევან თოიძემ და პირველად მან შემოიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში).


თითქოს ამ ჩანაწერიდან ისე ჩანს, რომ აზერბაიჯანის სსრ-ს ტერიტორიული პრეტენზიები არ ჰქონდა საქართველოსთან, მაგრამ რამდენიმე თვეში ვითარება კარდინალურად შეიცვალა, ისევ და ისევ „ზემოდინ დაწოლით“. საქმე ის არის, რომ ამ დროს რგბ(ბ) ცპ-ის კავკასიის ბიუროს სხდომას ესწრებოდა მოსკოვიდან ახლად ჩამოსული იოსებ სტალინი. სწორედ ოჯგონიერება და სტალინის შორის შეთანხმების შედეგად საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს ძირმების კუთხის, საინგილოს აზერბაიჯანისადმი გადაცემა. 1921 წლის 5 ივლისს გაირკვა, რომ ზაქათალა და ყარააბის უბანი აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა. მოგვიანებით, 1921 წლის 15 ნოემბერს, ეს



თავებ სტალინი

თავს მოხვეული შეთანხმება დაამტკიცა ბუდუ მდივანისა და მუხტარ გაჯივის ხელმოწერამ. მთლიანად, 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა 4768 კვებ ფართობი, აქედან ზაქათალის ოლქი მოიცავდა 3564 კვებ-ს, გარეჯის ველი და ქვემო ყარააბის სექტორი — 658 კვებ-ს, ელარის ველი 546 კვებ-ს. ■

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 1921 წლისთვის. საქართველოს ისტორიის ატლასიდან





ვანი — „ოქროს ცვიმის“ ქალაქი...



**დღეს
კოლეური
საგანძურო
სამოგზაურია**



„თუ რაოდენ ხახულგანთქმული იყო
ძველად ეს ქვეყანა, ამას მოწოდს მითუბი
იაზონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე
ადრე — ფრიესეს ლაშქრობაზე... ამ
ქვეყნის სიძლიდონე ოქროთ, კურც ხლითა
და რკინით იყო ნამდვილი მაზეზი ამ
ლაშქრობებისა“.

სტრაბონი, ძვ. წ. I ს-ის ბერძენი
გეოგრაფიი და ისტორიკოსი

„არს ადგილი ესე უძეტესადცა ნაყოფიე-
რი და ბარი...“ — ასე აღწერდა ვახუშტი ბა-
ტონიშვილი საჩინოს, რომელსაც შემდგომ ვა-
ნი ქრისტ. XIX საუკუნის შეა ხანგბში დაუ-
კერტებელ ამბებს ყველოდნენ იმერეთში, სო-
ფელ საჩინოში ნაპოვნ ენით აუწერელ ოქროს
ნივთებსა თუ პატიოსან თვლებზე... თვალსა-
ჩინოებისთვის ვრცელი ნაწყვეტი მოგვყას გა-
ზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ვინებ სხვი-
ტორელის წერილიდან: „ისე წვიმა არ მოვა,
რომ ახვლევდიანების კარებთან არ ჩამოიტა-
ნოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან

ოქროს ძეწვი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნიუთეულები... ამ ახვლედინებს (აზნაურები იყვნენ. — ნ.შ.) და რამოღნიმე გლეხს გუთვნის ერთი გორა, რომელიც იქნება სიღრცით 15 ქცევამდე. ამ გორის ძირში დასახლდნენ 3 კომლი ახვლედიანები. როდესაც დაუწევს თხრა სახლის ბალავერს — ნახეს, რომ ამ გორას ჰქონია ძელად გალავანი გარშემო შემოვლებული სულ წმინდა თლილი ქვით და შემდგეში მიწას დაუფარუვს. ერთ ადგილას იპოვეს სასაფლაო ქვით გირით ამოშენებული და შიგ ჯაჭვით დაბმული კაცის გვამი. ეს კაცი ნამდვილ ზღაპარ-მოთხრობით გმირი ყოფილა. პირველ საფლავის გახსნაზე ნამდვილად სჩანდა კაცის სიმაღლე და მოყვანილობა. საშინელი საოცარი ჯაჭვი რგოლით კისერზე ეცვა და ოკინის პალოზე მიბმული იყო ფქის წვევის ძეგლით, კოჭიდან კვირის საფარი თითქმის ერთი აღაბი სიგრძე პქონდა. რამოღნიმე საათის შემდეგ, როდესაც ჰაერმა დაკრა, მტვრად წავიდა, გაპქრა, მხოლოდ დარჩა ჯაჭვი და ერთი კბილი... ჩვენდა სამწუხაროდ, რადგანაც ის გორა ეკუთვნის ბევრს და საზიარო არის, ამისათვის, რაც უნდა იპოვნონ, ერთი მეორეს უმაღლეს და ჩუმად ყიდის ვაჭრებში... როგორც სჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში. ვინ იცის, რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპული და რამდენი კიდევ იპოვება ამ გორაში“.

ამგვარ ამბებს მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებამდეც მიუღწვია. შედეგმაც არ დააყოვნა და 1889 წელს რუსეთის იმპერიის შავიზღვისპირა ქვექინის მანამდე უცნობ პატარა დაბაში არქეოლოგიურ გათხრებს იწყებს ცნობილი მხარეთმცოდნე ალექსანდრე სტოიანოვი. მის მიერ აღმოჩენილ „ძელი ბერძნული დროის საფლავებს“ არაერთი ოქროს ნივთი ამოპოლია. წარმოშობით ბელგარეულ სტოიანოვს ფრანგი იაკობი მოჰყვა, თუმცა კი ბევრი ვერაფერი უპოვია...

შეიძინ წლის შემდეგ ვანში ქართული კულტურის მოამაგვ, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი იწყებს გათხრებს. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, იგი გახლდათ იმდროინათვის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელსაც მოსკოვში „ნება დართო“ ვანში ქარმოებინა გათხრები(!). პირველმა ექვთიმე თაყაიშვილმა დაასკვნა, რომ ვანის საგანძურის უმეტესი წილი აქვე ნაკეთებია, და „რც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანი-



აზწვი. ბრინჯაოს ქანდაკება — ძვ. II ს.



ნაშვ. ბრინჯაოს ქანდაკება — ძვ. II ს.

ლი. ძელი ვანის ნიადაგს ყოველგან ემზნება ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქაბიაში, რომელიც ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი უკლის გორაკს. ქალები და ბაგშეები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას...“

მას აქეთ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. რუსეთიაპონიის ოშმა და რეგოლუციებმა ვანის არქეოლოგიური შესწავლა უკანა პლაზე გადასწია, თუმცა კი ერთმანეთს ენაცვლებოდა ლეგენდასავით მოარული ამბები ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი აურაცხელი სიმღიდოის შესახებ. 20-იან წლებში ერთ-ერთ ახვლედიანს მიწის დასამუშავებლად სვანები დაუქირავებდა. მთელი ორი თვე უმუშავიათ, ერთ დილით კი დასახედად მისულ

პრეოლოგია

პატრონს არ დახვედრიან, გასამრჯელოც არ აუღიათ, ისე გაქცეულან, თან უამრავი ოქროს ნივთი გაუყოლებათ...

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კი 1929 წლიდან იწყება პირველი ნივთების შემოსვლა ვანიდან. 1936 წელს პირველ სადაზვერვო სამუშაოებს ვანში აკადემიკოსი ნიკო ბერძნიშვილი წარმართავდა. არქეოლოგიური ექსპედიცია კი ვანში პირველად 1947 წელს ჩავიდა პირველი არქეოლოგი ქალის, პროფესორ ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით.

აკადემიკოს თარო ლორთქიფანიძის ჩანაწერებიდან: „ექსპედიციამ პირველი გათხრები ახვლედიანების გორის წკერზე ჩაატარა და პირველოვე ნაბიჯები დიდი მეცნიერული აღმოჩენებით აღინიშნა. გაითხარა ქვის 8-საუკურიანი საკურთხეველი, აღმოჩნდა ძვ. წ. III-I საუკუნეების საკულტო ნაგებობანი და მრავალმხრივ საინტერესო სამი სამარხი. პირველი — ქვერში დაკრძალული ქალისა, რომელსაც ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულები აღმოაჩნდა (ხატისუღელი, სასაფეთქლები, სამაჯურები, მინიატიურული ზანზალაკები), ვერცხლისა და თიხის ჭურჭლეული, აგრუთვე კოლხური ვერცხლის ფულები (ე.წ. კოლხური ოური).“


მეორე სამარხი მამაკაცისა იყო. ფურადღებას იქცვდა მძლავრი ზანძრისგან გაშვებული ფენა და იქვე მრავლად ნაპოენი ბრინჯაოს ჯავშნის ფირფიტები. ამან ნინო ხოშტარიას აფიქრებინა, რომ მიცვალებული საჭურველთა ერთად დაუწევათ.

ამ ორ სამარხს შორის კლდეში ნაკვეთ პატარა ორმოში დაკრძალული აღმოჩნდა... რკინის კაცი! — რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის რამდენადმე სქემატური ფიგურა. მას ოქროს საფურე პქონდა შებმული, ყელზე კი — ზატისუღელი. მუშეუმის გამოფენაზე დგას ახლა ძვ. წ. III საუკუნის ეს ვანელი რკინის კაცი და ახლაც აღელვებს მეცნიერსაც და სხვასაც: ვინა იგი? დვთაება თუ უცხო ქვეპანაში დაღუპული ადამიანის სიმბოლური გამოსახულება და ამიტომაც, ადამიანივით დაკრძალულია“.

ერთმანეთის მიყოლებით იხსნებოდა ახალი სამარხები. ვანი არქეოლოგთა ფურადღების ცენტრში მოექცა. ნინო ხოშტარიას გარდაცვალების შემდეგ ექსპედიციას მთელი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი თარო ლორთქიფანიძე. სწორედ ამ პერიოდში მოიპოვა ვანის აღმოჩენებმა მსოფ-



ექვთიმე თაფაიშვილი



თარო ლორთქიფანიძე

ლით აღიარება. ვანში ხშირად იმართულდა საერთაშორისო კონგრესები, აქვე შეიქმნა თანამედროვე ტიპის მუზეუმი.

ვანის ნაქალაქარზე უწყვეტი ცხოვრება დადგენილია ძვ. წ. VIII-I საუკუნეებში. არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესწავლამ ცხადო, რომ ვანი კოლხეთის მნიშვნელოვანი რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი იყო განუმეორებელი არქიტექტურით, მრავალდარგიანი ხელოსნური წარმოებით. უტყუარია ისიც, რომ ვანში უნდა არსებულიყო პროფესიონალ ხელოსნათა ძლიერი სკოლა, სადაც იქმნებოდა უნიკალური კოლხური სტილის ოქრომჭედლობის განუმეორებელი ნიმუშები.

1969 წელს კი ახვლედიანების გორაზე, ქსენია გიორგაძის ნაენასარში წარჩინებული კოლხი ქალის სამართის აღმოჩენამ რომ იტყვიან, ერთსაშად გადატრიალება მოახდინა ქართულ არქეოლოგიაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 2003-2004 წლების აღმოჩენები, რომელთა შესახებ გვესაუბრება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქალბატონი დარმაზან გაჭარბაშვილის მართავდნენ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 2003-2004 წლების აღმოჩენები, რომელთა შესახებ გვესაუბრება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქალბატონი დარმაზან გაჭარბაშვილის მართავდნენ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 2003-2004 წლების აღმოჩენების თავის დროზე მიუუძღვენით ექსპოზიცია, რომელსაც სახელწოდებაც შესაფერისი ჰქონდა: „ოქრომრავალი კოლხეთი — მითი და რეალობა“... ეს გახლდათ პირველი ცდა, ახლებურად წარმოგვედგინა ჩენი ეროვნული სიმძიდრე, ექსპოზიციაში ჩაგვერთოთ თანამედროვე მხატვრული ხერხები და ტექნოლოგიები. ამაში სცენოგრაფი გურამ მელივა დაგვეხმარა. დამთვალიერებელი დარბაზში ისე შემოდიოდა, როგორც თეატრში. ოდონდ იმ განსხვავებით, რომ აქ სპექტაკლის „მთავარი გმირები“ ჩვენი უძველესი წინაპრის უძიდიდრესი და უნიკალური ნაკორობებია. 2003 წლის ძიდიდრული სამართი ძვ. წ. IV საუკუნეს განეკუთვნება და მასში ნაპოვნი იქროს ნივთები კვლავ ადასტურებენ თქრომრავალი კოლხეთის რეალობას. ამავე საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება 2004 წელს აღმოჩენილი დიდგვაროვნის (სავარაუდო, ქალის) სამართი. გარდა ინვერტარისა, მიცვალებულისთვის ჩაუტანებით ოთხი მსახური და ცხენი. აღმოჩენილია როგორც ადგილობრივი ნაკეთობანი, ასევე ათენში დამზადებული მოხატული თიხის ჭურჭელი, ჰერაკლეის ამფორები. ეს მიანიშნებს, რომ ვანი წარმოადგენდა ანტიკური ხანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს, სადაც თავს იყრიდა ბერძული სამ-



თავსამკაული. ძვ. წ. V ს.

ეროვნული შემოტანილი საუკეთესო ნაწარმი. სავარაუდო ისიც, რომ შეიძლება ამ ნივთთა ერთი ნაწილი უცხო ქვეყნის დიდებულთა ძღვენიც იყოს...

— ამ აღმოჩენებმა აღბათ კიდვე ერთხელ ცხადო, რომ რაც დრო გადის, მითი ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ სულ უფრო რეალური ხდება...

— კოლხეთი რომ იქრომრავალია, ეს მართლაც რეალობაა. მაგრამ რაც დრო გადის, ასევე რეალური ხდება არგონავტიკის ისტორიაც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ თვით არისტოტელე ასე მოიხსენიებდა ეპიტაფიაში კოლხეთში დაგრძალულ აიეტს: „ოქროთი მდიდარი კოლხების მეუე აიეტი ღმერთის კოვლის სმძლე სვეტ გააპატიონსა“.

ბოლო წლებში მსოფლიო კულტურული საზოგადოება „ოქრომრავალი კოლხეთის“ საგანმურზე ისევ ალაპარაკდა. ეს ერთგვარი გამომდახილია იმ ტრიუმფალური ტურნესი, რომლის შესახებაც გვესაუბრება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის პროფესორი, პალეოარქოლოგი და პიროვნეული მდიდარი კოლხების მეუე აიეტი ღმერთის კოვლის სმძლე სვეტ გააპატიონსა:

— ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო დროებით დაიხურა. სწორედ მაშინ შემუშავდა რამდენიმე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამ სამუშა-



კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმი
საქართველოს მუზეუმის შტატის მუზეუმი

ოქბის დასრულებამდე კოლექციების საზღვარი წარდგენას. 2007 წელს დაიწყო ვანის საგანძუროს ტრიუმფალური ტურნე, „ოქტომბრაული კოლხეთის“ საგანძურომა მოიარა მსოფლიოს 12 წამყანი მუზეუმი, მათ შორის ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების აღტეს მუზეუმი; აღმოსაფლავრი ხელოვნების მუზეუმი ნიკაში; ფულის მუზეუმი პარიზში; ბენაკის მუზეუმი ათენში; არტურ მ. საკლერის გალერეა კაშინგტონში; ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ანტიკური სამყაროს კვლევის ინსტიტუტი; ჰიუსტონის ხელოვნების მუზეუმი; გეტი ვილა ლოს-ანჯელესში და ფილიპინის მუზეუმი კემბრიჯში. აღსანიშნავია სტოკჰოლმის, ხელ-თაშუა ზღვისა და წინა აზიის კულტურების მუზეუმსა და სევილიის არქეოლოგიურ მუზეუმში გამართული გამოფენები, რომლებიც ამ ქვეყნების ევროკაეშირის თავმჯდომარე ქვეყნად არჩევსთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამაში ჩაერთო და ამით ძალზე შეუწყო ხელი საქართველოს პოპულარიზაციას.

— იქნებ უფრო დაწერილებით მოგვითხროთ ამერიკის ტურნეს შესახებ...

— ამერიკის ტურნედან გამოვყოფი ლოს-ანჯელესის გეტი ვილაში გამართულ გამოფენას. მოგხესნებათ, პოლ გეტის მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კულტურული ცენტრია და ორ ცალკეულ ინსტიტუციას აერთიანებს. გეტის ცენტრი ორიენტირებულია ევროპულ და ამერიკულ საზოთ და გამოყენებით ხელოვნებაზე. გეტი ვილა 2006 წელს გაიხსნა, როგორც მუზეუმი და საგანმანათლებლო ცენტრი. გეტი ვილას ღაბორა-ტორიაში მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები მუშაობენ უძველესი ნივთების გამჭენდა-

კონსერვაციაზე. სწორედ აქ, ქართველმა და ამერიკელმა მეცნიერებმა ერთობლივად გაწმინდეს და აღადგინეს 2007 წელს ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს უნიკალური ჭრაქები. ვანში მოპოვებული ამ არაზეულებრივი ნიმუშების წყალობით კულტურული ხიდი გაიდო საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ამერიკის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციებს მორის, როგორიცაა სმითსონიანის ინსტიტუტი თუ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ანტიკური სამყაროს კვლევის ინსტიტუტი.

— ამ „მოგზაურობებისას“ როგორაა დაცული წვენი საგანძურო?

— საგანძუროის თითოეული გადაადგილება უსაფრთხოების ნორმების უზაღლ დაცვითა და სიფრთხილით ხდებოდა. კოველ მასპინძელ მუზეუმში, საგანგებოდ ქართული საგანძუროის წარმოსადგენად, საგამოფენო დარბაზებს ისე ამზადებდნენ, რომ ფაქტობრივად ამ უნიკალური ნივთების დაზიანების თუორიული შანსიც კი არ არსებობდა. მაგალითისათვის, გარდა იმისა, რომ საგამოფენო დარბაზებში მუდმივად კონტროლდებოდა პაურის ტექპერატუ-

ანტიკური ქადაქის
რომ დანაკვეთი



რა, გეტი ვილაში სპეციალურად კოლხური სა-
განძურის გამოსაფენად მომზადებული ვიტ-
რინები ისე დამოწატაშად, რომ უძლიერესი მი-
წისძრის შემთხვევაშიც კი ნივთები სავსებით
უვნებლად გადარჩებოდნენ, რადგან კვარც-
ხლბეჭები მიწისძრის ბიძვების სიმეტრიულად
იმოძრავებდა. ტრანსპორტირებისას ნივთებს მუდამ თან ახლდნენ როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტები, ისე მასპინ-
ძელი მხარისა და უსაფრთხოების სამსახუ-
რის წარმომადგენლები. ნივთები დაცული იყო
მასპინძელი სახელმწიფოების მიერ გაცემუ-
ლი სახელმწიფო გარანტიით. ექსპონატების
გადაზიდვას კი ახორციელებდნენ მსოფლიოს
ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა
„მუკ არტი“, „მასტერპისი“ და „ჰაზენკამი“.

— არანაკლებ საინტერესოა გამოხმაურე-
ბა, რომელიც ტურნეს მოპევა...

— ისეთი ფურნალ-გაზეოუბის, როგორიც
არის „ეგონომისტი“, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თუ
„ვაშინგტონ პოსტი“, წამყვან გვერდებზე იბეჭ-
დებოდა სტატიები „გასაოცარი ქართული სა-
განძურის“ შესახებ, ტელევიზიები კი სიუჟე-



დავით
ლორთქიფანიძე

ტებს უძლვნილნენ მათთვის აქმდე უცნობ, გვ-
ზოტიკურ ნივთებს მედეას ქვეყნიდან. ტურნეს მსვლელობისას რვა ენაზე გამოიცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კატა-
ლოგი. ექსპოზიციას თან ახლდა სამეცნიერო კონფერენციები (მომხსენებლებად მიწვეული იყვნენ ქართველი, ვროცელი, ამერიკელი არ-
ქილოგები) და საგანძმათლებლო პროგრა-
მები, რომელიც ადგილობრივი სკოლების-
თვის, ფართო საზოგადოებისა და უცხოეთში
მცხოვრები ქართველებისთვის იყო განკუთ-
ვნილი.


— ბუნებრივია, დამთვალიერებელთა რიცხ-
ვიც „სარეკორდო“ იქნებოდა...

— ტურნეს განმავლობაში ექსპოზიცია მი-
ლიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა, ზო-
გიერთ მუზეუმში რეკორდულ მაჩვენებელსაც
გადააჭარბა. გეტი ვილას მონაცემებზე დაყ-
რდნობით, გამოფენის გახსნაზე დასასწრებად
წინასწარ 700 კაცი დარჯისტრირდა, როდე-
საც საშუალო რიცხვი 400-ს არ აღემატება.
სმითსონიანის ინსტიტუციის მოწყობილ კვლე-
ვას კი ამერიკელმა სპეციალისტებმა „საქარ-
თველოთ მოწმველა“ უწოდეს...

— როგორ შეაფასებდით ამ ხანგრძლივ
ტურნეს?

— ტურნემ შეძლო უცხოელი დამთვალიე-
რებლისთვის გაეცნო საქართველო, როგორც
უძველესი კულტურის ქვეყნა — ოქროს საწ-
მისის ქვეყანა. ტრიუმფალური ტურნე 2010
წელს დასრულდა. დღეს კოლხური საგანძუ-
რი სამშობლოშია. მისი ნაწილი წარმოდგე-
ნილი იქნება სიმონ ჯანაშიას სახელობის სა-





ახვლედანების კორა

საღვარი სირინოზის გამოსახულებით



ქართველოს მუზეუმის განახლებულ საგამოფენო სფერცეში, რომლის გახსნა გაზაფხულზე იგეგმება. ამდენად, სულ მალე იგი კვლავ შეად იქნება, თავი მოიწონოს როგორც ქართველი, ისე უცხოელი დამთვალიერებლის წინაშე.

* * *

მიმოხილვას ოქრომრავალი ვანის შესახებ აკადემიკოს ოთარ ლორთქითანიძის სტრიქონებით დავასრულებთ, რომელიც 36 წლის წინ დაიწერა და დღვევანდელ დღესაც ისევე მიესადაგება, როგორც მაშნედელს:

„ვინის ნაქალაქარის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია ჯერ შესწოვლილი. ექსპედიციის სამუშაო ოთახში კედელზე დახაზულ გენერალურ გეგმას რომ შექვედოთ, დარწმუნდებით, რა დიდა და მრომატევადი სამუშაო მოგველის კიდევ წინ... არქეოლოგიური გათხრები განში გრძელდება... ვინ იცის, ჩვენი ეროვნული ისტორიის კიდევ რამდენ საიდუმლოსა და უცნობ ფურცლებს ინახვას ეს მადლიანი მიწა!“

ამ უცნობი ფურცლებიდან არაერთი გამოშეურდა... თუმცა კი, როგორც იტყვიან, წინ ახალი აღმოჩენებია!..



ՀԱՅԻՆՍՈՒԾՈՒ ՄԻԱՑՈՐԾՈՒ

ՏԱՅԹՈՒՄԱՅԻ ԳԱԿՐԱԿԵՑՄԱՆ ՈՒՆՉԱԿԱ ԵԱՀՅԱԼԵՎՑԵՎ ՍԱԵԼՎԱՑՈ ՄԱՍԻՑՅԱՐԺ ԴԱՄԱՀԱՆ...

„Ռոշորչ շնճա մռօնեանցքնեն սագրաչեծ,
Ռոշորչ շնճա պանիրոցքնեն դա պատրուղքքնեն եալեն,
մախց զզելա օնցշմշ ռջաեմ օյենեա յրտո արամաճո,
Ռոմելսաց մզելո օնցշմշրո (լռուզշուրո) նշըլո դա
նյենիցշլուց մշմորին — ամութոմսց իցբ ազգացքնութ!“

ՕՆՑՇՄՇՐՈ ԵՐՈՂՆՇՀՋ-ԳԱԲԱՄԱՏՎԱՆԿՄԱՆ ԵՐԱՎՈՅԵԼՈ
ՃՈՒՐԱՐՈՅԻՆ ՀԱՅՑՐՈ
ՈՈՆՏԱ ՅՐԱՑՐՈ

ՔԱԿՐԱԿԵԼՈ „ՊՈՇՈ ԿԱՎԵՑՈ“

Կայքանուն ոյմա մշյամ այլիսալուրուա մեռոյ-
լուու մասմեժօնասա ոյ սամեցնուուրո լուուրա-
լուրամո. Ռուետու մյալուցարո դա ացրաւուլ
սակուտեյնի միշրալու ազցաւսի პայէստէպաշնեն
ամեռուա: „Զու մշյամլաա, օնցիրշուուսա դա პա-
տիզուսցեմուս ցարշի սպարուու կայքանուն ցմո-
րուլ երնուուաս?“

Կայքանուն օւտորուուամո կո երնուուա արասո-
ւու մշմիցարու.

Հանաճո եալեն — իահենիուա դա օնցշմշ-
ծուու 1944 წլու դյաբորուցուա, ռոմելսաց 2004
წլու ցարուու մարլամենիմա ցենցուուու մշ-
յասեն մուսպա, սტալոնու ելուույուլուն մար-
լուուրուու ցարմյալուն ոյու, ռոմելուու 20-օան
წլում դասի արական 1937 წլու հյե-
րուսիուու միշրոնեյլաա ցարաստանեն. ացցուստո-
ւու սկանչերուու ց. ի. „իլու ցեներալուրմա ուց-
րացուամ անտուսածքուա ցլումենիմեն մուսակո-
ւու 14 ատաս կացո մշունու. Լույլում դար-
իենուու յերուու յալուն մոնատերուու մուխու-

զու, յրտո մամակացու ար դաւուզյե, զզելանո դա-
օկուրյե! լուցույրուա, ռոմ յումշնուութեծ ևմշլ-
դատ իահենուուա դա օնցշմշուու այլումիմո, սաճաց
մոյմեզքեթնեն ինօնաճմացքուու ռամեծեծ, ռո-
մելուու իցուութեծ դա ՀԿՎԴ-ւ յայցանապոյց-
ծո դայնուութլաա յերնուունեն. ամութու, ռուու
1942 წլու այ ցերմանելու մշեզլա դասի պարուուու,
սաճքուա օւտորուուցրագուուլո վյարուուու
միշրուուու, մատ ցանաճո մուսակլուու յյուուու-
ցանիցուու մշեցեծ, ռագցան դամշրուութլաա ը-
րուետո մահենդատ դա արա գութլուրո! ոյմցա
Ռոշորչ օւտորուու սուլուան եամիոյզ ալ-
նոմնայու, յամենիուետան տանամերուուուու եա-
րացուու ար արսեցուլա մի մարլուու մուխեն ցա-
մո, ռոմ ցերմանելումի իահեն-օնցշմշուու
մեռուու յրտո պատրար յալայու — մալցումեցո
դասի սաճաց մուսակլուու յմրայլուուու ըմբա-
րուու մշագցենեն. մուխեցագա ամուս, ստա-
լուու նյուու յալուու յմրայլուու մուլուու յմրայլուու
դա կրյամելուա, ռոմլուու յմրայլուու մուխու-

კომუნისტურმა რეჟიმმა 1943 წლის სამხედრო ოპერაციების წარუმატებლობა ღალატით ახსნა და ფრონტის ხაზიდან დაუყოვნებლივ გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიელი მებრძოლები (სულ II მსოფლიო ოში 160 ათასი მოთველი იბრძოდა), რომელთა უმრავლესობა ჩაჩნები და ინგუშები იყვნენ. ბოლშევკური იდეოლოგიით, ისინი სამშობლის მოღალატებად და გამყიდველებად მიიჩნიეს და მათთვის გამოტანილი სასჯელი მთელ ერზე გაავრცელეს. 1944 წლის 7 მარტს ხელი მოწერი სსრ კუშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ჩაჩნეთინგუშეთის ასსრ-ის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. ოფიციალური ბრალდება იყო სოციალისტური სამშობლოს ღალატი, წითელი არმიის მიმართ ძირგამომთხრელი მოქმედება, ფაშისტი ოკუპანტების მეგზურობა კავკასიის ქედის უღელტეხილებზე, მათთან პატიორსანი საბჭოთა მოქალაქების დაბქეზდება, ბანდიტებისა და გერმანელი აგენტების აქტიური მფარველობა და დოკურსები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (ამ ბრძანებულებას მაშინვე დაედო საიდუმლო გრიფი „პრესაში არ გამოქვენდეს“ და ხელმისაწვდომი მხოლოდ 90-იანი წლების დასწერის გახდა, როდესაც ყოფილი საბჭოთა არქივების დახურული ფონდები გაისხნა). ამასონადასახლებაში ათასობით ინგუში გარდაიცვალა

ბაში სადამსჯელო ოპერაციების განსახორციელებლად აშხადებზენ ჟკვდ-ს, ჟკგ-სა და სამხედრო კონტრდაზერვის, სმერშ-ის ათასობით ოპერატიულ თუ საჯარისო დანაკვიფების დეპორტაციის გეგმა ღაურუნტი ბერიამ, რომელიც იმსანად რამდენიმე მაღალ თანამდებობას შეს სახალხო კომისარობას უთხესებდა, გროჩნიელ კომუნისტს მაღავეს გადასცა სისრულეში მოსაყვანად. 150 ათასამდე ოპერმუშაკი ვაინახებს შეუსახლეს, როგორც მათი „დღიცველები“. ადგილობრივი მოხუცი ქალები თბილ ტენისაცმელსა და წინდებს უქსეუდნენ, საჭმელ-სასმელს უყოფდნენ ჯარისკაცებს, რომლებმაც მათ შემდგები უმაგალითო რეპრესიები, დახვრუტადაპატიმრებები, გადასახლებები, მასშტაბური სასაკლაობები დაატეხეს თვეს.

ოპერაცია სახელწიდებით „ჩეჩვიცა“ 23 თბერვალს დაიწყო. საბჭოთა არმიის დღესასწაულის აღნიშვნის მიზნებით რუსმა ჯარისკაცებმა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ქალაქებსა და აულებში ადგილობრივი მოსახლეობა შეკრიბეს, მამაკაცები უკლებლივ დაკავეს, ხოლო ქალებსა და ბავშვებს უბრძანეს, დაუყოვნებლივ გაშხადებულიყვნენ გადასახლებისათვის. 2-3 საათში ერთბაშად დაბატიმრებს მთელი ერი. პირუტყვებივთ შერევეს წინასწარ გამზადებულ სატვირთო ვაკონებში და ყაზახეთსა და შუა აზიის სხვა რეს-



**1944 წელს აფეთქებული
კოშკი სოფელ კაზბერი,
საიდანაც მომდინარეობს
კუნძულის ვერა. ისინა
გადასახლდეს კაზბერან
ანგუშტში. XV საუკუნის
ისტორიული ანგუშტი (აქედან
მომდინარეობს ეთნონიმიც
„ინგუში“) კაზბერის გადაეცა.
ამ ძინასთან მაჯაჭვულობის
ძისტიური რწერა დღესაც
მძღვრად გამსტყალურ
ინგუშების ისა კაზბოს თქმით,
აქ ის მთა, რომელსაც
ღვევენის თანაბერ ამირანი
მაჯაჭვებს და, ძველი ხალხის
ხსოვნაში შემორჩენილია მითი,
რომ საღმოცილით პრომოუზე
ჯაჭვების ხმა ისმის,
რომელთაგან გათავისუფლებას
იცი ამაღლ ცდილობის.**



ფოტო მრავალოდა ცხრადინ მარაზობა

პუბლიკუმში გაამგზავრეს 478 ათასზე მეტი უდა-
ნაშაულო ადამიანი. მთან სოფლებში, საიდა-
ნაც გადაადგილება დროულად ვერ მოხერხდა
უგზოობისა და დიდოოფლობის გამო, ადგილზე
განხორციელდა მასშტაბური დახვრუტა. 6000-
მდე კაცი ჩაიძირეს გალანჩხოვის ტბაში. სოფელ
ხაიბახის სასაკლაო კი ველაზე შემჩარავი
იყო. 750-მდე გაინახი (უმეტესად ქალები, მო-
ხუცები და ჩვილები, რაღან ამ დროს ადგი-
ლობრივი მამაკაცები თვესმოხვეულ საბჭოთა
საშობლოს იცავდნენ მდინარე დენისის პირას) საჯინიბომი გამოკეტეს და ცეცხლი წაუკიდეს...
ვინც გარეთ გამოაღწია, ავტომატების ჯერით
ჩაკრილეს. ამ სასაკლაოს „არქიტექტორი“
გახლდათ ქართველი გენერალი მიხეილ გვი-
შანიანი. ტრაგედიის ღამეს იმ საჯინიბოში ორი
ტუპი დაიბადა. სქესი იკითხა გენერალმა გვი-
შანიანმა. ბიჭები აღმოჩნდნენ. — ეს იგი, კიდევ
ორი ბანდიტი გაჩნდაო!..

მოსკოვი ველაფერს აკეთებდა, რათა ვაი-
ნახთა წინააღმდეგ მეზობელ კავკასიელებსაც
ებრძოლათ. მართალია, ქართველი სამართლ-
დამცველები მონაწილეობდნენ ამ შემზარავ
ოპერაციაში, მაგრამ რიგითი ქართველები ის-
ტორიულ ძმებს თანაუგრძობდნენ. ბევრი იხ-
სენებს, რომ ქართველი მეცხვარები ჩაჩნებს
ხშირად მაღავდნენ. ხაიბახის ბედი ქრია ინ-
გუშურ სოფლებს: თარგიმს, გულის, წორის;
ჩაჩნურ აულებს მაზგარასა და მაწყარას.

აზიის უკაცრიელი სტეპებისკნ სარკინიგ-
ზო ექველონებით გადასახლებულთა მგზარო-
ბა 20-25 დღე გრძელდებოდა. გადავსებულ ვა-

გონებში შიმშილისგან, სიცივისა და ავადმყო-
ფობისგან უაძრავი ადამიანი დაიღუპა. რად-
გან „საშიშ“ ხალხთან ჰქონდათ საქმე, ჩეკის-
ტების რიცხვი ლტოლევილებისას ორჯერ აღე-
მატებოდა. მგზავრობისას 1272 ადამიანი გარ-
დაიცალა. გვმებს გაქანებული მატარებლი-
დან ყრიდნენ ტრამალებში. ახლობლებისა და
შვილების გვმების გადამალგა ლტოლევილებს
სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. დაღუპულ ჩვი-
ლებს დედები მოჩვენებითად წწვებდნენ ძუძუს,
თუ გაუგებდნენ, ფანჯრიდან უყრიდნენ... ზო-
გი მაინც ახერხებდა ხამოკლე გაჩერებებისას
თავისი მიცვალებულის სტეპებში დამარხვას. 56
ბავშვი დაიბადა ამ 20 დღეში... ბევრი დაი-
ღუპა შეა აზიაში ჩასახლების პირველ თვეებ-
ში, სადაც პირდაპირ ციფ მიწაზე დაყარუს და
მიატოვეს, თითქმით ჩიჩქეს ორმოები და არა-
ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ იქ-
ნაგავსაყრელზე შეგროვებული კარტოფილის
ნაფცევენებსაც არ ჭამდნენ მშობლები, შვი-
ლებს ლუკმას რომ არ შეზიარებოდნენ...

1948 წლისთვის ჩაჩნებისა და ინგუშების რა-
ოდენობა 42 ათასი კაცით შემცირდა. ოფიცია-
ლური მონაცემებით, 1945-1950 წლებში სპეც-
გადასახლებულთა სიკვდილიანობის მაჩვნებელი (104,903) 2-ჯერ აღემატება შობადობის
სტატისტიკურ მონაცემს (53,557). ამ სტატის-
ტიკაში არ იცულის სხმება გადასახლებისას გზა-
ში დაღუპულები. ჩაჩნები და ინგუშები გაქრნენ
საბჭოთა ენცილოპედიიდან და სასკოლო წიგ-
ნებიდან. თითქოს ისინა არასდროს მკვიდრობ-
ნენ ცენტრალურ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ს ი ს ხ ლ ი ა ნ ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ზ ე

ს ტ უ მ ა რ თ ა მ ა ს ა ი ნ დ ლ ო ბ ა

ინგუშ მ კ ვ ლ ე ვ ა რ თ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი თ , 1944-1946 წ ლ ე ბ შ ი დ ა ც ა რ ი ე ლ ე ბ უ ლ ი ი ნ გ უ შ ე თ ი ს გ ე გ მ ა - ზ მ ი ე რ ი ა თ ვ ი ს ე ბ ა მ ე ზ მ ბ ე ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე - ბ ი დ ა ნ ჩ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ თ ა ხ ა რ ჯ ზ ე მ ი მ დ ი ნ ა რ ე რ ბ დ ა . მ ა რ თ ლ ა ც , 1945-1956 წ ლ ე ბ შ ი გ ა მ ო ც ე მ უ ლ რ უ კ ე ბ ს თ უ დ ა ხ ე დ ა ფ ა თ , კ ა ვ ა გ ა ს ი ი ს ქ ე დ ს ი ქ ი თ , ა რ ლ უ ნ ი ს ა დ ა ს ა ს ლ ი ნ ე ბ ი ს ზ ე მ რ წ ე ლ მ ი (დ ღ ე - გ ა ნ დ ე ლ ი ი ნ გ უ შ ე თ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ე რ თ ი ნ ა - წ ი ლ ი) ი თ ე მ - გ ა ლ ე ს რ ა ი ნ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ა ზ ლ - ვ რ ე ბ ი თ , შ ა რ ი ს რ ა ი ნ ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ნ ა წ ი - ლ ი , გ ა ლ ა ნ ხ ი რ ი ს , გ ა ლ ა შ ი ს ა დ ა პ რ ი გ ო რ ი დ ნ ი ს რ ა ი ნ ი ს ს ა მ ს ე რ ე თ ი ნ ა წ ი ლ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ უ თ ვ ნ ი ლ ტ ე რ ი ტ ი რ ი ე ბ ა დ ა რ ი ს ს ა ქ ე ლ დ ე ბ უ ლ ი , ა ხ ა ლ ი ტ რ ა მ ი მ ი თ „ა ხ ა ლ ხ ე ვ ი “ . ს ა ქ ა რ - თ ვ ე ლ ი ს ტ ე რ ი ტ ი რ ი ი ს ფ ა რ თ ო რ ბ მ ა მ ი მ ა ტ ა თ ი თ ვ მ ი ს 76,4 ა თ ა ს კ ვ კ მ - მ დ ე . ი ქ ჩ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს ა დ ა ო ს ე ბ ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ვ ა ნ ი შ ე დ რ ა თ ე ბ ი ც კ ი დ ა უ წ ე ს დ ა თ . ს ხ ვ - დ ა ს ხ ვ ა მ ი ნ ა ც ე მ ი თ , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ დ ა ა ხ ლ ი ე ბ ი თ 35 ა თ ა ს ა მ დ ე ო ს ი გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ს .

ი თ ე ბ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა დ ა ლ ა ვ რ ე ნ - ტ ი ბ ე რ ი ა ს ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ს შ ე მ დ ე გ კ რ ე მ ლ შ ი რ ე პ რ ე ს ი რ ე ბ უ ლ თ ა ს ა მ შ მ თ ბ ლ ო მ შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს



ი ნ გ უ შ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს

ს ა კ ი თ ხ ი წ ა მ ი კ რ ა . 1957 წ ლ ი ს 9 ი ა ნ გ ა რ ს , ს ს რ კ უ მ ა დ ღ ლ ე ს ი ს ა ბ დ ჭ ი ს პ რ ე ბ ი დ ი უ მ მ ა ვ ი - ნ ა ხ ე ბ ი ს რ ე ბ ი ი ლ ი ტ ა ც ი ა მ თ ა ხ დ ი ნ ა დ ა მ ა თ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი გ ბ რ ი ვ ი წ ა რ მ რ ნ ა ქ მ ნ ი ა ღ ა დ გ ი ნ ა . ა ღ დ გ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა დ ა რ უ ს ე თ ი ს ს ა ზ ლ ვ ა - რ ი ც , რ მ ე ლ ი ც 1944 წ ლ ი ს 7 მ ა რ ტ ა მ დ ე ა რ - ს ე ბ ი ბ დ ა . გ ა დ მ ი ც ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ , ს ა მ ბ ი ბ ლ ი შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ნ გ უ შ ე ბ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ მ ა ს უ ფ რ ა გ ა უ შ ა ლ ე ს , გ ა უ კ ვ ე ს მ თ ე ლ ი ქ ი ნ ე - ბ ა , უ ს ი ტ ყ ვ ი ღ ლ დ ა უ ც ა ლ ე ს ს ა ხ ლ ე ბ ი , დ ა უ ტ ო - ვ ე ს მ ე ც ხ მ ე ლ ე ბ ი ს ფ ე რ მ ე ბ ი , ბ ი ნ ე ბ ი , ბ ა ღ ე - ბ ი , ხ უ თ ი კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ბ ი დ ა თ ა ვ ი ს ი ნ ფ რ ა ს - ტ რ უ ქ ტ უ რ ი თ , ს ა მ ი ს ა შ უ ა ლ ი დ ა ც ხ რ ა დ ა წ ე კ ა .

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ი რ ე ბ უ ლ ი ს ა დ ა ლ ა ვ რ ე ნ - ტ ი ბ ე რ ი ა ს ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ს შ ე მ დ ე გ კ რ ე მ ლ შ ი რ ე პ რ ე ს ი რ ე ბ უ ლ ი ს ს ა მ შ მ თ ბ ლ ი ლ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს





ონგუში ოჯახი გადასახლებაში

ებითი სკოლა, ოთხი კლუბი, ექვსი ბიბლიოთეკა, სავარძყოფო, საბავშვო ბაღი, სამი ადგილობრივი მრეწველობის ობიექტი და ორი სამედიცინო პუნქტი, რაც ლარსისა და დარიალის ტერიტორიაზე ამ 13 წლის განმავლობაში შექმნილიყო. თვითმხილველები ყვებოდნენ, როგორ ტიორდნენ ვაინახები (აქაური ქალები იშვიათად ტირიან), როდესაც ქართველები მათ სოფელს ტოვებდნენ. ასევე დახვდნენ სვანები და რაჭველები ქლუხორში დაბრუნებულ ლტოლვილ ყარაჩალებსაც. ეზო-კარი, ბაღები, ბოსტნები... უკლებლივ დაუტოვეს, წინაპართა საფლავებიც მთელი ამ წლების განმავლობაში პატივით შეუნახეს. კავკასიოლოგი ჯონი კვიციანი, რომელიც 25 წელიწადს ასწევლიდა ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტში, ყვება: „ამიტომაც ვერ აომეს ინგუშები და ბალყარები ჩენთან... ყაბარდოში მთიელებს 1988-89 წლებში სასმელ-საჭმელი მოჰქონდათ ჩემთან — საქართველოს უჭირს და წაუღეო...“

ვაინახებმა თან ჩამოიტანეს გადასახლებაში დაღუშულთა საფლავის ქვები და გროზ-

ნოს ცენტრში ამ ქვებზე აღმართეს ზეცისკენ აწვდილი ხელი, სიმბოლო იმისა, რომ არასოდეს არ შეებუებოდნენ თვეისუფლების დაკარგვას! უფრო რთული აღმოჩნდა დაღუშტნის ტერიტორიიდან დეპორტირებული ჩაჩნების ბედი. მათ დაბრუნების უფლება არ მისცეს. კიდევ უფრო გართულდა საქმე ინგუშურ მოწიზე დასახლებული ოსების მხრიდან, რომლებმაც პრიგორიოდნის რაონი არ დაომეს. ხოლო ვინც „დათმო“, სახლ-კარი პატრონებს გადამწვარი დაუტოვა. ფარულ თუ აშკარა უკამაყოფილებაში, წყენასა და ლოდინში ათწლეულები გავიდა. ამ ტერიტორიულმა დაგამ მთელი ძალით 80-იანი წლების ბოლოს იფეთქა. 1992 წლის პრიგორიოდნის ომის შედეგია განადურებული და მიწასთან გასწორებული 13 ისტორიული ინგუშური სოფელი, 70 ათასამდე ინგუში ლტოლვილი და 600-მდე დაღუშული. ამ კონფლიქტს დღესაც არაკორექტულად ეძლევა ერთა შორის შედლის შეფასება, კონფლიქტის სიღრმისული მიზეზი რომ 1944 წლის ისტორიული დანაშაულია, ამას დღესაც არ აღიარებს კრუმლი...



დავით IV აღმაშენებელი

აღმაშენებელი — ეს წოდება საქართველოს ისტორიაში მხოლოდ მეოქვეთ დავით IV-ს ხვდა. რატომ? მოუკავშიროთ გახუმტი ბაგრატიონს: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდენ იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერი; ამან განაჯხნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტყოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლოახაკთა, ქვრივთა და ობოლოთა მოწვალე, სხეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი...“ კფიქრობთ, ღრმა და ამომწურავი პახუხია გაცემული.

დავით IV აღმაშენებელის ხელმოთვა

XI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურად დაქევეითუბულ და პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს ნამდვილი მხსნელი მოეკლინა, რომელმაც მოახერხა დაქასქული მოსახლეობის შეგავმორჩა, მომხდეურთა დამარცხება და ქვეყნის აღმავლობის გზაზე დაყენება, რასაც უზინშენელობანესი გარდაქმნები და შექნებლობები მოჰყვა. XII საუკუნის პირველი მეოთხედი პოლიტიკურად მომძლავრებული საქართველოს ეკონომიკა და კულტურა აღორძინებასა და აღმშენებლობას განიცდიდა და საქსებით ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის უშუალო შემოქმედი დავით IV თანამედროვეებმა და შთამომვლობმა აღმაშენებლად აღიარა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა



დავით IV
აღმაშენებელის
ფრესკა
გელათში

და მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დაწესა.

XI საუკუნის მეორე ნახევრში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგრმარეობა მეტად დამბიძლა. ოთხმოცამი წლების დამდგენი თურქ-სელჩუკთა ურიცხვებით ახალი შემთხვევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს ამ შემთხვევებს. კალიასავით შეესოვნებოდებოდა საქართველოს: ერთ დღეს გადაუწყვეთ თურქ-სელჩუკებს ქუთაისი, არტანუჯისა და კლარჯეთის უდაბნონი. თოვლის მოსკლამდე დარჩნენ, მოჭამეს მოული ქვეყანა და წავიდონენ. ასე გრძელდებოდა: გაზაფხულობით მოდიოდნენ, აოხრებდნენ ქვეყანას, ზამთრის მოახლოებისას კი უკან ბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი უმძიმესი საფრთხის წინაშე დადგა — ოურქ-სელჩუკთა შემოსევა არ-სებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. ოურქული მომთაბარეობა საფუძველს აცლიდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას, რაც ქვეყნას ერთიანად გადაშენებას უქადაგა: „არა იყო მათ უამთა წინა ოქსეა და მეა: მოოხრდა ქვეყნა და ტყედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაქვიდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქნეს, ხოლო ქლუწულნი გინებულ, ჭაბუკი დაკუუთხბულ, ხოლო ჩიოლნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყეველნი ქვეყნისანი“ (ქრონის ცხოვრება).

ასეთი მძიმე მეგვიდრეობა ხვდა წილად 16 წლის დავითს, ოურქ-სელჩუკთაგან აკლებული და განადგურუბული ქვეყნა, მთუბში განსიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები...

ერთიანი სამეფო იმდენად დაკინებულიყო, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოშე ვრცელდებოდა. პირველ ყოვლისა, ქვეყნა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშვრდომები შემოეკრიბა; შემდეგ ოურქ-სელჩუკების განდევნა იყო საჭირო. დავით აღმაშენებელმაც ასე დაიწყო. შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა შათა შსარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარი თავს უყრიდა ერთგულ მხედართა რაზმებს. სწორედ ერთგული მოლაშქრეებით ესხმოდა თავს ოურქ-სელ-

ჩუგებს, ამარცხებდა მათ და ამით მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა ოურქ-სელჩუკები ქართლიდან თანდათან აყარა. ეს მცირე გამარჯვებები ქართველ ხალხში მტრის გარდაუცალი დამარცხების აუცილებლობას და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყნა თანდათან დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას. ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგვაროვანი მოწინაღმდეგენი (ბაღვაშები, აბულეთისძები), 1099 წელს სელჩუკთა სულთანს ხარჯას მიცემა შეუწყიტა, გააუქმა კლდეკარის საერისთავო (1103 წელს), ყოველმხრივ ცდილობდა საქვექნოდ გამრიგე ხელისუფალი — ერისთავები ფეოდალური მონარქიის ცენტრალური მმართველობისთვის დაექვემდება-



კლდეკარის გასახლელი და კლდეკარის ციხე





რეპინა, 1104 წელს ერთიან სამეფოს ჰერეთი და კახეთი შემოუტოდა.

მეფის მოწინააღმდეგენი აშკარად თუ ფარულად იბრძოდნენ. როგორც კი ნახეს, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს მეფის ხელდებული და ერთიანი ქვეყნის შემადგენელი გახდა, მრავალი კახელითურთ გაეცალნენ მის საზღვრებს და დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, თურქეთის სულთნის მოხელეს. შეიკრიბა სულთნის მრავალრიცხოვანი ლაშქარი, აქვეა განძის ათაბაგი თავისი მომზრეულით „და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი“. ეს დიდი ძალა იყო და სათანადო გამგლავება სჭირდებოდა. დავით აღმაშენებელმა მტერთან შედარებით ბევრად მცირე ლაშქარი გამოიყვანა (შესაძლოა, მეტის შეკრება სიჩქარის გამო ვერ მოასწორ) და, როგორც მისი ისტორიკოსი გადმოგვცემს, ერწუხთან შეება მტერს. მტრის რიცხობრივ უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა კარგად გაწვრთნილი ლაშქარი და პატრიოტი, თავგანწირული მებრძოლები დაუპირისპირა.

ერწუხის ომის სრულად წარმოდგენა, წყაროების სიმცირის გამო, მნელია. ნათელია, რომ მტერი გარემოადგა თუ არა ქვეყნას, დავით აღმაშენებელმა „ქმნა წყობანი დიდინი“, ე.ი. მტერი განაწილო თავისი ჯარი და ისე მედგრად შეუტია მტერს, რომ მემატიანე განციფრებულია მისი სწრაფი წარმატებებით („ადვილად და მოსწრაფედ, ხელიუხესნა ღმერთმან საკირველებათამან“). იგი შესაშური ხატოვანებითა და ოსტატობით გადმოგვცემს ბრძოლის სიმძაფრეს: „...ერთი ათასთა არათუ სდევდა, არამედ ხელითა იპყრობდა და ორთა არათუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სანთლი-

ჯვაროსანი რაინდისა და სპლატი

მერმარის როსტის ბრძოლის დაშვრიობა. სამი წლის მემდევ ფეროვანდმა რაინდმა იერუსალიმი ადგეს. ჯვაროსანების აზაში მოსკოვამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაცარდობა მნიშვნელოვნად აღმასყდეთში, რითაც კარგად ისარგებლა დაუით IV-მ და 1099 წელს ბარჯის გადახდა შეუწყვიტა სელჩუკების.

თა თვით მათვე ტევენიათ და მთხოვებელთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი“ (ქართლის ცხოვრება).

„ცხოვრება მევეოთ-მეფისა დავითისი“ თვალსაჩინოდ აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა სხვა მხედართუფროსებს, რომლებიც, წესისამყრი, ლაშქარის უკან უდგანნ და იქიდან აძლევნ განკარგულებას მეომრებს. დავითი „უპირატეს ყოველთას თვით წინა უვიდოდა და ვით ლომი, შეუზახებდა ხმითა მაღლით და ვით გრიგალი მი-და-მო იქცეოდა“ (ქართლის ცხოვრება). გოლიათოვით წინ მიიმართებოდა და თავისი ძლიერი, მტკიცე მკლავით მუსრს აკლებდა მტერს. მისი ხმლის ლარებიდან უკარისი და უძველესი სისხლი უბეჭდი აუქსი ისე, რომ ომის დამთავრების შემდეგ, როცა სარტყელი შეისხნა, ეს დაგუბებული სისხლი გადმოიდგარა; შხვლველები თავიდან შეჰქებულნ, მეფე ხომ არ დაჭრილაო. იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და „მეოთხესლა ზედა მჯდომარე სრულყო მის დღისა ომი“.

ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ძლევამოსილად გაიმარჯვა. მტერმა სრული განადგურება იგემა. თურქ-სელჩუკები გაიქცნენ; კახელებს გასაქცევი არსად ჰქონდათ და იძლევებული იყვნენ დანებულიყვნენ. ისტორიკოსი ხაზგაშით აღნიშნავს, რომ დავითმა „...თვითმცემობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღისუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.

დავით აღმაშენებლის მონუმენტი



ჰერეთ-კახეთი საბოლოოდ შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების გაზრდის თვალსაზრისით. აქედან მოყოლებული საქართველოს სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რომელმაც ქვეყნა იმდრიონდეს წინა აზიასა და კავკასიაში ერთ-ერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება 1104 წელს სრულიად საქართველოს დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების მოწვევა. გარდა იმისა, რომ კრებას დირსებათა მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე დანიშნვის საკითხი უნდა განხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა საქმეებიც. კერძოდ, ირლევოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქრისტიანი, იყო „წვილოა ქალ-ყრმათა“ გვირგვინის კურთხევის შემთხვევები, მონასტერში იმართებოდა ვაჭრობა, რაც ქრისტიანული დოგმებით არ შეეფერებოდა „წმინდა დაწესებულებას“ და სხვ. „წმინდანი ეკლესიანი, სახლი დმრთისანი, ქუა ავაზაკია ქმნილ იყვნეს“, — გულისტკივილით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

„დაიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრიბა ერი მრავალი“ (ქართლის ცხოვრება). შეკრებილთა სიმრავლესთან ერთად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია მათი შემადგენლობაც: „რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოსი, მღვდელმთა-

ვარნი, მეუდაბნოენი, მოძლუანი და მეცნიერნი შემოიკრიბნა წინაშე მისსა უამსა და ადგილსა ჯეროვნისა“. კრებას, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით აღმაშენებელიც დასწრებია, მაგრამ იგი იქ კოფილა „არა ვითარცა და მეფე, არამედ ვითარცა მონა“

არაფერია უცველელი იმაში, რომ საეკლესიო კრება საქართველოს მეფემ მოიწვია. ცნობილია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებებს ბიზანტიის იმპერატორები იწვევდნენ მათ მიერ დაწესებულ დროს და შერჩეულ ადგილას. იმპერატორები კრების საქმიანობაში ფორმალურ ჩაურჩევლობას არჩევდნენ, ფაქტობრივად კი ყოველმხრივ ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკის გატარებას. ასევე უნდა ვიფიქროთ დავით აღმაშენებლის შესახებაც. იგი ფორმალურად კრებას დაესწრო „ვითარცა მონა“, ფაქტობრივად კი სამეფო კარის პოლიტიკა მაღდებინა.

XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. დავითმა საქართველოს ერთოან სამეფოს შემოურთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.) და ლორე (1118 წ.). მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განიდევნა, მაგრამ ვიღრე შირვნი, რანი და სომხეთი თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშ-

ქალაქის გარემოცვა. რეპრინსტრუქცია

შეა სუსტებში ქალაქის გაღავნის დაძლვა საომარი კოშკების მეშვეობითაც ხდებოდა...





დაგვორის
მემორიალური
კომპლექსი



როების დაცვა მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ კავკასიის ხალხები თვითონაც ებრძოდნენ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის შზად იყვნენ მხარში ამიდგომოდნენ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო გახდა სამხედრო რეფორმები. ლაშქრის კარგად გაწვრთნასთან ერთად, დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყიზჩალთა 40000 ოჯახი ჩამოასახლა, რომელთაგან 40000 მოლაშქრე შეიმატა და უკვე 1120 წლისთვის სამოციათასანი მუდმივი ლაშქრი შექმნა. ამის გარდა, დავით აღმაშენებელს ჰყავდა ხუთიათასიანი პირადი („მცემლად მისად“) გვრდია „მონა-სპა“ („რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდომნი და გამოცდილნი იძმზნითა“). ქვეყნის ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდნენ „სამეფოს სპანი“, რომელიც მუდმივი ლაშქრის გან განსხვავებით იყო „ქვეყნითგან გამოყვანილნი და ერისთავთა ქვეშე დაწესებული“ (ვახუშტი ბაგრატიონი). ამ ლაშქრას შეპყრიდნენ დროდადრო („მოუწოდიან უამად“), საჭიროების შემთხვევაში. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქრას ემატებოდა „როების სპა“, — უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

საქართველოს სამეფო კარის ღონისძიე-

ბებმა ქვეყნა გაამაგრა და გააძლიერა, სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი განუზომდად გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ხელისუფლების სრული კონცენტრირება მოახდინა: საქართველოს მეფე თვითმპრობელი გახდა.

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღვილი უკავია დიდგორის. ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრძელებულ მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

ფართომასშტაბიანი ღონისძიებების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდეულის დასამარცხებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთუბელი). ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გაუქტიურებით შემფორებული იყენენ მაპმადიანი მფლობელებიც, სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გასაღალაშქრებლად...

მაპმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაპმუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წწ.). მან მიმართა მაპმადიანებს „ვინც კი სადმე იყო დამასკო და აღეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს“ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ოშში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მახდვით, „სულტანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეიზს, სადაცას ძეს და მოსცა ძე თავისი მალიქი და ყოველი ძალი მისი,

დოდგორის კული



და ანიჭა სპასალარად ელდაზი ქე არდუხისი... და უბრძანა:ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა და ამირათა“.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სომხი ისტორიკოსის მატეორის ურპაკეცის მიხედვით შეადგენდა 560000 კაცს. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის ფრანგი გორტიეს ცნობით, კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600000-ს აღწევდა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარში დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომარი უნდა ყოფილიყო.

რამდენი მოლაშქრე გამოიყანა დავით აღმაშენებელმა? გორტიეს ცნობით, 80000 მეტრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვადებული ჩანს. უფრო დასაჯერებულია მატეორის ურპაკეცის დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მისი მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყველანი, 500 ალანი და 100 ვეროპელი მეომარი. დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის ორ მესამედს ქართველები შეადგენდნენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გადამწევეტ მომენტში ძირითად ძალას ქართველ ლაშქარში სწორედ სამეფო სპა-ქართველები შეადგენდნენ. თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგოროთან გაიმართა. საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განალაგა. გორტიეს გაღმოცემით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართ თავის ლაშქარს: „მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის

დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც-თუ ეშმაგის ურიცხვი მიმდევართა, არამედ თვით ეშმაგებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკვნ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღოქმა მოეცი, რომ მისი სიყარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხმატებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი რომლითაც შემოუსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევეკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“.

დავით აღმაშენებლის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართველი ლაშქარი იდგა ხეობა-ში, რომლის შესასვლელიც საგანგებოდ ჩაუსწოდა. ეს, რასაცკირკვლია, მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა — ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი. ამგვარი ქცევა საერთოდ ქართველთათვის ნორმა გახდა და უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსები მას წარმოგვიძეგნდნენ, როგორც დაგანონქულ წესი: „არა არს წესი ჩუქუ ქართველთა, უკავეთ ვიზილოთ მტერი ჩვენ კერძო მომაგალი, შეუბეჭდად ზურგი შევაქციოთ დაღათუ იყოს საკუდილი“ (ჟამთაღმწერელი ამბობს: „არა არს წესიო“, იქნებ სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდგომ პერიოდს გულისხმობს იგი).

1121 წლის 12 აგვისტო, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათო...

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ლაშქრის სარდლობის მიერ გატარებული სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მებრძოლთა თავგამწირული შემართების წყალობით დიდგორის ბრძოლა სამი ჟამი (საათი) გაგრძელებულა... მტერი სასტიკად დამარცხდა. ქართველთა ლაშქრისა და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკაუშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა, კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუსპო და მისი სრული მარცხი განაპირობა. ამრიგად, ქართველმა მოლაშქრებმა 1121 წლის 12 აგვისტოს მაპმადანურ კოალიციურ ჯარებთან რთულ და ამავე დროს გადამწევეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ საქართველოს სამეფოსათვის თბილისის შემოერთებას წინ აღარაფერი ედგა. საქარ-



თველოს ძელი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო. „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუშეკვიდრა შეილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება). ამგარად, თბილისი 1122 წელს შემოიერთეს და საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანეს.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუებდა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გვერდის მიერმა საქმიანობამ დაამშვიდა ქვეყანა, „...განაცხო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „სულტანი დასვა მოხარებ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვი-

თარცა სახლეული თვისი: დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მოსრნა ბარბაროზნი, ხოლო მონად ხელმწიფები; მეოტად წარიქ-ცონა არაბი, იყარად ისმაილელნი, მტუერად დასვა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“ (ქართლის ცხოვრება). დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივად ღონისძიებამ განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრების საქმეში. XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სოფლის მეურნეობამ და ხელოსნიბა-გაჭრობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

დავითი ფრიად განსწავლული კაცი იყო და ერის განათლებაზეც რეალურად ფიქრობდა. მეფეს თრომოცი ბაჟშვი აურჩევია და ცოდნის მისაღებად საბერძნეთში გაუგზავნია. სწავლა-აღ-



ცოტ-ქალაქი
დანისი

ზრდის საქმე თვით საქართველოშიც დაწინაურდა. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ასწავლიდნენ ქართულ მწიგონებრობას, თუოლოგიას, პიმნოგრაფიასა და ლიტერატურიკას.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში არაერთი უმაღლესი სკოლა და აკადემია ყოფილა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათის უკავია. დავითმა 1106 წელს „მოიგონა აღმენება მონასტრისა“ და „ადგილსა კოვლად შეუნიერსა და კოვლითურთ უნაკლოსა“ ააგო ტაძარი, რომელიც იყო „აღმატებული კოველთა წინანდებულთა ქმნელთა“. ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნდა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა — გელათის აკადემია. მემატიანე გელათს მოიხსენიებს „კოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმიდ, სასწავლოდ კოვლისა ეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხეულ ათინად“ (ქართლის ცხოვრება). გელათი გახდა მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო ცენტრი, საერო-ფილოსოფიური და სასულიერო განათლების მნიშვნელოვანი კერა. დავით აღმაშენებელი ზრუნავდა იმისთვის, რომ გელათის აკადემიაში ღირსეულ და ნიჭიერ კაცთ ეღვაწათ. მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. გამოძებნა და „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შეტენდი კოვლითა სათხოებითა“. დავით აღმაშენებელმა მოიწვია სამოღვაწეოდ არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიოწი. მათთან ერთად სხვა გამოჩენილ პირთა მოღვაწეობაში გელათის აკადემიის მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მსგავსად (იგი იერუსალიმსა და ათინას ადარებს მას) გამოჩენილ ქართველი მოღვაწე, პოეტი იოანე შავთელი დიდ შეფასებას აძლევს გელათს და მას რომელიც და ელადას ადარებდა.

XII საუკუნის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები ყოფილა იყალთოში — იყალთოს აკადემია, რომლის დამარსებელი და პირველი მოძღვართმოძღვარი იყო არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც. მრავალშერივ და ღრმად განათლებულ საქართველოს მეცეს თავისა დამხმარე ხელი შორის გაუწვდენია:აღავსო ზღუა და ხმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი


და მონასტერი არა თვისთა ოდენ სამეფო-თა, არამედ საბერძნეთისაცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა... რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავლათასუელი“ (ქართლის ცხოვრება).

საზღვარგარეთ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა საერთაშორისო მასტრაბით დავით აღმაშენებლის დიდი გავლენისა და აკტორობეტის დასტურია.

1125 წლის 24 იანვარს გარდაიცავალა ოცდაოქვემდებარებული წელი საქართველოს მეცედ ყოფილი (მეცე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხთა), „მესიის მახვილად“ შერაცხული დავით IV აღმაშენებელი. იგი დაკრძალულია მის მიერვე აგებულ და სამეფო სამგალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველი, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაქზე დაგებული, ასეთი წარწერაა:

„ეს არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ეს მთნავს: აქა დავემკვდრო მე“. ■

ცხრა საუკუნე გავილებს დავით აღმაშენებლის ხანას; ხანას ქართველი ხალხის გმორული ბრძოლისა და შრომისა. ქართველი ხალხი თავის ხსოვნაში ინახავს და კეთილს მიაგებს ქვენის წინსელისათვის მებრძოლ მოღვაწებს, რომელთა შორის განსაკუთრებულად მოიხსენიება მეცე დავით IV აღმაშენებელი. ■





1826 წლის 5 მაისს გრანადაში ქვეყანას მოვალინა ევგენია მონტიხო. გოგონა მიწისძერის დროს დაბადებულა. დედამისს, წარმოშობით ესპანელ დიდგვაროვანს, კარგად იცნობდნენ პარიზის ბოჰემურ წრებში. სტენდალი ხმირად სტუმრობდა მას, მერიმე კი დამების ულამაზებდა. გოგონამ საფრანგეთში სამონასტრო განათლება მიიღო, მისი გატაცება ისტორიითა და პოლიტიკით გასაკვირი არ გახლდათ, დედამისი თავგადაკლული ბონაპარტისტი იყო. 1848 წელს საფრანგეთი რევოლუციას მოეცა. პარიზელებმა დროებითი მთავრიობა აიძულა ქვეყანა რესპუბლიკად გამოეცხადებინა. 1848 წლის აპრილში საფრანგეთში გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები. მცირე ხნის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, შემოიღო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი. 1848 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა შარლ ლუი ნაპოლე-

რკინის მილედი

საფრანგეთის ნანასანები ელოფაცი

მას „შევნიერ აუნტიურისტის“ უწოდებდნენ. ვინ იფიქრუბდა, რომ ესპანელი ლამაზმანი საფრანგეთის მმართველი გახდებოდა და მის გუნდა-განწყობილებაზე იქნებოდა დამიკიდებული ვეროპისა და ლამის მსოფლიოს ბეჭი? მეორე მსოფლიო ომერიის შემქმნელის, საფრანგეთის ომპერატორის, ნაპოლეონ III-ის არჩევანი საბერისწერო მხოლოდ მისთვის არ გამოძგარა.

ონ ბონაპარტიმა, იმპერატორ ნაპოლეონ I-ის მშისწულმა. მან ამომრჩეველთა 75% მიიღო. ამ მოვლენის შემდეგ ევგენია მონტიხოს ოჯახისას სწრაფოდ პარიზში დასახლდა.

შევნიერი, ტანადი, ცისფერთვალა ესპანელი ქალიშვილი პარიზის სალონებში შინაურულად გრძნობდა თავს. მართალია, განათლება აკლდა, მაგრამ ძალიან გამჭრიახი, თითქმის მამაკაცური გონება ჰქონდაო, — წერს მისი ბიოგრაფი თქლავ ობრი. ევგენია დედაზე უფრო დინჯი და გაწონასწორებული იყო, არც მასავით იყო გაგიუცებული გართობა-არშიყობაზე. ეს კი მისდამი საყოველოა პატივისცემას იწვევდა. გემოვნებით იცვამდა, თავის დაჟერაც საუცხოო იცოდა, იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენადაც მოხიბდლავი.

1850 წელს საფრანგეთის ახალარჩეული პრეზიდენტის ლუი ნაპოლეონის ბიძაშვილმა მატილდამ წვეულებაზე ევგენიას ადგილი სწორედ ირმოცს გადაბიჯებული პრეზიდენტის გვერდით მიუჩინა. ლუი ნაპოლეონი გაოცე-

ბული უსმენდა ვეგენიას უღურტულს, თითქმის არ ესმოდა მისი ნათქვამის შინაარსი, მაგრამ არც აინტერესებდა, შზად იყო, დაუსრულებლად ესმინა ამ ხმისთვის. ვეგენია კარგა ხანს ელოდა ბედნიერ დღეს, როცა ლუის გაიცნობდა, რადგან გაცილებით აღრე მტკიცედ გადაწყვიტა მისი ცოლითა. „ჯერ კიდევ გაცნობამდე მომწონდა, მზიბლავდა მისი რაინდული ქცევა სტრასბურგში, სადაც საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამდენი ხალხის აზვირთება შეძლო. ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია იმან, როგორ ღირსეულად აიტანა პატიმრობის სიმძიმე, როგორ უყვარდა სამშობლო, — კი, ნამდვილად, გაცნობამდე მიყვარდა“, — წერდა თავის მოგონებებში ვეგენია მონტიხო.

მატილდას სალონში გაცნობის შემდეგ ვეგენია და დედმისის ხშირად ხვდებოდნენ ლუი ნაპოლეონს. ერთხელ დედა-შვილი პრეზიდენტმა საზაფხულო რეზიდენციაში მიიწვია. იქ მისულებს სხვა სტუმრები არ დახვედრიათ. ლუი ნაპოლეონმა მომზიბლავ ესპანელ ქალიშვილს პარკში გასეირნება (რა თქმა უნდა, უდედოდ!) შესთავაზა და ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა უარი მიიღო. ლუი არ იყო ამას ჩვეული, ლამაზი ქალები ხშირად სტუმრობდნენ მის რეზიდენციას. უარმა უფრო გაამძაფრა მისი გრძნობა. მიხვდა, რომ ეს ქალი ადვილი დასაპყრობი არ იქნებოდა. ლუი ნაპოლეონი ვეგენიას წერილს წერილზე სწერდა, უჩიოდა მარტოსულობას, ქვევნის მარტოხელა მმართველის ბედს. ვეგენიას პასუხებში ისეთი მახვილგონიერება გამოსჭვიოდა, რომ ლუი კიდევ უფრო იხიბლებოდა, მომაგალ ბედნიერებაზე ოცნებობდა... ის კი არ იცოდა, რომ ვეგენიას წერილებს დედამისის ძველი მეგობარი, მწერალი პროსპერ მერიმე აწერინებდა.

ამასობაში საფრანგეთში პოლიტიკური მოვლენები ელვის სისტრაფით განვითარდა. 1851 წლის დეკემბერში ლუი ნაპოლეონმა ჯარის საშუალებით გადატრიალება მოახდინა და წარმომადგენლობითი კრება დაითხოვა, რასაც მოჰყვა სამხედრო დაპირისპირება პარიზის ქუჩებში. ნაპოლეონის მომხრებმა მოახერხე აჯანყებულთა დამარცხება. მომდევნო 1852 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა თავი იმპერატორად გამოაცხადა — ნაპოლეონ III-ის სახელით. აქტიური პოლიტიკური პროცესების ჩაწყარების შემდეგ ახალმა იმპერატორმა პირადი ცხოვრებისათვისაც მო-

იცალა. 1853 წლის 8 იანვარს ნაპოლეონმა საბოლოოდ გადაწყვიტა, ვეგენია მონტიხოსთვის შეეთავაზებინა გული და ხელი. რამდენიმე დღეში სასახლეში შეიკრიბენ სენატორები, მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები. შუალდისას მათთან შესახვედრად გენერლის მუნიციპანი დაბალი, დაბრუცილებებიანი, მოუხმავი მამაკაცი გამოვიდა. შეკრებილებს თავდაკვრით მიესალმა, ნელ-ნელა ავიდა მარმარილოს კიბეზე და სამეფო ტახტზე დაჯდა. იმპერატორ ნაპოლეონ III-ს ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა. კითხვა ხმადაბლა დაიწვიო (ასე აღწერს ამ სცენას ფრანგი ისტორიკოსი ოქტავ ობრი). „ქალბატონი, რომელიც მე ავირჩიე, კეთილშობილი ოჯახიდანაა, კათოლიკე, ისიც ისევე ლოცულობს საფრანგეთისთვის, როგორც მე. მე უპირატესობა მივნის ქალს, რომელიც მიეყრას და ვაჭახებ, ჩემთვის ოჯახური ბედნიერება მეტს ნიშნავს, ვიდრე წარმომავლობა“ წაპოლეონს, რა თქმა უნდა, კრისტიც არ დაუმრავს იმაზე, მანამდე როგორ ცდილობდა დანათესავებოდა და ვეროპის რომელმე მონარქის ოჯახს.

მინისტრებიც კი აღშევოთდნენ, როცა შეიტყვეს ნაპოლეონის რჩეულის ვინაობა. ნაპო-

იმპერატორი ნაპოლეონ III





საფრანგეთის ოთხი ნაპოლეონი: ნაპოლეონ I, მასი გაუი ნაპოლეონი, მეტერიენტი და შემდეგ იმპერატორი ლუი ნაპოლეონ III და ამ უკანასკნელის გაუი ნაპოლეონი

ლეონის დაუძინებელმა მტერმა, პოლიტიკურ-მა მოღვაწემ და ისტორიკოსმა ლუი ადოლფ ტიერმა იანგლა — წინახედული კაცია, თუ ჩამოაგდებქმ, ქორწინების წყალობით ესპანე-ლი გრანდი მაინც იქნებაო.

1853 წლის 13 იანვარს პარიზის დვოთის დამჭრილის ტაბარში პარიზის არქეტისკომისმა ევ-გენიასა და ლუის ჯვარი დასწერა.

პარიზელები აღფრთოუანებით მიეგებნენ თეთრი ატლასის საქორწინო კაბაში გამოწყობილ დედოფალს, რომელმაც უცებ მოიგო პარიზელების გული. როცა ევგენიამ შეიტყო, რომ პარიზის მერია მისთვის 600 ათას ფრანკანი ყელსაბამის ყიდვას აპირებდა, განაცხადა, — გაცილებით გამაბედნიერებთ, თუ ამ თანხას ქველმოქმედებისთვის დახარჯავთ, არ მსურს, საქორწინო საჩუქარი ტვირთად და-აწეს ქვეყანას, რომელიც ახლა ჩემი ქეყა-ნაც გახდაო.

გარეული სიამტკბილობის მიუხედავად, წყვილი ძალიან განსხვავებული იყო როგორც შეზღულებებით, ასევე წარმოშობითა და ასა-

კით. ლუი ცოლზე თითქმის 20 წლით უფროსი გახლდათ, ევგენიამ ძალიან კარგად იცოდა, როგორ უნდა დაეჭირა თავი ქმართანაც და სხვებთანაც. როცა ლუი ოთახში შემოდიოდა, კრძალვით დაებოდა ფეხზე, თუნდაც ოთახში მათ გარდა არავინ კოფილიყო.

თანდათანობით ევგენიამ მდგომარეობა გა-იმყარა. ქმრის ავანტიურიზმი მისთვის უცხო ადარ იყო. სტენდალი წერდა, — ნაპოლეონ III-ის დროს სასახლის კარზე მოწყენილობა სუფევდა, მაგრამ ევგენია მოწყისობ ყვე-ლაფერი გამოაცოცხლა, სახალისო გახდაო.

დედოფალი ეტიკეტს არ დაგიდვეთ — სა-მეფი კარზე რეპუტაციაშელახულ ლამაზ მომღერლებსაც შეხვდებოდით და ასტროლო-გებსაც. ნაპოლეონი ბერდებოდა, სცენაზე ნელ-ნელა მისი მეუღლე გამოდიოდა. ქმარს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, დედოფალს მონდომებით ასწავლიდა ქვენის მართვას და ევგენიაც, ნიჭიერი მოსწავლე, უკვე „რგნის მილედი“ გახდა. სასიყვარულო თავგადასაუ-ლებს შშვენივრად უთავსებდა პოლიტიკურ ავანტიურებს.

1859 წლიდან დედოფალი მინისტრთა კა-ბინეტის თითქმის ყველა სხდომას ესწრებო-და. სწორედ მას მიწერენ საფრანგეთის სას-წრაფოდ გამოყანას ავსტრიასთან ომიდან ჩრდილოეთი იტალიის მიწებისთვის. გერმა-ნია ავსტრიის დასახმარებლად ჯარს აგრო-ვებდა. დედოფალმა ნაპოლეონი დაარწმუნა, რომ ომი საფრანგეთის სასიკეთოდ არ დამ-თავრდებოდა და ნაპოლეონმაც ფრანც-იოსებ-თან ზავი დადო.

საფრანგეთი თავისი დიდების მწვერვალ-ზე იდგა, მისი იმპერატორის თანხმობის გა-რეშე ევროპაში ვერც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ვერ მოხდებოდა. მსოფლიოს ბედი პარიზში წყდებოდა და უმე-ტესწილად გადაწყვეტილებას სწორედ დედო-ფალი იღებდა.

ნაპოლეონ III-ის მმართველობის ბოლო წლებში დედოფალს მძიმე წინათგრძნობა უღრღნიდა გულს. „ჩემი სიცოცხლე დასასრუ-ლისენ მიდის, მაგრამ მე ჩემს ვაჟიშვილში აღ-ვდგები“, — წერდა 1869 წელს. ევგენიამ არ იცოდა, რომ მეორე იმპერიის დაცემის მოწმე გახდებოდა და ქეყნიდან გაქცევა მოუწევდა. არც ის იცოდა, რომ კიდევ ნახვარ საუკუნეს დევნილობაში გაატარებდა და შვილის სიკ-ვდილის შემდეგ კიდევ 40 წლითადს იცოცხ-ლებდა.

1870 წელს წინაშენელოფუნად დაიძაბა საფრანგეთსა და პრუსიას შორის ურთიერთობა. იმავდროულად, საკუთრივ საფრანგეთში თანადათან მატულობდა უქმაყოფილება იმპერატორის მიმართ. ერთ-ერთი პირველი ნაპოლეონ III-ის გარემოცვაში სწორედ ევგენია იყო, რომელმაც გნაცხადა, იმპერიას მხოლოდ ომი გადაარჩევს და იმპერატორი პრუსიასთან ომზე დაითანხმა, რათა როგორც ამბობდა, თავიდან აცილებინათ რევოლუცია. ომის საბაბად კი ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობის საკითხი იქცა. ვაკანტურ ტახტზე პრეტეზიას აცხადებდა პრუსიის მეფის ვილჰელმ I-ის ნათესავი. ეს კი საფრანგეთის ინტერესების შებღოლვა იქნებოდა. ნაპოლეონ III-მ დიპლომატიური არხებით მიაღწია დაერწმუნებინა ვილჰელმ I უარი ეთქვა ესპანეთის ტახტისათვის ბრძოლაში ჩამახვე, მაგრამ ბოლო მოქნეტში საფრანგეთ-პრუსიის დაპირისპირება კარგად გამოიყენა პრუსიის კანცლერმა ბისმარქმა და ფალსიტიციორებული, საფრანგეთისათვის შეურაცხმყოფელი წერილის საშუალებით აიძულა ნაპოლეონ III ომი დაეწყო პრუსიასთან.

1870 წლის აგვისტოში დაწყებული სამარი მოქმედებები მალე დასრულდა საფრანგეთის სამარცხვინ მარცხით. 1-ელ სექტემბრს სედანის მიდამოებში იმპერატორი ნაპოლეონ III თავის არმიასთან ერთად ტყვედ ჩავარდა. ეს იყო საფრანგეთის არმიის გაუგონარი ტრაგედია, რომელიც ისტორიაში

ნაპოლეონ III და ბისმარქი „სედანის კატასტროფის“ შემდგ

შევიდა „სედანის კატასტროფის“ სახელით. საფრანგეთის მეორე იმპერიაშ არსებობა პრუსიასთან საომარი კრაშის შემდეგ დასრულდა. შეურაცხმყოფილმა ფრანგებმა იმპერატორს ტახტზე უარის თქმა მოსთხოვეს. ნაპოლეონ III ამბობულ პარიზში აღარ დაპრუნებულა, სამაგიეროდ, ევგენიას დაატყდა ფრანგების რისხვა.

„საფრანგეთის ისტორია მეორდება, მაგრამ ზომ არ დაველოდები, ვიდრე თავს მომკეთებ“, — თქვა დედოფლმა გაქცევის წინ.

სასახლიდან ევგენია დაქირავებული ეტოლით გაიქცა, ჯიბეში ერთი ეკაუც არ ედო...

სიცოცხლის დარჩენილი დღეები სიღარიბეში გაატარა.

1873 წელს ნაპოლეონი დიდ ბრიტანეთში გარდაიცალა. ექვსი წლის შემდეგ ნაპოლეონისა და ევგენია მონტისოს ერთადერთი კაუში ლუი აფრიკაში, ზუღუსებთან ბრძოლაში დაიღუპა. ევგენიას კი იმედი ჰქონდა, საფრანგეთი გონის მოვა და ქვეყნის მმართველად ჩემს გაეს მიიწვევს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების დღეს, როცა დედოფლადყოფილმა გერმანიის დამარცხების ამბავი შეიტყო, კმაყოფილებით თქვა, — „მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ ამ დღეს მოვესწარი! ახლა შემიძლია თავაწეული მოგვდე, საფრანგეთი ევდარაუერში დამადაცაშაულებს“.

მოამზადა ნანა ანტონიუ-ილურიძე





გილრგი XI

კახთველი ვალი იჩანში

საქართველოსა და ირანის ურთიერთობა მრავალ საუკუნეს ითვლის. ამ ორმა ქვეყანამ საწლევულები ერთმანეთის წინააღმდეგ ომებში გაატარა, თუმცა იშვიათად, მაგრამ ერთმანეთის მოკავშირეებადაც გვევლინებოდნენ. საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლა, ირანთან ურთიერთობის განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა ორივე ქვეყნის ისტორიაში. საქართველო ოდითვანვე თავს იცავდა თავისი სამხრეთით აგრესორისაგან. ამიტომაც საქართველო მუდამ ძლიერი მოკავშირის ძიებაში იყო, რასაც ობიექტურ მიზეზთა გამო წარმატებით ვერ ახორციელებდა. ძიების პროცესში შეცდომაც მრავალჯერ დაუშვია.

სამხედრო პოტენციალით გაცილებით ძლიერ ირანს, ქართველები ზშირად მოქნილ დიპლომატიას უპირისპირებდნენ. ასე მოხდა ვახტანგ V შაჰნავაზის დროსაც. ვახტანგმა შეძლო თავისი მეფობის პერიოდში აღმოსავლეთ საქართველო გაეერთიანებინა და დასავ-

ლეთ საქართველოში თავისი შეილი, გიორგი XI გაემეფებინა.

ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1675 წელს ირანში მიმავალი ვახტანგი გარდაიცვალა, მამის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ირანში წავიდა, სადაც მას მხოლოდ ქართლი დაუმტკიცეს, გახეთი კი ყიზილბაშ ხანს გადასცეს.

გიორგის მამის პოლიტიკა არ გაუგრძელება, აშკარად დაუპირისპირდა ირანის შაჰს. გიორგი XI (1677-1688) ებრძოდა ქართლის სპარსოფილ თავადებს და ისწრაფოდა დამოუკიდებლობისკენ. ირანის შაჰს ჰუსეინ I-ს (1677-1722) არ მოსწონდა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესები, მან გიორგის არჩილის დაჭერა დავალა, რომელმაც ახალციხის ფაშასთან დამყარა ურთიერთობა. გიორგიმ ბრძანება არ შეასრულა და კახეთის დაკავებასაც შეეცადა. ურჩობისთვის მას შაჰმა ქართლი ჩამოართვა და ირანში გაიწვია, თუმცა გიორგი არ დაემორჩილა და თავისი ძალებით შეეცადა ქართლის დაკავებას, მაგრამ დამარცხდა. 1688 წელს ქართლი სამართვად გამაპ-

მადიანებულ ერეკლე ნაზარალი-ხანს გადაეცა (1688-1703).

გიორგი 1691 წელს ისევ გადმოვიდა ქართლში, ოთხი წელი ებრძოდა ერეკლეს, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია. იძულებული გახდა ირანში შაპს ხლებოდა. ქართლის დაბრუნება მხოლოდ 1703 წელს შეძლო, თუმცა შაპს მას ირანის სპასალარობაც უბოძა და ირანში დატოვა, ქართლში კი ლევანის გაჟი ვახტანგი, შემდეგში ვახტანგ VI, დაინიშნა ჯანიშინად.

საქართველო-ირანის ურთიერთობაში განსაკუთრებით საგულისხმოა ერთი ფაქტი: ირანი შესანიშნავად იყენებდა ქართველთა სამხედრო თუ ადმინისტრაციულ ნიჭს და ამ მხრივ დიდ წარმატებებსაც აღწევდა. ამის ნათელი დადასტურებაა გიორგი XI-ის მოღვაწეობა ირანში. ქართველმა „გალმა“, როგორც მას ირანში უწოდებდნენ, შეძლო და დროიებით მოუგვარა ირანს ავდანი ტომების შემოსევის პრობლემა. გიორგი ქირმანის ოლქის გამგებლად დაინიშნა. ვალი ირანის ჯარის სპასალარი იყო. რეალურად მხოლოდ 2 000 ქართველი ჯარისკაცი ახლდა თან, თუმცა ავღანელთა შემოსევებს წარმატებით უკმაღლებოდა.

ამის თაობაზე საკმარი დასინტერესო ცნობები აქვს შემონახული ისტორიკოს სქნია ჩხეიძეს, რომელიც გიორგი მეფეს თან ახლდა ენდაბარში და თოთქმის კედლა ბრძოლაში მონაწილეობდა.

სეფოანთა ირანს უდიდეს პრობლემებს უქმნის ავღანი ტომების შემოსევა, სწორედ იქ, სადაც საჭირო იყო გორიზოული გადაწყვეტილებების მიღება და შესაძლო მოკავშირის პოვნაც შეიძლებოდა, გიორგი მეფე შეცდომა დაუშვა. შანის ეძლევიდა ავღანელებთან კავშირის შემდეგ მათიან ერთად შეეტია ირანის თვის, რაც გამოიწვევდა ქართლისა და კახეთის ირანის ბატონობისგან გათავისუფლებას. ამის სანაცვლოდ იგი დაუპირისისირდა ავღანელებს და უდიდეს წარმატებას მიაღწია. არწავებია არც ერთი მცირე შეტაკება თუ დიდი ბრძოლა ავღანელებთან.

ის, რომ ირანის როტელი მდგომარეობით არ ისარგებლეს ქართველებმა, განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. პირველი ის, რომ გიორგის თავიდან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა შაპთან და ავღანელებთან, წარუმატებელი ალიანსის შემთხვევაში ალბათ სიკედილით დასჯიდნებ; მეორე ის, რომ მიუხედავად დიდი წარმატებებისა, შაპ ჰუსეინი მას მაინც არ უკურებდა კეთილი თვალით. ირა-



ქართლის მეფე ვახტანგ VI

ნი ახერხებს როტელ პერიოდშიც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ქართველები. ეს ფაქტი თავის მხრივ, ქართველთა გაუბედაობასა და თავის ძალებში დაურწმუნებლობაზე მიუთითებს. იგივე განმეორდა მოგვანებით, როდესაც ვახტანგმა თავისი გაჟი ბაქარი არ გაუშვა ირანში ჯარით, როდესაც ისპაპანს აგრძალებებმა ალევა შემოარტყეს და აიღეს..

ამ პერიოდში ქართულ სამხედრო ძალას უკრძნობა ირანი. ქირმანის ოლქის გამგებელი და ირანის სპასალარი გიორგი მეფე, ირანის მდიდარებული კი — მისი ძმა ლევანი. ქირმანის ოლქში ამ დროისთვის დახლოებით 2 000 ქართველია გიორგი მეფეს გარშემო შემოკრებილი. ქართველები ამ ჯარით მხოლოდ ერთხელ, 1711 წელს დამარცხენენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა მეფე ქაიხოსრო II და ბატონიშვილი ალექსანდრე. ამის შემდეგ კი მირვეისმა კედლა ბრძოლა მოუკარს. 1712 წელს 20000-იანი ირანული არმია 5000-იანი ჯარით სასტიკად დაამარცხა. ამ ბრძოლის შედეგად ავღანელებმა ხელთ იგდეს გირიშების ციხე. აღსანიშნავათ, რომ ირანული სარდლები თავისი ჯარით თითქმის უბრძოლველად ნებდებოდნენ ავღანელებს. ქართველმა მეფებმა მოახერხეს ავღანელთა შეჩერება, ამას ვერ გიორგი XI აკეთებდა, მის შემდეგ კი ქაიხოსრო



ისპაპანი. XVII საუკუნის იღუსტრაცია

II (1709-1711). მათი გრძლეცალების შედეგობის დიდი პრობლემა ირანისთვის მოუგვარებლად იქცა, რამაც 1722 წელს ბოლო მოუღო კიდევ სეფიანების დინასტიას და ირანში ავღანელთა მმართველობა დაიწყო.

ირანში გიორგი XI-ის წარმატებები თავის მხრივ გზას უსწინდა გახტანგ VI-ს, რათა აქტიური პოლიტიკა ქარმოლებინა ქართლში. მან მმართველობას ჩამოაცილა მისთვის არა-სასურველი პირები. 1705 წლის საეკლესიო კრებაზე ქართლის კათალიკოსად მისი ძმა ლომენტი აირჩიეს, რითაც მეფემ ეკლესიის მხარდაჭერა მოიპოვა.

წარმატებები დიდხანს არ გაგრძელებულა. 1709 წელს გიორგი მეფეს მირ-ვეისმა დანათესავება შესთავაზა და ნადიმშე მიიპატიუა, სადაც ვერაგულად მოკლეს. ამის შემდეგ 2 წლით გიორგის ადგილი ქაიხოსრო II-მ დაიჭირა, რომელიც 1711 წელს ქალაქ ყანდაარზე იერიშისას დაიღუპა.

ამის შემდეგ „აურჯისტანის ვალის“ ტახტი კვლავ თავისუფალი დარჩა. ირანში მყოფ ქართველთაგან ამ ტახტზე ბევრს ჰქონდა პრე-

ტენზია, მაგრამ შაპშა არჩევანი ვახტანგზე გააკეთა. ვახტანგი 1712 წელს ირანში ჩავიდა, სადაც მას ტახტს გამაპმადიანების შემდეგ დაუშტკიცებდნენ. ვახტანგმა უარი თქვა სარწმუნოების შეცვლაზე, როს გამოც მან ტახტი 1716 წლამდე ვერ მიიღო.

გიორგი მეფისა და ვახტანგის შეცდომებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მათ ვერ შეძლეს სახელმწიფოსთვის საჭირო ერთობლივი პოლიტიკის შემუშავება. გიორგის წარმატებებით მართალია ისარგებლა ვახტანგმა, მაგრამ ეს არ იყო დიდი პოლიტიკის შედეგი, ეს ლოგიკური ნაბიჯი გახლდათ გიორგის წარმატებათა ფონზე. იძღვნად ვერ ისარგებლეს, რომ ქაიხოსროს გარდაცალების შემდეგ ვახტანგმა ძალიან დასუსტებულ ირანსაც კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა და იძულებული აღმოჩნდა ირანში ხლებოდა შაპს.

დასუსტებულმა ირანმა შეძლო აერია ოდნავ დაწყნარებული სიტუაცია, რომელიც ვახტანგმა დატოვა ქართლში და ირანზე დამოკიდებულება ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ვახტანგი აკონტროლებდა ქართლში

ეოფნის დროს სიტუაციას, თუმცა მან თავისი ჯანიშინობის პერიოდში ვერ შეძლო ზელი-სუფლების ისე გაძლიერება, რომ მთლიანად აელაგმა ქვეყანაში სპარსეთის ძალაზე დაყრდნობილთა თარეში.

ვახტანგმა მიიღო მაპმადიანობა 1716 წელს, თუმცა ქართლში მხოლოდ 1719 წელს დაბრუნდა. მის დაბრუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში ჩნდება იდეა ქართლ-სომხური სახელმწიფოს შექმნისა. ვახტანგი ინიშნება სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად. მან მოაწეო ლაშქრობა ლეკებზე და წარმატებითაც. შაპისთვის ვახტანგის გაძლიერება და ზემოთ ხევნებული ორი ქვეყნის გაერთიანება მიუღებელი იყო. მან ლაშქრობის შეჩერება მოითხოვა, რასაც სამწუხაროდ ვახტანგი დათანხმდა. ამ ლაშქრობის შემდეგ კი დაიფიცა, რომ შაპის ბრძანებას აღარ შეასრულებდა. ამის გმო მან მისი ერთ-ერთი ბოლო შანსიც ხელიდან გაუშვა, როდესაც შაპი დახმარებას სთხოვდა ავღანელთა ალყის წინააღმდეგ. იმის ნაცვლად, რომ ირანში ლაშქრობა მოვწყო და ავღანელთა მაგივრად ქართველებს აეღოთ ისპაპანი, ბაქარს უკინ დაბრუნება მოითხოვა. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია არ არის იმაზე, რომ ქართველებს ამ დროს ირანის დაპყრობაზე უნდა ეფიქრათ, მაგრამ მათ ჰქონდათ სერიოზული შესაძლებლობა, თუნდაც მათივის სასურველ პირს დაეკავებინა შაპის ტახტი. შეცდომა იყო ასევე ლეკებზე ლაშქრობის შეწვეტა. ირანს არ გააჩნდა იმის რესურსი, რომ ვახტანგის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საქართველოში ლაშქრობა მოვწყო. და თუ მოაწყობდა, აუცილებლად დამარცხდებოდა, რისი თქმის საუკეთესო საცხოვრისაც მათი და ავღანელების ომები იძლევა.

აღსანიშნავია, რომ შაპ ჰუსეინი იყო ერთ-ერთი უსუსტესი მმართველი სეფიან შაპთა შორის. მის დროს ავღანელებმა მოახერხეს ირანის დედაქალაქის აღება და სეფიანთა დინასტიის.

აღსანიშნავია, რომ შაპ ჰუსეინი იყო ერთ-ერთი უსუსტესი მმართველი სეფიან შაპთა შორის. მის დროს ავღანელებმა მოახერხეს ირანის დედაქალაქის აღება და სეფიანთა დინასტიის.

ავღანელთა ბეჭდი მირ-ვეისი



ქართლის მეფე გიორგი XI

ის დამხობა. ეს იყო ჰქონილი, როდესაც ქართველ მეფეებს უნდა მოახერხებინათ ქართლ-კახეთის გაერთიანება და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რაღაც ირანს მხოლოდ სიტყვით თუ შეძლო იმ დროისათვის საქართველოს წინააღმდეგ რაიმე სანქციონის გატარება. მას არ შეიწვდა სამხედრო ოპერაციის ჩატარების ძალა.

გიორგი XI, ქაიხოსრო II და ვახტანგ VI ვერ ახერხდნენ ერთობლივი პოლიტიკა წარმოებინათ ირანის წინააღმდეგ. გიორგი და ქაიხოსრო ირანს იცავდნენ ავღანელების-გან, სწორედ მათი დახმარებით მიაღწია ირანმა 1722 წლამდე. ვახტანგმა კი ხელიდან გაუშვა შანსი, ჩარეულიყო ირანის საშინაო პოლიტიკაში და თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ბევრი რამ.

წმირად გამოითქმის ისტორიაში აზრი, რომ ამა თუ იმ დიდ მეფეს ქვეყნის გაერთიანებასა და გაძლიერებაში ეპოქაშ შეუწყო ხელი. სწორედ ასეთი ეპოქა ვერ გამოიყენეს იმ ჰქონილში ქართველმა მეფეებმა.



სტუკნ სპილბერგის გახმაურებულმა შავ-თეთრმა ფსიქოლოგიურმა დრამამ „შინდლერის სია“, რომელმაც შევიდი თესკარი და იმსახურა, მსოფლიო ექრანები მოიარა და საქართველოშიც „ჩამოაღწია“. ამდენად, საქართველოში ბეჭრი რამ იციან ამ ფილმის შესახებ, ისიც იციან, რომ საუკეთესო ფილმად აღიარებული კინოშედეგები ცნობილი ავსტრალიელი მწერლის, თომას კენელის არანაკლებ გამშაურებული წიგნის, „შინდლერის კიდობნის“ ექრანიზაციაა. სიუკეტი კი ნაწარმოებისა და ფილმისა ერთდროულად მძიმეცაა და გასაოცარიც, თუ როგორ შეძლო ერთმა გერმანელმა მწარმემ დაღუპვისგან ქმნა 1200-მდე ებრაელი ჰოლოკოსტის დროს მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაგრამ ბეჭრმა როდი იცის, რომ თურმე ქართველებსაც გვყოლია „ჩვენი შინდლერი“. ამჯერად სწორედ ქართველი შინდლერის შესახებ მოგითხობთ.



„ქართველი შინდლერი“

ქართველ-ებრაული ურთიერთობის ისტორია სათავეს ათასწლეულთა სიღრმიდან იღებს. მასში გამორჩეული ადგილი უკავია II მსოფლიო ომის პერიოდს. მაშინ, როცა ემიგრაციაში გახიზნეული ქართველობა თავადაც განსაცდელში იმყოფებოდა, მისმა არაერთმა წარმომადგენელმა თავდადებული მოქმედებით დაღუპვას გადაარჩინა არა მსოლოდ ქართველი ებრაელები, არამედ ისინიც, ვინც წარმოშობით საქართველოდან არ ყოფილა.

II მსოფლიო ომის დაწყებას ქართველი ემიგრაცია არაერთგვაროვანად შეხვდა. მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთა შორისაც ძირითადად სოციალ-დემოკრატები იყვნენ, გერმანიას უნდობლობა გამოიყენადა. თავიანთ მოკავშირედ კი დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდნენ.

ქართველ ემიგრანტთა რადიკალურად განწყობილი ნაწილი, რომელიც მოქმედებდა პრინციპით „ჩემი მტრის მტერი — ჩემი მეგობარია“, მიიჩნევდა, რომ II მსოფლიო ომში გამარჯვებული გერმანია ისევე დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-

ში, როგორც ეს I მსოფლიო ომის დროს მოხდა.

იმ ქართველთა საქმიანობის შესახებ, რომლებიც ომში გერმანელთა მხარდაჭხარ იბრძოდნენ, აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს. მათ საქციელს ზოგნი მართუბულად, ხოლო ზოგნი — გაუმართლებლად მიიჩნევენ.

უდავოდ მნიშვნელოვანი მოულენა იყო გერმანიის ტყვეთა ბანაკებში თავმოყრილ ათეულ ათასობით ქართველ სამხედრო ტყვეთა (საბჭოთა კავშირის ყოფილ მოსამსახურეთა) ფიზიკურად გადარჩენა, რაც გერმანიის სამსახურში მდგარმა ქართველმა ემიგრანტებმა ამ ქვეყნის მესვეურთა დახმარებით მოახერხეს. ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც გერმანიის მესვეურთა ნდობით სარგებლობდნენ. მათ შორის პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩეონ:

1. აღმოსავლეთის (ანუ „განზენს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი მიხეილ ახმეტელი. გერმანიაში საქართველოს ელჩის, ვლადიმერ (ლადო) ახმე

ტელის მმისწული. სოვეტოლოგის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მეგობრობდა III რაიხის იდეოლოგ ალფრედ როზენბერგთან;

2. „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორი, ფიზიკოსა და გეოპოლიტიკოსა, დოქტორი ალექსანდრე ნიკურაძე. მეგობრობდა როზენბერგსა და არნო შიკედანცთან, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად აშადებდა;

3. მდიდარი ქართველი ექიმი გიორგი მაღალაშვილი. მისი მეუღლე მონიკა უიტი იყო უმდიდრესი მრავალის ქალიშვილი;


4. შალვა მაღლაშვილი, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩევლად, ხოლო 1944 წლის მაისში მიიჩიჭა ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება. ასლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამხედრო მესვეურებთან, მათ შორის „აბერის“ (სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელ ადმირალ ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისან.

გერმანელთა ნდობით ასევე სარგებლობდნენ ემიგრანტები: „აბერისა“ და „გესტაპოს“ (საიდუმლო პოლიცია) თანამშრომელი მიხეილ კედია; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცირები: ფრიდრიხ წულუკიძე, დიმიტრი შალიგაშვილი, გიგი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაა, მიხეილ ქვთარაძე; „კავკასიის საგანგებო შტაბის“ თანამშრომელი ალექსანდრე ცომაა; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ წერეთული, კიტა ჩხენკვლი (საგარეო საქმეთა მინისტრ აკაკი ჩხენკვლის ძმა), შალვა ამირეჯვაძი და სხვები.

მიხეილ კედია იყო ვაჟი მექი კედიასი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმს ხელმძღვანელობდა.

თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მიხეილ კედიას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ქართველი შინდლერი“. საინტერესოა, როგორ ჩადგა იგი გერმანელთა დაზვერვისა და საიდუმლო პოლიციის რიგებში.

1940 წლის შემოდგომაზე, ოკუპირებულ პარიზში ჩავიდა გერმანიის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი, რომელსაც დავალე-



მახუდ კედია



გიგი გაბლიანი

ქართული ლეგიონი პოლონეთში (26 მაისი, 1943 წ.)



ბული პქონდა ქართული ემიგრაციის საკითხის შესწავლა. მან გააუქმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა, ხოლო ოფისის მდივნი დააპატიმრა.

აუცილებელი გახდა სასწავლოდ გამოენახათ ისეთი ვიზმე, ვინც გერმანიის ხელისუფლების წინაშე შეძლებდა ქართული ემიგრაციის ინტერესთა დაცვას. იგი საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო გარკვეული არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, სრულყოფილად სცოდნიდა გერმანული ენა.

ეს ფრაად საპასუხისმგებლო მისია ქართულმა ემიგრაციამ დააკისრა მიხეილ კეთიას. იგი დიდხანს ცხოვრობდა გერმანიაში, დაამთავრა პაიდელბერგის უნივერსიტეტი. დაკისრებული ამოცანა მან პირნათლად შეასრულა. შჭიდრო ურთიერთობა დააძყარა ყველასთან, ვინც ამა თუ იმ კუთხით უკავშირდებოდა საქართველოს და ქართული ემიგრაციის საკითხს. მის უახლოეს მეორბართა შორის იყვნენ: გერმანიის ყოფილი ელჩი საბჭოთა

კავშირში, გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერშულენბერგი; როზენბერგის ხელმძღვანელობით მოქმედი აღმოსავლეთის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე; SS-ის („დამცავი რაზმი“ — გასამსედროუცული ორგანიზაცია ნაციისტური პარტიის შემადგენლობაში) კაუკასიური დეპარტამენტის უფროსი ერის ენგელჰაუპტი. საგულისხმოა, რომ სამივე მათგანი დაკავშირებული იყო 1944 წელს წილურის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. აქედან პირველი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მესამეს რუსთის ფრონტზე უკრეს თავი.

ომის დწევების შემდეგ ქართული ემიგრაციის ყველაზე მტკვნეულ პრობლემას წარმოადგებდა როგორც ქართველ სამხედრო ტყვეთა, ასევე ნაციისტთა კლანჭებში ჩაგარდნილ ქართველ ებრაელთა გადარჩენა.

საფრანგეთის ოუბაციის შემდეგ, ნაცისტებმა ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ებ-



რაელებიც დააპატიმრეს. მათ შორის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრჩეველობის მინისტრის კოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, რომელიც ქართველ ემიგრანტთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული ეროვნული საგანძურის ეკაკუაციისა საფრანგეთში. მისი მოხერხებულობის წესით, 1922 წელს საქართველოს დევნილმა მთავრობამ ხელსაყრელ ფასში შეიძინა პარიზის ახლოს და ასეთი დააპატიმრეს.

1940 წელს, როდესაც საფრანგეთში შეჭრილ გერმანელ კუპანტთა შიშით, პარიზელთა ნაწილი ტოვებდა მშობლიურ ქალაქს, იოსებ ელიგულაშვილმა სოლიდური თანხა გაიღო, რათა ეშოვა ავტომანქანა საქართველოს მთავრობის კოფილით თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას გადასარჩენად.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 1940 წლის 14 თებერვალს, პარიზში, საქართველოს დამფუძნებელი კრების ემიგრაციაში მყოფი დეპუტატების წინაშე ნოე ჟორდანიამ ოფიციალურად დაგმო ნაცისტური გერმანიის პოლიტიკა და მხარი დაუჭირა გერმანიასთან მებრძოლ დასვლების სახელმწიფოებს.

ქართველ ემიგრანტთა ჩარევითა და მიხეილ კედიას მოხერხებულობის წეალობით, გერმანელებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს იოსებ ელიგულაშვილი. ამის შემდეგ, იოსები მიხეილთან ერთად იბრძოდა ქართველ ებრაელთა გამოსახსელად.

ებრაელთა გამოხსნას, ტიტანურ ენერგიასთან ერთად, უდიდესი გაბედულებაც სჭირდებოდა. ებრაელთა მფარველობაში მხილებული სასტიკად ისჯებოდნენ. ამის მიუხედავად, ქართველმა ემიგრანტებმა მაინც გადადგეს ეს ნაბიჯი და საკმაოდ შედეგიანადაც.

1941 წლის 10 მარტს პარიზის სამხედრო კომენდანტ დოქტორ შტენგერს გაეჭავნა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მემორანდუმი. მასში აღნიშნული იყო, რომ ქართველი ებრაელები სემიტები კი არ არიან, არამედ ქალდეველები, რომლებმაც იუდაიზმი იწამეს და კავკასიაში დამკვიდრდნენ.

ეს იყო გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელ გრაფ დე ბრინიონისადმი გაგზავნილი იოსებ ელიგულაშვილის მემორანდუმი, რომელიც შემდგვერებას გადაეცა. მასში გატარებულია ამგარი აზრი: ქართველი ებრაელები იმდენად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, რომ არასდროს მიუტოვებიათ იგი; ქართველებსა და ებრაელებს საერთო აქვთ ენა, ცხოვრების წესი, ეროვნული წეს-ჩვეულებანი, რის გამოც ისინი არიან ქართველი პატრიოტები, ნაციონალისტები და ვერაფრით ვერ გაიზიარებენ ვერც კომუნისტთა ინტერნაციონალისა და ვერც სიონისტურ მისწრაფებებს; ქართველი ებრაელობა არ გამოირჩევა რამე განსაკუთრებული ებრაული ნიშნებით; ისტორიას არ ახსოეს თევზდაც უმცირესი ანტაგონიზმი ქართველებსა და ებრაელებს შორის.

სხენებული მემორანდუმი იოსებ ელიგულაშვილმა შეცნიერული არგუმენტებითაც შეამაგრა და აღნიშნა: 1. ქართველები არიან დოლიქოფალები (გრძელთავიანები), ებრაელები — ბრაქიკუფალები (მოკლეთავიანები). ვონაიდან ქართველი ებრაელებიც დოლიქოფა-



ტუშენალდის ტკუთხა ბანაკი

ფალები არიან, ისინი ეთნიკურად არიან ქართველები და არა სემიტი ებრაელები; 2. ქართველი ებრაელები წარმოიშვნენ კავკასიაში გადასახლებულ ქალდეველთა იუდაიზაციის შედეგად; 3. თავის ქალის ფორმის გარდა, ქართველ ებრაელებს ქართველებთან აკავშირებთ ცხვირის ინდექსი, ნიკაპის პროპორციები, საერთო ფიზიკური კონსტიტუცია.

აღსანიშვნაია, რომ ეს არგუმენტაცია დასაბუთებულად მიიჩნიებ ნაცისტებმა მაღალჩინოსნებმა, რომლებსაც ამაში დაბეჯოთებით არწმუნებდნენ მათი ქართველი კოლეგებიც (ძირითადად მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი და გვია გაბლიანი).

იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ებრაელები მხოლოდ სარწმუნოებით იყვნენ ებრაელები და არა ანთოპოლოგიურად, მათ ქართველი ემიგრანტები ერთხმად მოიხსენიებნენ — „მოსეს რჯულის ქართველებად“.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ნაცისტებმა გაუშემს ქართველ ებრაელთა დაპორტაციის განკარგულება. ამის წყალობით, 70-მდე ქართველი ებრაელი პირდაპირ სიკვდილს გამოჰვიჯეს ხელიდან. ამასთანავე, მიხეილ კედიას შიერ დაშაბდებული ყალბი დოკუმენტებით სიკვდილს გადაარჩინეს არაქართული წარმოშობის (პოლონელი, რუსი, ფრანგი) ებრაელებიც. ამ კამპანიის შედეგად, დაახლოებით ათასზე მეტი ქართველი და ვეროპელი იხ-

სნეს, რამაც არნახულად აამაღლა ქართველ ემიგრანტთა ავტორიტეტი და მრავალი ახალი მეგობარი შესძინა მათ.

იოსებ ელიგულაშვილის ლევწლს ასე აფასებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი კონსტანტინე კანძელაკი: „...იგი თვით ძევლი და გამოცდილი ქართველი დიდორზელებისა და საქმის კაცების ფურადლებას და პატივისცემას იმსახურებდა... განსაკუთრებული განსაცდელი გადაიარა საფრანგეთის რკაპაციის დროს, როცა ებრაელებს ებრაელობისათვის ოკუპანტები ასი ათასობით სპობდნენ. მთელი ქართველი ებრაელობა ამ დროს იოსებთან იყრიდა თავს და მისგან მოელოდა შველას: მისი ცოდნის, ენერგიისა და თავდადების იმედი ჰქონდათ. იოსებმა მოახერხა მთელი ქართული ემიგრაციის ერთსულოვნად დაინტერესება ქართველი ებრაელების გადარჩენით და მათი საკითხი საქართველოს ისტორიას დაუკავშირა. ამ საქმეში მან როგორც ქართველების, ისე უცხოელთა დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი დიდი ენერგიული მუშაობით სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდად ასწია მისი პრესტიუსი უცხოელ ებრაელთა თვალში და საქართველოსაც ახალი სიმპათიები შესძინა... იოსების ამ ბრწყინვალე საქმეს ვერ დაივიწყებს ვერც ქართველი ემიგრანტი ებრაელობა და ვერც საქართველოს ისტორია, რადგან ამ საქმით აღდგა უცხოელების თვალში საქართველოს ისტორიული ტრადიცია — ყველა ერისა და სარწმუნოების პატივისცემისა და დაცვის. თვითონ ასე აფასებდა ამას და ამბობდა ხოლმე: „ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩენებ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდებათ!“

ყოველივე ზემოთქმულში იოსებ ელიგულაშვილს აქტიური მხარდაჭერა და მფარველობა სწორებ მიხეილ კედიამ გაუწია.

ემიგრანტ ალექსანდრე ცომაიას შეფასებით: „მიხეილ კედია... გამოიჩინა ტაქტი, ინტელექტი, საღი აზროვნებისა და ადამიანის გაცნობისა და დამეცნებების შესანიშნავი უნარი. ბერლინში მან მოახერხა მჭიდრო კავშირის დაშვარება ყველა იმ პერსონასთან და განყოფილებასთან, რომელიც რაიმეთი უკავშირდებოდა საქართველოს საკითხს... კედიამ ბევრის მიღწევა მოახერხა... როგორ ეპყრობოდნენ ნაცისტები ებრაელებს — ყველასათ-

ვის ცნობილია. და მაინც, არც ერთ ქართველ ებრაელს ისინი არ შეტყობინა. მახვილ კედიამ შეუძლებელს მიაღწია, — მან მოახერხა სპეციალური სტატუსის მოპოვება ქართველ ებრაელთათვის და ასე გადაარჩინა არა მარტო ასობით მათგანის სიცოცხლე, არამედ სხვა ებრაელებისაც, რომლებიც თავს ქართველებად აცხადებდნენ“.

მიხეილ კედიას დაეკისრა კონტროლი ქართველი ებრაელებისათვის პირადობის მოწმობის გაცემაზე. ამისთვის მან შექმნა ქართველ ებრაელთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში იოსებ ელიგულაშვილი ჩაუყენა. სწორედ აღნიშნული კომიტეტისა და „ქართველი ემიგრანტების საქმეთა სამმართველოს“ თანხმობის შემთხვევაში, კომიტეტის თანამშრომელი, ემიგრანტი ა. ქორქია გასცემდა დაინტერესებულ პირებზე „ეროვნების დამადასტურებელ მოწმობას“. „გესტაპოსა“ და ქართველებს შორის აღნიშნულ ოქმასთან დაკავშირებით ხშირი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ეროვნების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა მაინც ისე ხერხდებოდა, როგორც ეს მიხეილ კედიასა და მის გუნდს სურდა. ამით მათ უამრავი

ქართველი ებრაელი იხსნეს რეპრუსიებისგან.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის განთავისუფლების შემდგე, ქართველთა თანადგომა ებრაელებმა სათანადოდ დააგასტეს. საფრანგეთის ებრაელობამ, მთვარი რაბინის მეთაურობით, სასამართლო პროცესზე ერთხმად დაუჭირა მხარი მიხეილ კედიას და მოითხოვს დაპატიმრებულ ა. ქორქიას გათავისუფლება. ისინი ყოველთვიურად ფინანსურად ქმარებოდნენ მათ ოჯახებს, რაც არ შეწყვეტილა მიხეილ კედიას ოჯახის გერმანიიდან წასვლის შემდგაც.

გერმანიის დამარცხების შემდგე, მიხეილ კედია შენგვაში გადასახლდა. 1946 წლის 3 მაისს მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის განმავლობაში, მე შევძელი უამრავი ქართველი და სხვა ეროვნების ებრაელი მეხსნა ზოგიერთი გერმანელი ფუნქციონერის დასჯისაგან. ამის გამო, მე ვიღებდი მადლიერების წერილებს პარიზის მთვარი რაბინს — ვაისისაგან, Association Culturelle Sepharadite de Paris-დან და Groupement Georgien de Confession Mosai-

ჰიტლერი დამარცხებული საფრანგეთის დედაქალაქში...





ებრაული ტყვების მოწვევი ეშველონი თხვენციის ბანკში

იყენება პრეზიდენტისაგან. ტექსტები აქ არის დართული. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამის გა-კეთება შეეძლი შხოლოდ სამი ჯენტლმენის შემწეობით საქართველოს კომიტეტიდან. ესენი არიან: გიორგი მაღალაშვილი, მიხეილ ალ-შიბაია და გვივი გაბლიანი, რომლებსაც ამ საკითხზე ჩემნაირი შეხედულება ჰქონდათ და დახმარებაც გამიწიეს“.

მიხეილ კედაას ზემოხსენებულ ჩვენებას თან ახლდა სათანადო დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებდა.

1944 წლის 16 ოქტომბერს, პარიზის მთა-ვარი რაბი იულიუს ვაისი მიხეილ კედაას წერდა: „ბატონ ელიგულაშვილისაგან შევიტევთ იმ დიდი სამსახურის შესახებ, რაც გაგიწევიათ ებრაული აღმსარებლობის მქონე თქვენი თანამემშეულებისათვის, დიდსულოვანი დახმარებით რასისტული კანონისაგან მათი გადარჩენით და მე ვუერთდები იმ მადლიერების გრძნობას, რასაც ისინი განიცდიან. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი მადლობა და დიდი პატივისცემა მათი კეთილდღეობის უანგარიდ დაცვისათვის“.

პარიზში მოქმედი ებრაული კულტურის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი ი. მოსერის

მიერ 1944 წლის 18 ოქტომბერს მიხეილ კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ პატივი გვქონდა ღრმა მადლიერება გამოგვეხატა მინისტრ ვაგენი გეგეჭკორისა და მისი მეგობრებისათვის, რადგან ისინი შთამბეჭდვად გამოესარჩლნენ ჩვენს თანამორწმუნებს გერმანელ მაღალჩინოსანთა წინაშე. გვინდა გადმოგცეთ, რაოდენ გავიხარეთ, როცა შევიტევთ თქვენი მამაცური და გულითადი ქმედების შესახებ.“

გმადლობთ გულითადობისა და სამართლიანობის გრძნობისათვის, რომელიც ასე უხვად გააჩნია კეთილშობილი ქართველი ერის ტრადიციებს. თქვენ არა მარტო გაილაშქრეთ თქვენი ებრაული მოქალაქეების დასაცავად, რისთვისაც ჩვენც ვიბრძოდით ოთხი წლის განმავლობაში, არამედ უფრო მეტიც — წარმატებით შეძელით გეხსნათ მრავალი მეგობარი საკონცენტრაციო ბანაკებიდან. თავს მოვალედ მივიჩნევთ, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ, გამოეხატოთ თქვენდაბი უდიდესი მადლიერება და მორალური ქმაყოფილების ღრმა გრძნობა“.

„მოსეს რჯულის ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტი იოსებ ელიგულაშვილის მიერ 1944

წლის 15 აგვისტოს მიხეილ კედიასადმი გაგრძენილ წერილში ვკითხულობთ: „მოახლოებული განთვისუფლების უამს, ნება მომეცით ჩემი რელიგიის წარმომადგენლებისა და პირადად ჩემი სახელით გამოუხატო მადლიერუბა და დაფუსება იმისა, რაც თქვენ ჩვენთვის გაკეთოთ ჩვენ არ მოუტყუვდით რწმენაში, როცა თქვენმი დავინახეთ ქართველი პატრიოტი, რომელიც ოკუპაციის დროს ჩვენს სიცოცხლესა და ინტერესებს დაიცავდა. გმადლობთ მამაცობისა და იმ შეუპორობისათვის, რაც გამოიჩინეთ ანტიებრაული კანონმდებლობისაგან ებრაელთა გამოსახსნელად. ამას გარდა, ებრაელების შეპრობისას დაუყოფნებლივ აკეთებდით ყველაფერს მათ გასათვისუფლებლად. თქვენს ასეთ ქცევას არ გვუკვირვებითართ იძირომ, რომ ვიცით თქვენი ერის ღირსეული ტრადიციების შესახებ. თავს უფლება მივეცი და შევატყობინე ყოველივე ეს პარიზის უფროს რაბინს და საფრანგეთის ებრაელთა რელიგიურ კავშირს, რომელებიც გამოხატავნ თავიათ პატივისცემას და სურთ პირადად გადაგიხადონ მადლობა. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მთელი გულით და გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საქმეები

ყოველთვის წარუშლელად დარჩება ჩვენი და ჩვენს თანამომებ ებრაელთა მეხსიერებაში“.

ებრაელთა გადარჩენაში, მიხეილ კედიასა და ზემოხსენებული პირების გარდა, დიდი წვლილი შეიტანეს სხვა ქართველმა ემიგრანტებმაც. მათ შორის გამოირჩიოდნენ მოგვაანებით წმინდანად შერაცხული არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე და ზემოხსენებული შალგა მაღლაკელიძე, მაგრამ მათი მოღვაწეობის აღნიშნული კუთხით განხილვა უკვე ცალკე კვლევის საგანია.

ამრიგად, ემიგრაციაში მყოფ ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა II მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ორივე ერის წარმომადგენლები უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ არა შხოლოდ შეინარჩუნეს, არამედ განამტკიცეს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანადგომის ის საუკთხოს ტრადიციები, რომლებიც თავიათი წინაპრებისაგან მეტკიდრუბით ერგოთ. მიხეილ კედიას კი, ვინც გადამწყვეტი როლი შეასრულა მრავალი ქართველი ებრაელის სიცოცხლის გადარჩენაში, თამაბად შეიძლება ქრიდოს – „ქართველი შინდლერი“.

ოსვენციმის ტყვეთა ბანაკი





ჯონ მორგანი ფილის მარტაბით ყველაზე სიციუროფიცი „მანანა“ მსოფლიოში

ჯონ პაიერპონტ მორგანი, ამერიკის შეერთებული შტატების უგვირგვინო მეფე, 1913 წლის 31 მარტს გარდაიცვალა. მსოფლიო ეკონომიკამ დაკარგა საბანკო საქმის გენიოს, ხოლო მონაბრძლიშმის მოწინააღმდეგებმა — თვილას სტანდარტის მიერთებულის ბირჟა პანიკამ მოიცვა.

ჯონის მამამ, ჯუნიუს სპენსერ მორგანმა უბრალო ვაჭრობით დაიწყო, 40 წლის ასაკში კი მისი კაპიტალი რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენდა. უფროსი მორგანი ვაჟიშვილს მეცნად ზრდიდა — მეტვიდრეს მამის თვის უნდა ეჯობნა.

ჯონი სუსტი აღნაგობის ბიჭი იყო. მამას კი უნდოდა, ყველაფერში პირველი ყოფილიყო. ნახევარ წელიწადს მწოდიარე ატარებდა, მაგრამ სიმხნევის შენარჩუნებას მაინც ახერხდებდა. გაკვეთოლებს არასოდეს აშჩადებდა და მაინც შესაიშნავდ სწავლობდა.

პატარას რევმატიული ციებ-ცხელება გაუმწვვდა და მშობლებმა აზორის კუნძულებზე გააგზავნეს. სხეულებამ იძულებული გახდა, თავი დაქნებებინა სკოლისთვის, სადაც საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. სამაგიეროდ, სამხრეთის შექმნა მასზე სასიკეთოდ იმოქმედა.

ჯონი თავის მდგომარეობას განიცდიდა,

მაგრამ მაინც ეარშიყებოდა მიმზიდველ გოგონებს. უძმრავ იტალიელ და პორტუგალიელ გოგონას ყვავილებსა და შოკოლადს უგზავნიდა. აზორის კუნძულებიდან დაბრუებული, თავაუღებლად მეცადნეობდა. ერთი წლის შემდეგ კი მამამ სასწავლებლად შვეიცარიაში გაგზავნა. იქ ჯონ მორგანმა გერმანული და ფრანგული სრულყოფილად შეისწავლა. შენებიდან ლონდონს გაემგზავრა, დედაქალაქის ყველა მუხურში მოინაზულა და სასარგებლო, საქმიანი ნაცნობობა გაიჩინა.

ომი და პიზენი

მალე ჯონ მორგანი ამერიკაში ბრუნდება: იწყება ჩრდილოეთ-სამხრეთის ომი, რომელიც კომერციაში ჩახედულო ოქროს წვიმას პპირდება. ტალახი, სისხლი, მარშები და კონტრმარშები: გენერალი ჯექსონი გენერალ შერმანს ფეხდაუებს მისდევს, გენერალი გრანტი გენერალ ლის უტევს — მათ ჯარისკაცებს

კი ჩექმები და თოფები სჭირდებათ.

ჩრდილოელების ფლოტის მიერ თვის მიმწოდებელ-პლანტატორებს მოწყვეტილ ინგლისის ფაბრიკებს კი პაერივით სჭირდებათ სამხრეთის ბამბა. მამა-შვილი მორგანები დიდ საქმეებს ატრიალებებს; ჯონს იმდენად მოსწონს ბიზნესისა და ისეთ ალოს ამჟღანებს, რომ უფროსი მორგანი თავს უხერხულადაც კი გრძნობს.

ის თვისებები, რომელიც მას ორი ათეული წლის შემდეგ ყველაზე ცნობილ მორგანად აქცევს, დასაწყისშორე მედავნდება: ცივი გონებით მოქმედებს, ანგარიშიანია, კონკურენტებისა და კომპანიონებისადმი დაუწინდებლია, თან მეტისმეტად რისკიანი. ჯუნიუსი ბუზლუნებს, შვილს ვეღარ ვუგებ, ავიწყედება, რომ ქრისტიანი პირველ ყოვლისა მოყვასზე უნდა ფიქრობდესო... მაგრამ ჯონ მორგანის შეჩერება უკვე შეუძლებელია. მსოფლიოში უელის მკეთებელი უველაზე სრულყოფილი „მანქანა“ ამოქმედდა და ყველა, ვინც კი ჯონს იცნობს, ხვდება, რომ ეს მხოლოდ დასწყისა.

მორგანი დიდ სიმაღლეებს იპყრობს, სწორედ ამ დროს ქვია ცხოვრებაში ყველაზე დიდ სიყვარული. რინიგზის მაგნატის ქაღიშვილი — ბრწყინვალედ აღზრდილი, ტანკენარი, სათხო ამელია სტერვისი... მოულონდელად, ბერძება უმუხსოლა. მიმი აყად გახდა. გოგონას ოჯახში სულ უფრო ხშირად ისმოდა აგებედითი სიტყვა „ტუბერკულოზი“. მამამ ჯონს ურჩია, ამელიას ცოლად შერთვაზე უარი ეთქვა, მაგრამ შვილმა ფურიც არ ათხოვა. საქორწიო ცერემონიალის მეორე დღე პატარაძალმა, მწოლიარებ გაატარა. ექიმებმა ცოლ-ქარს ალჟირში გამგზავრება ურჩიეს. ჯონ მორგანმა ბიზნესს თავი ანება და მთელ დღეებს ცოლის საწოლთან ატარებდა. ქალი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, როცა მამამ საერთო ბიზნესთან დაკავშირუბული საქმის გამო შვილი პარიზში გამოიძახა. ჯონი პარიზში მხოლოდ ერთ დღეს დარჩა. შეორუ დღეს იგი უპავ გემზე იყო და ალჟირისეკნ მიემგზავრებოდა. მიმის მომაკვდავს ჩაუსწრო... მისი გარდაცვალების შემდეგ მორგანს ბედნიერება აღარ ღირსებია.

თოთალური კონტროლი

ჯონს ისევ მოეძალა ავადმყოფობები, ძლიერ დაღლილობასაც უჩიოდა. გასუქრდა, გაპირქუშდა, მთელი დღე მუშაობდა — სწორედ მა-



ჯონ ჰაიერპონტ მორგანი
— საბაჟო საქმის გენიოსი

შინ ჩამოყალიბდა მისი საქმიანობის ის სტილი, ასე რომ აძრწუნებდა კონკურენტებსაც და მეგობრებსაც. იგი აკინტროლებდა ყველასა და ყველაფერს, არც ერთი დეტალი არ გამოეპარებოდა, თან დაპქონდა უამრავი წიგნაკი და როცა მისმა ბიზნესმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ერთ კაცს თვალყურის მიდევნება გაუჭირდებოდა, — ბლოკბორტები ამავე რაოდენობის თანამშრომლებმა შეცვალეს. საქმიანი მოლაპარაკების მისეული მანერა, აგრძეს ული და დანის პირივით ალესილი წესიერი ვიქტორიანული სულისკვეთებით აღზრდილ პარტიიორებს აკვირებდა. მორგანი ბიზნესში იმის ხერხებს იყენებდა: ჯერ ზვერაჟდა, მერე ბრძოლას იწყებდა და დამარცხებულ მოწინააღმდეგებს ბოლომდე ანადგურებდა. ჯონ ჰაიერპონტ მორგანი ელვას სისწავით მდიდრდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისს ასობით მილიონი დოლარის სესხი ჰქონდა განთვალსებული. ამ საქმეში ერთადერთი შეამავლი მორგანის ბანკი გახლდათ.

აი, სწორედ აქ გამოადგა ჯონს ინგლისში, ახალგაზრდობაში დამყარებული უთთიერთობები და ისიც, რომ ამ ქვეყანას შესანიშნავად იცნობდა. მალე მორგანი ბანკების სუპერმონოპოლისტი გახდა, მერე — რინიგზის მეფე, ოქრო-

თი და იარაღით კი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაჭრობდა. მორგანი ქვეწის ქველაზე ძლევა-მოსილი ადამიანი გახდა. იმდენად დიდი იყო მი-სი ძალაუფლება და გაფლენა ქვეყანაში, რომ თანამემამულებებში ხან რელიგიურ თაყვანისცემას, ხანაც მისტიკურ შიშის იწვევდა.

ახალგაზრდა ქერივმა მორგანმა ფრენსისი (ფანი) ცოლად ისე აირჩია, როგორც ერთ დროს პაპის პაპა საჯიშე ძროხებს იძირებდა. ფანი დიასახლისობდა, ერთი ვაჟი და სამი ქა-ლიშვილი გაუჩნა ჯონს და ცხოვრებას უმწა-რებდა გაუთავებელი წუწუნით. მორგანი ძვე-ლებურად ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ ამას იმდენად შეეგუა, რომ ტკიფილს თითქმის არ გრძნობდა.

მორგანი უზარმაზარ ფულს შოულობდა და იმდენად ხელგაშლილად ხარჯავდა, რომ მილიარდერი მეტობრები გაორგნებული იყენებ. მას უყვარდა ხელოვნება და ჭკუას კარგვდა ქალებისთვის. მისი საყვარლები ნიუ-იორკის ულამაზესი ქალები იყენებ. მეტობრებს შურ-დათ მილიარდერის სასიყვარულო წარმატე-ბებისა, თავად მორგანი კი დარწმუნებული იყო, რომ ქალებს იგი არ მოსწონდათ მათ იზი-დავდა მილიონების მაგიური ძალა, მისი ზღაპ-რული სიმდიდრე.

ტაბობა ქველორმაზებით

ჯონ მორგანი განათლებული კაცი გახლდათ და შეეძლო საათობით ესაუბრა სკულპტურებ-სა და სურათებზე. მას საბანკო საქმის გენიო-სად მიიჩნევდნენ და ეს სრული სიმართლე იყო. მორგანს კი თვითდაჯერუბულობა აკლდა: მა-ზინჯი და ხელმოცარული გრო, — ფიქრობ-და. არ უყვარდა ცოლი, არ ენდობოდა საყვარ-

ლებს, ეზიაზლებოდა კონკურენტები, კომპანი-ონები კი მოწყენილობას პგვრიდნენ. შეებასა და სიხარულს მხოლოდ ხელოვნება ანიჭებდა.

მორგანი ყველაფერს ყიდულობდა: რუ-ბენსის, მიქელანჯელოს, ტინტორეტოს, ვატოს, ანტიკურ მარმარილოს, აღორძინების ხანის ბრინჯაოს, მანუსკრიპტებს, გობელენებს, რა-ინდების საჭურველს, რომაულ ფრესკებს, პო-ლანდიურ გრავიურებს, ფაიფურს, ძვირფას ნა-ქარგებს. ამაში მილიონები იხარჯებოდა.

მორგანი ამერიკის ყველაზე დიდი ქველ-მოქმედი გახდა. თვის განძს მუზეუმებს სწი-რავდა და მალე მახვდა, რომ გაცემა უდიდესი სიამოგნების მიმტანი შეიძლება იყოს. „მეტ-რობოლიტენ მუზეუმის“ კოლექციის უდიდეს ნაწილს მორგანის მიერ ნაჩუქარი შედევრუბი წარმოადგენს.

ჯონ პაიერპორტ მორგანი მას შემდეგ გარ-დაიცვალა, რაც აშშ-ის სენატმა მისი მოდგა-წეობის ანტიმონობოლიური განხილვა მოწყ-ო. დიდი უსიამოვნება არ შეხვედრია, მაგრამ მისტერ მორგანი საშინლად აღელდა, ამბობ-და, მსოფლიო წესრიგი დაირღვა და ოთრი რასის აღსასრული დგებაო. სტრესმა ერთ-ერ-თი ქრონიკული დაავადება გაუმწვევა და რამ-დენიმე კვირაში გარდაიცვალა...

დღევანდელ ფასებზე გადაანგარიშებით, მორგანმა ხელოვნების უნიკალური ნიმუშე-ბის შეძენას მილიარდი დოლარი დაახარჯა, „მეტრობოლიტენ-მუზეუმმა“ მიიღო ანდერ-ძით დატოვებული უძვირფასესი ხელოვნების ნიმუშები. მორგანის საბანკო სახლი გადარჩა და საფინანსო სამყაროში დღესაც დიდი გაფ-ლენით სარგებლობს.

მხოლოდის ერთ-ერთი უძღიდრუს ადამიანს მძიმე ხასიათი ჰქონდა





სასამართლო... ეკლესიის ეზოში

ქართული ტრადიციული სამართლის საწყისი ადათობრივი სამართალია. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ, ქვეყანას სახელმწიფო საკანონმდებლო სისტემა მოიცავს. ბუნებრივია, ის ადგილობრივ ეთნიკურ ტრადიციულ სამართალს ემყარება. ქვეყნის დასუსტებისა და პოლიტიკურად დაქაქებისას კი ცენტრს მოწყვეტილ მხარეებში ზოგჯერ კანონი ადათობრივ სამართალში გადაიტანა.

ეპლესიის სახელით...

ტრადიციული ქართული სამართალი რელიგიური პოსტულატებიდან მომდინარეობს. ფერდალური ხანის საქართველოში საერო და საეკლესიო სამართალი გვერდიგვერდ არსებობდა. ესა თუ ის საქანონმდებლო აქტი შეიცავდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხასიათის დადგენილებებს. სახულიერი შინაარსის ძეგლებს მოქმედი სამართლის ხასიათი ჰქონდა და სჯულის კანონი ქართველთა ყოფის არაერთ საკითხს აწესრიგებდა.

ქართული ტრადიციით, ეკლესია (ჯვარი, ხატი) გახლდათ ის საკრალური ადგილი, სადაც მოქმედებდა ტრადიციული სამართალი და გამოპქონდათ განაჩენი.

ქართველი მთიელის მოსაზრებით, ჩვეულებითი სამართალი დაკისებან დაწესებული, ეკლესიისგან ნაკურთხი წესი და ადათა, სამართლის აღმსრულებელი — მედიატორი კი

ღვთის რჩეულ კაცად აღიქმება.

ჩვეულებით სამართალს საქართველოს ტრადიციულ ყოფაში ზნეობით გამორჩეული და სამართლის მცოდნე პირები აღასრულებდნენ. სვანეთში მათ მოურავები (მორვები) ერქეათ. „ფშაურ რჯულით“ ყოველგვარ საქმეს განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ თქმის მიერ არჩეული ხევისბერები და „რჯულის კაცები“, ხევსურეთში ასევე „რჯულის კაცები“ და სხვ.

მსაჯულ-მედიატორი, ხალხის რწმენით, „ღვთის კაცა“, რადგან „საღვთო საქმეს“ — მშვიდობის დამყარებას, მესისხლეობის აღკვეთას ემსახურება. განსაკუთრებით მძიმე საქმის განხილვაში 12 მსაჯული მონაწილეობს და თანამოფიცართა რიცხვიც 12 უნდა იყოს. თანამოფიცართა ეს ძირითადი რაოდენობა (იგი იზრდება 24-მდე ან მცირდება 6-მდე) დამახასიათებელი იყო დასავლეთ კვრობის ქვე-



ნებისთვისაც. ამ შერივ გასაზიარებელია მეცნიერთა ვარაუდი, რომ იგი დაკავშირებულია ქრისტიანულ სწავლებასთან, სახარების გადმოცემებთან, ქრისტეს 12 მოციქულთან.

ქვენის ერთიანობის დაშლისთვავე, ქართველი მთიელები იწყებენ განსაკუთრებულ ზრუნვას ტრადიციული მართლწერიგის შენარჩუნებისათვის. მაგალითად, სვანეთის საისტორიო ღოკუმენტებით (XIV-XVII ს.ე.)

ცნობილი ხდება, რომ „ერთობილი სვანეთის ხევის“ საბუთები — „დაწერილები“, „ქვენის სამგრობლები“ ქართველი საეკლესიო და საერო სამართლის ნორმების განმტკიცებისა და მართლწერიგის დამყარებისკნაა მიმართული. „სვანეთის ხევისათვის“ რელიგია წარმო-

ადგენს ქართველი ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნების უმთავრეს მექანიზმს. სამართლებრივი ხასიათის საბუთების შემდგენელი „სვანეთის ერთობილი ხევი“ („უზედაესიც და უქვედაესიც“, „ვარგიც და გლეხიც“) — საკანონმდებლო აქტების აღსრულების გარისტად დასჯის იმ თვზარდამცემ მექანიზმს მიიჩნევს, რაც ეკლესიიდნ განკვეთაში მდგომარეობდა.

„დაწერილები“ ანუ „განაჩენები“ საეკლესიო წიგნებს შორის ინახებოდა ან ამ წიგნების თავისუფალ არშიებზე იწერებოდა, რითაც „აქტებს“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა — ეს „აქტები“ უკვე ეკლესიისგან „დამოწმებულად“ მიიჩნეოდა და მიღებული გადაწყვეტილებაც, ცხადია, უპირობოდ აღსრულდებოდა. უფრო გვიან კი ქადალდის დეფიციტის შედეგად გაჩნდა ხეზე ამოკვეთილი „დაწერილებიც“.

რელიგიური მუხტი მძაფრად იკვეთება ხევსურულ სამართალშიც („რჯული“). აქაც, ისევე როგორც სვანეთში, ცოდვაბრალუელობის საკითხები ერთმანეთისგან განუყოფელია.

ფეოდალურ საქართველოში მკაცრად ისჯებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფა. მოპარული შვიდმაგად უნდა ანაზღაურებულიყო და დამნაშავეს „სუპატო“ სასკოლიც მოგზადა...

„ფშაურ რჯულითაც“ რელიგიური მსოფლიხედვით განიხილებოდა როგორც წმინდა სამართლებრივი ხასიათის პრიბლებები, ასევე, საზოგადოებრივი ყოფის სხვა საკითხებიც. ხევში ბოლო დრომდე შემოინახა „საბჭო“ გერგეტის სამების ეკლესიასთან. აქ განიხილებოდა ხევის საზოგადოებრივი ყოფისა თუ კერძო დანაშაულთა ესა თუ ის მხარე. „ოუმის კაცებს“ — ავტორიტეტულთ და სამართლის მცოდნეთ საბჭოში გამოპქონდათ განაჩენი, რომელიც მოდავე მხარეებს უნდა შეესრულებინა.

ფიცის ძალა

ტრადიციული სამართლის აღსრულების გარანტი ეკლესია (ჯვარ-ხატი) და იქ აღვლენილი ფიცი იყო. ანუ სამართლის წარმოება, პროცესი, განაჩენის გამოტანა და აღსრულება ეკლესიის სახელით ხდებოდა.

კანონიკური სამართლის ნორმების გავლენა ნათლად ჩანს ჩვეულებითი სამართლის აღსრულების პროცესშიც და მის აღმსრულებელთა შერისაც: ამ მხრივ, აღსანიშნავია სვანეთში არსებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ყველი სადაცო საქმე ამჟმადაც ეკლესიასთან ან მის ეზოში განიხილება. „განაჩენსაც“ იქვე აცხადებენ. განაჩენის აღსრულების გარანტიად გვველინება ფიცი და შესაბამისი „დაწერილი“, რომელსაც იმავე ეკლესიაში ინახავნ.

ქართულ ჩვეულებით სამართალში შემონახულია ფიცის ინსტიტუტი. ფიცი, როგორც დამამტკიცებული საბუთი, ქართული სამართლისთვის უძველესი დროიდანაც ცნობილი. ფეოდალურ საქართველოში ჩეირად იფიცებდნენ როგორც სამოქალაქო დაცებისას, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, მკვლელობისას, თუკი სხვა მტკიცებულება არ არსებობდა. ფიცი ძირითადად ეკისრებოდა მოპასუხეს, ბრალდებულს; ქონებრივი დაფისას – იმ მხარეს, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სადაცო ქონებას. ფიცის დანიშვნის საკითხს სასამართლო წყვეტდა და გადაწყვეტილებას „ფიცის განაჩენი“ ერქვა. სვანურად ფიცს „ნაბან“-ი პქვია. ტერმინიც ძველქართულია. მომდინარეობს „ნაბან“-იდან, რაც ნაკურთხ წყალში ხატის ნაბანი წელით ფიცის დადებას გულისხმობდა. ქველი ქართული სამართლი ცრუ ფიცს უძინეს დანაშაულად მიიჩნევდა: „ცრუდ მფიცავი ათ წელ უზიარებელ იყოს: ორ წელ შესტიროდის, სამ წელ მსმნელთა თანა



სანური დროშის, ლეგის ბუნები



იყოს, ოთხ წელ დაკრძომით აღასრულოს, ერთ წელ თანა დადგეს და მერმე ღირს იქმნას ზიარებისა — კითხულობთ ძველ ქართულ სამართლის წიგნში. ცრუ მოფიცარი და ცრუ მოწმე ერთნაირ სასჯელს იმსახურებდნენ.

ფიცს მნიშვნელოვან ძალა ენიჭებოდა საქართველოს ყველა მხარეში: მაგალითად, ფშავის ჩვეულებითი სამართლით, უმნიშვნელოვანებს მტკიცებულებად ფიცი მიიჩნეოდა, არსებობდა „თანამოფიცართა“ ინსტიტუტიც. დაფიცება ხატში ხდებოდა. აუცილებელი იყო სანთელი, საკლავი და სასმელი. თუ ეჭვი ჰქონდათ ვინმეტე, ბოროტება ჩაიდინაო, იგი ხატში მიდიოდა, მიიფანდა საკლავს, მიიტანდა სანთელსა და სასმელს. ჯერ ხევისბერი იტყოდა: „ის, რასაც შენ გაბრალებენ თუ მართლია, წეველი და შეჩვენებული იყავიო“. ის კაცი „ამინ“, „ამინ“ — იახძა. მერე თვითონ იტყოდა: „თუ ამის ჩამდენი ვიყო, მოიშალოს ჩემი გვარი და სახენებელი“. ამ დროს ხევისბერი ჩააქრობდა სანთელს და დააქცევდა თასებს, ხოლო საკლავს თავს სჭრიდნენ. თუშეთში დამნაშავეს გამოსატეხად მის ნათესავებს ხატში აფიცებდნენ, ქურდს შვიდმაგად აზღვევინებდნენ ნაქურდალს; ლეჩხუმშიც გამოიყენებოდა ხატშე დაფიცება, დამნაშავეს ხატშე გადაცემთ გამოტეხდნენ; რაჭის ჩვეულებითი სამართლით, მედიატორები საქმის განხილვის დაწყების წინ დებდნენ ფიცს ნიშნად იმისა, რომ საქმეს სამართლიანად გადაწყვეტდნენ; გურიის ჩვეულებითი სამართლით, სასამართლო მტკიცებულებად ფიცი ითვლებოდა, სცოდნიათ ხატშე გადაცემაც („გადაჯვარე“). იმერეთშიც უმნიშვნელოვანეს სასამართლო მტკიცებულებად ფიცი ითვლებოდა. ფიცს დებდნენ ეკლესიებში მღვდლებისა და მოწმების თანდასწრებით მიწაზე დავის დროს კი ადგილზე იფიცებდა ის, ვინც მიწას იჩემებდა. არსებულა ე. წ. „ცოდვის მოკიდების“, „ცოდვის აღების“ წესი: დამფიცებელი სადაც მიწაზე დადგებოდა, მოდავეს ზურგზე მოკიდებდა და იტყოდა: „შენი ცოდვა შექინდეს, თუ სამანი აქ არ ყოფილიყოს“, ან დამფიცებელი მოდავეს ზურგზე მოკიდებდა და ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა, თან იფიცებდა (მსგავსი წესი სვანეთშიც დასტურდება). დამნაშავეს გამოტეხდნენ „ხატშე გადაცემით“.

„სისხლის სამართალი“ ძველქართულად

ქართული ჩვეულებითი სამართლის მთა-



გარი მიზანი სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. ტრადიციული სამართლის ძალით, მკვლელის საზოგადოებრივი სტატუსი დანაშაულის ჩადენისთანავე შევეთრად უარესდებოდა, მისი სოციალური და სულიერი უფლებები მყისვე იზღუდებოდა. მაგალითად, სკანერში მკვლელი ორ კაცთანაც არ უნდა გამოჩენილიყო, მხოლოდ ერთ ადამიანთან ჰქონდა დალაპარაკების უფლება, მკვლელს ასევე, კატეგორიულად ეკრძალებოდა ეკლესიასთან მიახლოებაც კი, არა თუ დღესასწაულებში მონაწილეობა. იგი ვერ მივიღოდა ქორწილში, ვერ დაესწრებოდა მიცვალებულისთვის წესის აგების რიტუალს, ანუ თემი ამ საშუალებებითაც ებრძოდა სისხლის აღების ადათს.

თემის ანუ ხატის დალატის უმძიმესი დანაშაულის შემდეგ მთავარ დანაშაულად ფშავში მკვლელობა ითვლებოდა. მკვლელს „მძკლეავს“, „ცოდვიანს“ ეძახდნენ. მათი აზრით, მკვლელს ცოდვა საიქიოშიც მიჰყებოდა, მას „მძკლის მზიდავს“ ეძახდნენ, რადგან ხალხის წარმოდგენით, მკვლელი მოკლულს საიქიოში ზურგით ატარებს. მკვლელის საზოგადოებრივი პრესტიჟი მკვეთრად ეცემოდა, იგი იძულებით გადაიხვეშებოდა სხვ თუშში.

უწყვეტ სისხლის ღვრას თემი აქტიურად



სვანეთში დაცულ ამ ხატებს „არ ედალატებოდა“...

უპირისპირდებოდა. ცდილობდა მოსისხლეთა შერიგებას. საზოგადოება ებრძოდა სისხლის აღების ჩეულებას. ფშაური მასალით, „ნიკო წიკლაურმა მოკლა იგანე ბოსლიაშვილი... მკვლელი... ასახლდა და გაეცალა სოფელს... მოკლულის ბიძაშვილებსა და ერთ-ერთ ძმას განუზრახავთ თავისისხლი აეღოთ მკვლელზე, სათანადო თადარიგსაც შესდგომიან. ეს ცნობილი გამზდარა მოკლულის დედისთვის. მან შეყარა თავისი ვაჟი და ბიძაშვილები, მოიხადა მანდილი, დაღო მათ წინ და თქვა: „ჩემი თხოვნაა, ნუ მოჰკლავთ მკვლელს, ცოდვიანის ცოდვას ნუ დაიდებო. იგი ისე მოკვდეს, თავისი მიწა არ ედირსოს“. რა თქმა უნდა, შვილი და ბიძაშვილები შეწუხდნენ, მაგრამ სხვა რა ძალა იყო, დაემორჩილნენ დედის თხოვნას“.

თუშეთის ჩეულებითი სამართლით, ზოგ შემთხვევაში სისხლის გამოსყიდვა და ამით შერიგებაც შესაძლებელი იყო. სისხლის შეფასებასა და საზღაურის რაოდენობას თუშეთში ხევისბერები და გვარის უხუცესები აკნონებდნენ. შესაჯულთა ეს კრებული „საბჭოში“ სხდებოდა და იქ თათბირობდა. მკვლელი ისჯებოდა თემიდან გახიზვნით. იგი, ამავე დროს, სინაცვლის ნიშნად თმა-წვერს მოუშვებდა და თავშიშველი დადიოდა. დადგენილი დროის

სვანეთში მკვლელი ორ კაცთანაც კა არ უნდა გამოჩენილიყო, მხოლოდ ერთ ადამიანთან ჰქონდა დალაპარაკების უფლება, ასევე, მკვლელს კატეგორიულად ეკრალებოდა ეკლესიასთან მიახლოებაც კა, არათუ დღესასწაულებში მონაწილეობა. იგი კერ მციროდა ქორწილში, კურ დაესწერებოდა მიცვალებულისთვის წესის აგების რიტუალს...

გასვლის შემდეგ, თუმი მას შეიწყვალებდა და მოკლულის ოჯახიც შეირიგებდა, თუმცა სისხლის საზღაურის აღება აქ სირცხვილად ითვლებოდა. შემრიგებელი ხევისბერი იყო. იგი აცხადებდა ბჟევის გადაწყვეტილებას „სისხლის გარიგების“ თაობაზე. თუკი ქადაგი გამოაცხადებდა, ლაშარის ჯვარი ბრძანებს, დამნაშავეს სისხლის საფასური არ გადახდესო, იგი საფასურისგან თავისუფლდებოდა, მაგრამ ხატს მაინც მიართმევდა ლუდით სავსე ქვაბს, ხარსა და ცხვარს.

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში აღნუსხულია და საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემონახულია „შეხვეწის“ ჩეულება. შეხვეწნა მონანიებითი ხასიათის სასჯელია. ეკლესია-მონასტრის წინაშე დანაშაულის ჩამდენი, „ხარითა და ერთითა საპალნითა პურლვინითა ეკლესიას შემონხუებოდეს და მაშინდა გაიძრჭობოდენ“. მონასტერი ორჯერ იღებდა დამნაშავისგან საზღაურს: ჯერ „შეხვეწისას“ — მონანიებითს, შემდეგ კა — საუკატიოს.

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში მკაცრად ისჯებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფა. მოპარული შვიდმაგად უნდა ანაზღაურებულიყო და დამნაშავეს „საუკატიო“ სასჯელიც მოხსადა: „თუ ვინ იპაროს, შევიდ ნაწილად ეზღვიოს და მონასტრისაი უპატიობაი დაებრჭობოდეს“. საუკატიოს რაოდენობას კი სასამართლო განსაზღვრავდა.

ცნობილია, ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ზნეობრივი ნორმების დაცულობაზე. ამ მხრივ უმნიშვნელოვანების იყო ნათესაობის (ხორციელი, სულიერი)

დაცვის საკითხი. ქრისტიანობაშ სისხლისმიერ ნათესაობას დაუქმატა სულიერი ნათესაობა – ნათელ-მირონი. საქართველოში მტკიცედ იცავენ სისხლისმიერ ნათესაობასაც და ნათელ-მირონსაც. ნათესაობის წამბილწველი მთელი საზოგადოების სიძუღვილს იწვევს. იგი მოიკეთება გვარიდან და სოფლიდან, აძვეუბენ თემიდან, ხშირად კი საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს მთიანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოგვინახა ეკლესია-მონასტრის „შეუვალობის“ წესის ის დანაშრევიც, რომელიც გულისხმობდა ჩვეულებას, რომ ეკლესიას ჰქონდა თავშესაფრის მიცემის უფლება.

თუმცა აკონტროლებდა არა მხოლოდ სოცი-ალურ და სულიერ, არამედ სამეურნეო ყოფა-საც. მკაცრად იყო დაცული კვირის უქმე. თუმცა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს შეთემთა

ცხოვრებას. ტრადიციული ნორმებიდან ყოველი გადაწვევა ისჯებოდა, რადგან მამაპაპურ ფასეულობათ უარყოფა დათისგან დაწესებული „წესების“ უარყოფად აღიქმებოდა, რასაც, ხალხური რწმენით, დათის უთურ რისხვა უნდა მოჰყოლოდა, გამოვლენილი სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების სახით ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა ყოველდღიური ყოფაც კი, არათუ ზოგადი ქცვის ნორმები.

ქართული ჩვეულებითი სამართლის სიცოცხლისუნარიანობას ასულდგმულებს მისი მომდინარეობა ძველქართული კანონმდებლობიდან, რომელშიც საერო და საეკლესიო სამართლით თანაარსებობდა. სწორედ რელიგია იყო ქართველთა ოვითშეგნების, ზეგანეულებების ჩამომყალიბებები და სამართლებრივი მარეგულირებელი მექანიზმი საუკუნეთა განმავლობაში.



ნაეკლესიარი ეცერმი, სადაც იმართუბოდა
სადაც საქმების განხილვა

დიდი იყო მოურავი?

ბიოჩი სახაცის მხი სახი

არიან ისტორიული პირები, რომელთა
ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ კამათი
დაუსრულებლად გრძელდება და
ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გაისმის. მათ
შორისაა გიორგი სააკაძე, XVI-XVII საუკუნეების
ქართველი მოღვაწე.

ისტორიულ წეაროებს მის შესახებ არაერთი
ცნობა შემოუნახავს. ეს ცნობები ქართლის
ცხოვრებაში სააკაძის როლისა და მნიშვნელობის
განზოგადებისა და შეფასების შესაძლებლობას
ქმნის. თუმცა საქართველოში დღემდე ვერ
შეთანხმებულან, ვინ იყო სინამდვილეში „დიდი
მოურავი“ — გვიანი შეუა საუკუნეების გამოჩენილი
სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოცდაათი წლის
განმავლობაში გმირულად იბრძოდა საქართველოს
ერთიანობისთვის, თუ ნიჭიერი და ამბიციური
მოღვაწე, რომელმაც პირველობისაკენ ლტოლვისას
ლამის ყველა და ყველაფერი წალეკა.



უკრნალი „ისტორიანი“ ახალ რუბრიკას „დისკუსია“ სწორედ გიორგი სააკაძის თემით
იწყებს — ერთი პიროვნების ორი სახე, ორი მოსაზრება სააკაძის მოღვაწეობაზე. ჩვენ გთავა-
ზობთ ორ პოზიციას, დასკვნა კი მკითხველისთვის მიგვინდია.

„დისკუსის“ სტუმრები არიან ერთი მხრივ — გვიო ჯამბურია, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, ავტორი წიგნისა „გიორგი სააკაძე“, მეორე მხრივ — როსტომ ჩხე-
იძე, მწერალი და პუბლიცისტი, რომელმაც ამ თემას არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა.

გიორგი სააკაძე

დიდი მოურავი

გიორგი სააკაძე — „დიდი მოურავი“, გვი-
ანი შეუა საუკუნეების გამოჩენილი სახელმწი-
ფო მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი. ოც-
დაათი წლის განმავლობაში გმირულად იბ-
რძოდა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარ-
ჩენისა და საქართველოს გაერთიანებისთვის.

სწორედ ამ ღვაწლის გამო, ქართველმა
ხალხმა მას „დიდი მოურავი“ უწოდა.

ეს დიდი, ისეთივე ეპითეტია, როგორიც
ქართველმა ხალხმა თავის გამოჩენილ შეილ-

როსტომ ჩხეიძე

ახალ შარავანდები

ერთი რაკურსიდან გიორგი სააკაძე მარ-
თლაც შეიძლება იწვევდეს აღტაცებასაც კი:
ვისაც ხიბლავს ძლიერი პიროვნება, ბუნებრი-
ვია, რომ სააკაძითაც მოიხიბლოს, თვით მე-
ფებსაც რომ არ ეპუებოდა და პირველობის-
კნ ლტოლვისას ლამის ყველა და ყველაფე-
რი წალეკა. არამცუ ქართლ-კახეთის მეფე-
ებს არ ემორჩილებოდა, თვით შაპ აბასს,
მთელს აღმოსავლეთს რომ აზანზარებდა და
ევროპის ქვეყნები მასთან მორიგებას ცდი-

თაგან მხოლოდ რამდენიმე შეარქვა, მათ შორის დავით აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს, სიმონ დიდს. ამით იმ მოღვაწეთა რიგს მიაკუთხა, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სამშობლოს წინაშე.

ჩოგანიად გულადი

ქართული და უცხოური წყაროებიც ერთხმად აღნიშნავენ გიორგი სააკაძის დიდ ნიჭიერებასა და განსწვლულობას. მან კარგად იცოდა სპარსულიცა და თურქულიც. სასიამოენო მოსაზღვრე და მჟღვრმეტყველი ორატორი ყოფილა, გამორჩეული სამხედრო საქმის ღრმა ცოდნითა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით.

სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაშიც. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი თუ მოგზაური, რომელიც ასე თუ ისე არ შექმნა გიორგი სააკაძის პიროვნებას.

გიორგი სააკაძეს როგორც მისი მომხრევი, ისე მოწინააღმდეგენი ერთხმად ახასიათებრ, როგორც დიდ მოღვაწეს, გამოჩენილ სარდალსა და განსაკუთრებული პირადი სიმამაცით დაჯილდოებულ პიროვნებას.

„მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟაკაცი და დევის ღონისა იყო“, — წერდა ცნობილი თურქი მემატიანე მუსტაფა ნაიმა.

სააკაძის თანამედროვე იტალიელმა მისიონერმა დონ კრისტოფორო დე კასტელმა გიორგის პორტრეტი დახატა. კასტელი დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში, შესაბამისად, კარგად იცნობდა გიორგი სააკაძის საქმიანობასა და საერთოდ, ვითარებას საქართველოში. დე კასტელმა ასე დაახასიათა გიორგი სააკაძე: „დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შექმნება და ყოველთა უმამაცესი: მრავალი სასახლო საქმე მოახდინა იძერიის სპეციალის სპარსი მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს“.

გიორგი სააკაძე საქართველოს გადარჩენისთვის იძრძოდა. ის მეფე სიმონ I-ის ჯერ უახლოესი თანამებრძოლი, შემდეგ მისი გზის გამგრძელებელი გახლდათ. ენერგიულად ცდილობდა საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებასა და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას.

იქნებ ამიტომაც, ქართველმა ხალხმა ეს



გვია ჯამბურავა

ორივე შესანიშნავი მოღვაწე დიდის ეპითეტით შეამცირები — ერთი დიდი მეფე იყო, მეორე კი დიდი მოურავი.

14 წლის ლუარსაბ II-ის გამეფებისთანავე, 1606 წელს გიორგი სააკაძე მისი უახლოესი მრჩეველი გახდა და მალე თბილისის მოურავად დაინიშნა. ის თაყიდანვე დიდ გაფლენას ახდენდა სახელმწიფო საქმეებზე. ეს იყო შედეგი სააკაძის ნიჭისა და უნარისა, რომელიც უფრო ფართო სარბიელს მოითხოვდა, ვიდრე თბილისის ან თუნდაც რამდენიმე ქალაქისა თუ პროვინციის მოურავობა იყო.

სააკაძის სოციალური აღზევებისა და განდიდების შემდეგ, დიდ ფეოდალთა ერთი ჯგუფი მისი მხარდამჭერი გახდა.

ლუარსაბის შეფინობის დასაწყისში სააკაძის მოღვაწეობა ფეოდალური ანარქიის დასუსტებაში გამოიხატა. მან მეფის ტახტს დაუმორჩილა არა მხოლოდ თვითნება ფეოდალუბი, არამედ გამდგარი ისები და დვალები.

გიორგი სააკაძე ასევე განსაკუთრებულად ზრუნავდა ქართლის მოშენება-მომრავლების-თვის.

მისი სამხედრო ნიჭის დამსახურებაა, რომ 1609 წელს ტაშისკარიან მომხდარი ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ამ გამარჯვებამ ძლიერ გაზარდა გიორგი სააკაძის ავტორიტეტი. მისი მცდელობით ქართლის სამეფო ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

წინააღმდეგობებით აღსავსე იყო მისი ბობოქარი ცხოვრება. ამ წინააღმდეგობათა საფუძველი იმჟამინდელი საქართველო იყო. არ

ლობდნენ, არ შევტუა და თავბედი ჩემივლინა.

ცხადია, არსად მიწერია, თითქოს შპა აბასი სააკაძის დაუხმარებლად ვერც საქართველოს დალაშქრავდა და არც ლუარსაბ მეფეს მოკლავდა. მოურავის დანაშაული ის არის, რომ ამ ორივე მოვლენის თავგამოდებული მონაწილე სწორედ იყიდა და არა სხვა. თუ სააკაძე არ დაიბადებოდა, შპა რენებატს ანუ სხვა სააკაძეს გამოძებნიდა, რათა გაადვილებოდა კახეთის აოხრებაც და მოსახლეობის გადასახლებაც ფერწერანში. მაგრამ თუ არ სააკაძეს მოქანება ბრალეულობა 1614 წლის კახეთის აოხრებაში, მაშინ ორჯონივაძეც უცოდველად მოგვებლინება.

შემთხვევითი არ არის, ორივეს რომ სული მისდის, როდის შემოუძლება მტრის ლაშქრს, რადგანაც ამ ლაშქრობაში თავის გამოჩენაზე ჰქონდა მათი აღზევება უცხო სახლმწიფოებში.

შპა აბასის წაქეზება კი ლუარსაბ მეფის მოსაკლავად ორმაგად სახეირო იყო მოურავისათვის და ასე იმიტომაც ცდილობდა: პირად ანგარიშსაც გაასწორებდა და შპას ერთგულებას კიდევ უზრო დაუტეტიცებდა. მოვლენები ამჯერად იმით დააჩქარა, რომ ირანის მბრძნახებელს დაბეჭიოთებით არწმუნებდა: ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, საქართველოს დამორჩილება ვერ მოგვიხერხდებაო; და შემდეგ კი დაშენასაც არ მორიდებია: ქართველები აპირებენ მალულად გაიტაცონ ლუარსაბი და მერე უპავ ვედარაფერს გაგაწყობოთ.

შპას მტკიცედაც რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი ლუარსაბის მოშოობა, განა ეს აბათობებს გიორგი სააკაძის ბრალეულობას? ისტორიამ ისე განსაზღვრა, რომ სწორედ სააკაძე აღმოჩნდა ლუარსაბის უშუალო დამდებულებით, წმინდანად შერაცხულ მეფის სისხლში გარეული.

თუ ერთხელ კიდევ გადაავლებთ თვალს ცნობებს კახეთის 1614 წლის აოხრების თაობაზე, დარწმუნდებით, რომ ესაა პირუთვნელი საისტორიო თხორბა, მოკლებული ყოველგვარ მსჯავრს, მით უმეტეს, მაგებას: ბერი ვნატაშვილიც, გახუშტი ბატონიშვილიც, არაქელ დავრიშვიციც, არქანჯელო ლამბერტიც, ბართოლომეო ფეროც, ნასორლა ფალსაფიც ეპიფერი სტილით გვებიან ისტორიულ ამბავს და საქართველოს წარსულის ეს ტრაგიკული ეპიზოდი სიძართლით რომ არის აღწერილი, ისიც აშკარად მოწმიბს, რომ ქართველი, სომქი, იტალიელი და სპარსელი ავტორები ერთსულოვანნი არიან, თუ როგორ აქეზებს შპას სააკაძე და ურჩევს კველაზე მარ-



როსტომ ჩხეიძე

ჯვე დროს სალაშქროდ ეს ის აოხრება, სომებს მემატიანეს ისიც რომ ათქმევნა: „ვერც პირი იტევის და ვერც ენა აღწერსო“.

თუ არა სამშობლოს ამგვარი გამეტება, სააკაძე სხვაგვარად ასე ვერ დაწინაურდებოდა შპას კარზე.

ეს წყაროები დავიმოწმე ისტორიული სომართლის გასარკვევად, საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ წამლილი სტრიქონების აღსაძენად და იმ მყიფე მტკიცების სამხილებლად, თითქოს სააკაძე აქილევს ზოგით განაწყენდა და საომარ ასპარეზს გაერიდა, ეს იყო და ეს.

თურმე კახეთის უღმერთო აოხრება და მოსახლეობის აყრა-გადასახლება შუაგულ ირანში (რომლის გეგმაც, მიხელ თამარაშვილის მიერ მიკვლეული მასალების თანახმად, უშუალოდ სააკაძის მიერ ყოფილა დამუშავებული) ბრძოლის კვლილიდ გარიდება ყოფილა.

განა შეიძლება ეროვნულმა გმირმა თვის სამშობლოს ბევრი სისხლი დაუქციოს?..

ვითომ დიდი დაგვირება და განჭვრეტა სტირდება იმას, დამპტერობლის ლაშქარს რომ შემოუძლები კველაზე მარჯვე ქაშს (ზამთარში სჯობსო, შპა აბასს რომ ურჩევდა) და მხოლოდ შენი შემწეობით გაარღვევენ ყიზილბაშები ქართველთაგან საიმედოდ დაცულ ხეობას, რა საზარლობა შეიძლება დატრიალდეს.

ხოლო თუ ამდენიც ვერ განჭვრიტა და ვერაფრის დიდებით ვერ წარმოედგინა, დამპტერობებელი რას ჩაიძენდა, მაშ ჭერანაკლეული ყოფილა და თუ მომხდარა სადმე ან რდესმე რომ ჭკუანაკლეული ერთგულ გმირად შევრაცხოთ!

ნუთუ ეს ეროვნული გმირის თვისებებია?

უნდა დაგვაიწყედეს, რომ ეს მეტად როული ხანაა ჩენს ისტორიაში. ქვეყნის აღმოსავლეთი ირანის, დასავლეთი კი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

როული იყო ვითარება ქვეყნის შიგნითაც. გიორგი სააკაძე იბრძოდა დიდ ფეოდალთა უფლებების შეზღუდვისთვის. სააკაძესა და მის ჯაუფის ძლიერი მოწინააღმდეგენი ჰყავდათ დიდი თავადების მრავალრიცხოვნი ჯაუფის სახით, რომელთა მიზანიც საკუთარი პოლიტიკური უფლებების გაფართოება იყო. ამდენად, გიორგი სააკაძის თავიდან მოშორება, თუნდაც მისი ფინიკური განადგურების გზით, ამ ჯაუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ბრძოლა ფეოდალთა რეაქციულ და პროგრუსულ ფრთას შორის მწვავე და დაუნდობელი იყო. სააკაძე ამ ბრძოლაში პროგრუსული საქმის მეთაურად გამოიდობდა.

ამ ბრძოლაში სააკაძე მარტო არ ყოფილა. საქართველოს გაერთიანების იდეას მომხრები თავადთა წრებშიც ჰყავდა. მათ შორის იყვნენ მუხრანბატონებიც.

დაუნდობელ ბრძოლაში, რეაქციული ფრთისთვის მოთმინების ბოლო წვეთი გიორგი სააკაძის დის გადედოფლება აღმოჩნდა. ბერი ეგნატაშვილი მოგვითხოვდა, რომ „იწყინეს და დაუწევეს ბეჭდება მოურავსა... და უმეტეს სუფრაჯა შადიმან ბარათაშვილმა დაუცადებლად დაუწყო ბეჭდება მოურავსა“.

ნადიმი შავ აბას I-ის კარზე

საბედისწერო ქორწინებიდან მაღვევე მოწყო შეოქმულება. წყაროებში არ ჩანს, კონკრეტულად რა ბრალდება წაუყენეს დიდ მოურავს, თუმცა სასჯელის მიხედვით, რომელიც მას დასდეს, შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ ეს იყო საშმობლოს და მეფის დალატი. სააკაძის ლალატში, ჩანს, ლუარსაბ მეორეც დაარწმუნეს. ან მას უბრალოდ სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა. გიორგი სააკაძეს კი სიკვდილი და მამულების ჩამორთმევა გადაუწყვიტეს.

დაპატრობლის პარზე...

1612 წლის 20 მაისი იდგა. გადაწყდა წავკის, მეფის სახაფხულო სასახლეში მოწვიათ და მოკელათ სააკაძე. თუმცა ეს გეგმა სააკაძის მომხრებმ, მეფის ფარეშთუშუცესმა ბააკა ხერხეულიძემ შეიტყო და დიდი მოურავის გაფრთხილება მოასწრო.

სააკაძე ახალუხის ამარა გამოვარდა, პირველივე შემხვედრ უბელო ცხენს მოახტა და ნოსტესენ გაემურა. ახლა მხოლოდ სისწრავეს შეეძლო მისი ცოლ-შვილის ხსნა სიკვდილისგან.

ხშირად ისმის საყვედური, რატომ არჩია მან ირანს წასელა და არ დარჩა საშმობლოში. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. წყაროების თანახმად, დევნილმა პირველად ახალციხისენ სცადა გაქცევა, მაგრამ გზები ისე იყო შეკრული, რომ ეს შეუძლებელი აღმოჩ-

➤ 64



30-იანი წლების ბოლოს ქართველმა ისტორიკებმა ხელი მოჰკიდეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას და 1940 წელს გამოსცეს მისი მაკეტი წინასწარი განხილვისა და დახვეწისათვის: „საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე (ხელნაწერის უფლებით)“, ტირაჟი 105 ცალი.

როგორც წინათქმაშია აღნიშნული: უძველესი ხანიდან X საუკუნის დამდევამდე დაწერილია სიმონ ჯანაშიას მიერ, X საუკუნის დამლევიდან XVI საუკუნის დამდევამდე — ივანე ჯავახიშვილისა, XVI საუკუნის დამდევიდან XIX საუკუნის დამდევამდე — ნიკო ბერძენიშვილისა. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი — გიორგი სააკაძის ბიოგრაფია — ამ უკანასკნელის მომზადებულია.

სახელმძღვანელო წიგნად გამოიცა 1943 წელს და ოუ სააკაძის ბიოგრაფიას ამ გამოცემაშიც გავცენობით და გონიერის თვალით მაკეტის ვერსიასაც აღვიდებით, მაშინვე ვიგრძნობთ, რომ მნიშვნელოვანი ცელილებები შეუტანიათ.

მას შემდეგ, რაც გიორგი სააკაძე სიკვდილს გადაურჩა და ირანს შეატარა თავი სიმამრთან, ნუგზარ ერისთავთან ერთად, მაკეტში აღნიშნულია:

„გაბოროტებულმა ფეოდალებმა პოლიტიკური მაპეზღარობა იყადრეს. ისინი ეცანენ დაერწმუნებინათ შაპი, რომ ლუარსაბ-თუმეურაზის თანხმობა ერანის წინააღმდეგ იყო მიმართული“.

სახელმძღვანელოში ამ ფრაზებს ვედარი იპოვით.

მაკეტში წაიკითხავთ:

„და აი, 1614 წლის ლაშქრობაში შაპ აბასს მოპყვებოდა გიორგი სააკაძეც და მისი უახლოეს მრჩეველი იყო“.

ვერც ამ ფრაზას იპოვით სახელმძღვანელოში.

მაკეტში წაიკითხავთ:

„მოურავი გიორგი სააკაძე ლუარსაბის მოსისხარი იყო და მის დასაღუპავად ცდას არ აკლებდა. შაპი დარწმუნებული იყო მოურავის ერთგულებაში, დიდად აფასებდა მის სამსახურს და მის რჩევას უსმენდა“.

სახელმძღვანელოში ვერც ამ ფრაზებს იპოვით.

შარტყოფის აჯანყების მიზეზსაც მაკეტი იმით ხსნის, რომ სააკაძეს ხელით ჩაუვარდა შაპის საიდუმლო ბარათი, ყარჩილა-ხანს რომ ავალებდა მოურავისათვის თავის მოკვეთას:

„ყველაფერი გარკვეული იყო. ერთადერ-



ფერმურაზი და ხორუშანი
ქრისტოფორი და კასტელის ნახატი

თი გზა მოურავის წინაშე — ეს აჯანყება იყო“. ვერც ამ ფრაზებს იპოვით სახელმძღვანელოში.

ბაზალეთის ბრძოლის მიზეზსაც მაკეტი ასე ხსნის:

„გიორგი სააკაძე ქართლის მმართველობას იჩემებდა და თუმცურაზის მეფობას ვერ ითმენდა“.

სახელმძღვანელოში ვერც ამ ფრაზას ამოიკითხავთ.

მიზანდასახულად არის ამოშლილი ის ფრაზები, გიორგი სააკაძეს რომ წარმოგვიდებენს გულბოროტ, მოღალატე, შერისმაძიებელ, პირადი განდიდების წყურვილით შეპყრობილ პიროვნებად.

აშკარაა, რომ ნიკო ბერძენიშვილი სავსებით სანდოდ მიიჩნევდა იმ საისტორიო წყაროებსა და ცნობებს, რომელთაც მეც ვეზრდნობი და მათ ხელახალ შემოტანასაც ვცდილო სამეცნიერო მიმოქცევაში.

როცა თვისის შეხედულებისამებრ ანალიზებს და მსჯელობს, ანუ 1940 წლამდე, მოურავის ასეთ პორტრეტს წარმოსახავს: შეულამაზებელს, მიუკერძოებელს.

მაგრამ უეცრად დგება არჩევანის წინაშე: ან წაშალოს სააკაძის ბიოგრაფიის სამარტვინო ეპიზოდები, ანდა შეურიგდეს ციხესა

ნდა. შემდეგ მცირე წნით სიმამრს, ნუგზარ არაგვის ერისთავეს შეაფარა თავი, თუმცა აქ დიდხანს დარჩენის შემთხვევაში ძმათამკელელი ომი გარდაუგალი იყო. ამიტომ სააკაძემ გაცლა არჩია. შაპის კარზე დიდი მოურავი მარტო არ ჩასულა. მას თან სიმამრი ახლდა — ნუგზარ არაგვის ერისთავი.

არასწორად მსჯელობენ, თითქოს კახეთიდან ქართველების აყრასა და ირანში გადასახლებაში გიორგი სააკაძეს რამე წვლილი მიუძღვდა. მან შვილის სიცოცხლეც საშმობლოსთვის ბრძოლას შესწირა.

შაპ აბასი ცდილობდა, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად მოესპო. მრავალგზის დალაშქრა ქართლიცა და კახეთიც. თუმცა სააკაძე ამ დროს საქართველოდან გაძევებული იყო.

შაპ აბასი საქართველოს პირველად 1613 წლის 16 ოქტომბერს მოადგა და კახეთი დალაშქრა. მეუე თეიმურაზი ებრძოდა მას. ის კარგი პოეტი იყო, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, მაინცდამანც გამჭრიახი არ გახლდათ ბევრი შეცდომა დაუშვა და შაპთან ურთიერთობები მნიშვნელოვნად გამარწვავა. ირანელთა ლაშქრობებმ დიდი ზიანი მიაყენა კახეთის.

გიორგი სააკაძე კი ისეთ პოლიტიკას ახორციელებდა, რომ ქართველი ხალხი ამ საფრთხისგან როგორმე ქმნა.

1625 წელს, როდესაც შაპ აბას პირველმა დიდი სამხედრო ექსპედიცია გამოგზავნა საქართველოში, სააკაძეს შაპის კარზე მძევლად დაატოვებინეს უცცროსი ვაჟი პაატა, ზურაბ არაგვის ერისთავს კი მეუღლე.

შაპმა გიორგი სააკაძეცა და ზურაბ არაგვის ერისთავიც საქართველოს ასაოხრებლად გამოგზავნილ სპარსელთა ჯარს გამოატანა, რომელსაც ყარჩისა-ხანი სარდლობდა. ლაშქრობის მიზანი კახეთია მთლიანი გაწევეტა და ქართლელების ირანში ჩარეკა იყო.

საქართველო ამ დამანგრეველ შემოსევებს ისევ და ისევ გიორგი სააკაძის წყალობით გადაურჩა. ამ აჯანყებისთვის დიდი მოურავი დიდი წნის განმავლობაში ემზადებოდა, ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროიდან. გეგმა მეტად გბედელული იყო და სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ის ქართლის თვალდებს გააცნეს.

აჯანყების დაგეგმვით, გიორგი სააკაძემ არა მარტო თავისი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე, არამედ საკუთარი შვილებისაც.

1625 წლის 25 მარტს დაწყებული აჯანყება მარტყოფის ველზე ქართველთა გამარჯვე-

ბით დასრულდა. განრისხებულმა შაპმა წამებით მოაკვლევინა, შემდეგ კი თავი მოჰკვეთა შაპის კარზე მძევლად დატოვებულ პაატას. ზურაბ ერისთავის მეუღლე კი გაამაკმადიანეს და შაპის ცოლებს მიუჩინეს მოსამსახურედ.

შაპ აბას პირველის შერისხიება ამით არ დასრულებულა. 1625 წლის ივნისის ბოლოს ირანელთა ახალი ლაშქარი მოადგა საქართველოს ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. ბრძოლა მარაბდასთან გაიმართა, პირველ ივლისს. ბრძოლის წინ გამართულ თაბიირზე ქართველმა თავადებმა გიორგი სააკაძის მიერ შეთავაზებული გეგმა უარყვას, თუმცა ბოლოს თითქმის წაგებული ომის ბედი მაინც სააკაძემ გადაწყვიტა.

ებათამაგლელი გაზაღაოთი — სააკაძის ოცნებათა სასაზღაო

დიდი მოურავის დაუღალავი ბრძოლისა და დგაწვის შედეგად მოხერხდა ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება. ტახტი კი თეიმურაზ პირველმა დაიკავა. თუმცა სააკაძის მოწინააღმდეგ თავადებმა, რომელინიც უპაყოფილი იყვნენ, რომ დიდი მოურავის მტკიცე ხელი მათ მტაცებლურ მადას ზღუდავდა, კიდევ ერთხელ მოაწევეს შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. თეიმურაზ მეფემ მისი მოსპობა გადაწყვიტა.

ვითარება დაიძაბა. თეიმურაზი იძულებული გახდა, კახეთში გადასულიყო. მოურავმა კი ქართლის გამგებლად ქაიხოსრო მუხრანბატონი დანიშნა. ქაიხოსროს, როგორც ბაგრატიონს, ჰერინდა ქართლის ტახტის დაგავების უფლება, მაგრამ ქართლში მისი გამეფებით სააკაძე საბოლოოდ უნდა გამოითხოვებოდა ქართლისა და კახეთის გაერთიანების იდეას. ამით გაქრებოდა იმერეთის სამეფოს შემოერთების პერსეკტივაც. დიდი მოურავის მოღვაწეობის მთავარი მიზანი კი სამი სამეფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო.

სააკაძისა და თეიმურაზის შერიგების ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დადგა გადამწყვეტი მომენტი: სააკაძე ან საბოლოოდ უნდა გამოითხოვებოდა მისი ცხოვრების მთავარ მიზანს — საქართველოს გაერთიანების იდეას, ან მშათა შორის სისხლი დაეღარა ისევ და ისევ ქვეყნის გაერთიანებისთვის.

დიდი მოურავი კოველთვის ერიდებოდა მშათა შორის ომს. ეს მან მრავალჯერ დაამტკიცა. არც ერთი მოწინააღმდეგე არ გაუმე-

და კატორლას, რაც უსათუოდ მოჰყვებოდა სტალინის ნების წინააღმდეგ წასვლას.

ნურც ნიკო ბერძნიშვილს გაუამტყუნებთ და ნურც ნურავის, თუ ასეთ „რედაქციას“ და- გაბულდა, მით უმეტეს, თვითონ თავიც რომ გადაედო, ის ფრაზები მანც ამოიშლებოდა და სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი გამოცე- მისას იქნებოდა იმ სახით, როგორც სტალი- ნური ნორმები მოითხოვდა.

ასე შექმნა საისტორიო მეცნიერებაშ გი- ორგი სააკადის ახლებური, კანონიკური სახე და კულტი.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანე- ლოს გადააკეთებ, მაგრამ საქართველოს ის- ტორიასაც ხომ ვერ გადააკეთებ. ის ისეთია და ისეთიც იქნება, როგორიც იყო სინამდვილე- ში. დიდი გადაფასება რომ დასრულდება, ამ სინამდვილის მიხედვით დაუწესებათ გმირებს გმირები და მოდალატებს მოდალატები.

ახლა კი სააკადის კულტურული დაკავშირე- ბულ ორიოდე გარემოებაზეც:

როცა მისი შექმნის აუცილებლობა დადგა უმაღლესი ხელისუფალის წინაშე, ისიც დაი- საჭიროა, რომ ქართულ ფოლკლორშიც მოე- ძებნათ მოურავის სადიდებელი ლექსები. მისი ბრძანებით გულმორღვინედ მოჩხრიებს ხალხუ- რი ზეპირსიტყვიერების კრებულები, მაგრამ წამლადაც არ მოიძებნა ერთი ნიმუშიც კი.


ამიტომ საბჭოური იდეოლოგიისათვის ნი- შანდობლივი ფალსიფიკაციის ხერხი მოიშვე- ლიეს და ასე შეითხხა „ხალხური“ პოეტური ციკლი გიორგი სააკაძეზე.

თუ გსმენათ სხვა ამისთვის მაგალითი, რომ ისტორიულ გმირებზე ფალსიფიცირებუ- ლი, ვთომ ხალხური ლექსები შეეთხხათ?

გიორგი სააკაძე თავისი ახალი, შელამა- ზებული ბიოგრაფიით უკვე გმირთა საბჭოუ- რი პანთეონის ბინადარია და ამ შემთხვევა- შიც განსხვავებულად ამიტომაც ეპერობიან, ვიდრე სხვა ისტორიულ პირებს.

განსხვავებულად მოეპერნენ მაშინაც, 70- ან წლებში, როცა მისი ორი ძეგლი დაიდგა: კასპა და თბილისში. და ეს მაშინ, როცა ერ- თი ძეგლიც არ იდგა: ფარნავაზის, აშოტ დი- დის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დი- მიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, ქეთევან წამებულის... ვინ მოთვლის ჩვენს ეროვნულ გმირებსა და წამებულთ.

თუ გიორგი სააკაძეს ეთაყვანებით, მაშინ ეთაყვანეთ იმ სააკაძეს, ვინც სინამდვილეში იყო, თორემ ბიოგრაფიის გადაკეთება-



გიორგი სააკაძის ახლად გამოვლენილი პორტრეტი საქართველოს კინოფოტოფორმო დოკუმენტების ეროვნული არქივის საცავში ინახბორდა. ეს არას ძველი გრაფიკული ნახატის XIX საუკუნის ფორმერებრივოდულია, რომელსაც მეღნით მხედრული ასოებით მიწერილია აქეს: „დიდმოურნები გიორგი სააკაძე“ დოკუმენტი არქივში გასული საუკუნის 60-ას წლებში მოხვდა, „მეფეთ, სახელიერო პირთა და დიდებულთა ს. 1894 აღმომჩენ. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის ვინ მათვნობდა პორტრეტი ან რომელ კოლექციაში შედიოდა, თუმცა პასპარტუს წარწერიდან თავისუფა, რომ იგი საღონ Cabinet Portrait-შია დაგეჭდილი.

შელამაზების უფლება არავის არა აქვს-მეტ- ქი, — იმათ მივმართავ, მოურავის ხიბლის ქვეშ რომ მოქცეულან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ აქამდე საისტორიო წყაროებში ჩახდევა და შემოწმება აუცილებლობად არ ესახებო- დათ. მათ ვთხოვ და ვურჩევ, რომ იოლად არ ენდონ გიორგი სააკაძის ცხოვრების საბჭოურ-მითოსურ ვერსას, თორემ ვისაც სიმარ- თლე ხელს არ აძლევს ანდა თვალის გასწო- რება უმნელებება, თავისი გზითაც უვლია.

ერთ ეპიზოდსაც ვამცნობ, კიდევ უფრო რომ გაუცხოებულდეთ გიორგი სააკაძის მიმართ აღფრთოვანება. ეს ეპიზოდი იოსებ ტფილელს (სააკაძეს) აქეს აღწერილი „დიდმოურავიან- ში“, მაგრამ რადგან ამ აპოლოგეტურ პოე- მაშიც არ იხედებიან და მხოლოდ ფილმითა

ტებია შურისძიებისა და სიკვდილისთვის, რადგან ამას მისგან საქართველოს ინტერესები მოითხოვდა. ახლა კი იგივე ინტერესები შიდა ომისკენ უბიძებდა მას. სააკაძემ ომი გადაწყვიტა.

ომი ბაზალეთთან გაიმართა. ეს ომი ქართველი ხალხის ტრაგედია იყო არა მარტო იმიტომ, რომ მომქმედ მომმის სისხლი დაღვრა. ამ ომმა საქართველოს გაერთიანების საქმე დიდი ხნით დაასამარა.

სააკაძე იმულებული გახდა ხელმეორედ გადახვეწილიყო საშმობლოდან, ახლა უკვე სამუდამოდ. თვითონ ასე არ ფიქრობდა. გაუტეხელი მოურავი უკან დაბრუნებასა და ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა. ოჯახი სამცხეში დატოვა, თვალ კი ოსმალეთში ჩავიდა და სულთანს დახმარება სთხოვა.

თრაგიული აღსასრული

ოსმალეთში დახმარების პირობად სააკაძეს გამუსლიმება მოსთხოვეს. მას უკვე მეორედ უწევდა რჯულის გამოცვლა. მაგრამ ეს იყო არა საშმობლოს დალატი, არამედ საშმობლოს საკეთილდღეოდ მიტანილი დიდი მსხვერპლი.

სააკაძე რომ მხოლოდ გარეგნულად იყო მუსლიმი, ამას ადასტურებს იტალიელი მოგ-

ზაური პიეტრო დელა ვალეც. ის წერს, რომ სააკაძე ოჯახის წვერებთან ერთად ხშირად დადიოდა მისიონერთა ქრისტიანულ ეკლესიებში ისპაპანში.

დიდმა მოურავდა ოსმალეთში სულ რაღაც სამი წლით ყოფნისას მოახერხა თვითი გამოეჩინა, როგორც ნიჭიერ სარდალსა და მამაც მებრძოლს. თუმცა მრავალ მეგობართან ერთად მრავალი მტერიც შეიძინა. გიორგი სააკაძის სახელის განდიდებას განსაკუთრებით გაულიზანებდა სულთნის სიძე ხუსრვე-ფაშა. სწორედ მისი ბრძანებით 1629 წლის 3 ოქტომბერს მოღალატურად შეიპყრეს და თავები მოპკეთეს დიდ მოურავს, მის ვაჟს, ავთანდილსა და მათ ომოცამდე მხლებელს.

ასე ტრაგიკულად აღესრულა თავისი დროის ეს დიდი ადამიანი, თუმცა მისი მეთაურობით წარმოიქცეულმა განსათავისუფლებელმა ბრძოლამ ქართველი ხალხი ფაზიკური განადგურებისგან იხსნა. სააკაძის უმაგალიოთ გმირობამ შპატ აბას პირველი აიმულა, ხელი აედო თავის ბარბაროსულ გეგმაზე — აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მთლიან მოსპობაზე. სააკაძემ ამ საქმეს საკუთარი და ასევე ორი ვაჟის — პაატასა და ავთანდილის სიცოცხლე შესწირა.

კულტურული აღსასრული
გველი, საღაც 1609 წელს ტაშისკარის
მრძოლა გაიმართა



და სკოლის მერხიდან გამოყოლილი ცოდნით ასაზრდებენ თავიანთ წარმოსახვას, იმ პოემის გადაშლაში მე შევაშველებ ხელს.

შაპ აპასი დიდად მაღლიერია სააკაძისა, ინდოეთისა და ბაღდადის ლაშქრობებში რომ ისახელა თავი, და ლიხინად დამჯდარი და გალავბული უერად შეუძახებს:

„...თუთრს მოგცემ აძღნეს, კარამდი
კერ შესძლო მიტან-წაღება,
სხვის წალობითაც დაგმართო
სევდათა კარის გაღება!“

და კიდეც შემოატანინებს მსახურებს ფულით გაძეგილ გუდებს.

რა გქნაო — დაფიქრდება სააკაძე — ცოტა აფილო, დამძრახვენ, ძალა არა პქონიაო, ბევრი აფილო და არა თქვან, სიხარბემ დაუბნელა თვალებიო. მაგრამ დაე სიხარბე მიძრახონ, გული კლდესაჭით სალი მაქვსო.

და ერთანაც წაეტანება ყველას:
თვითო მხარზედან გადვიგდე,
ერთი თავზე კპქებ დებული,
თვითო ღლიასა შევიგდე,
ორი კპქებ ხელკიდებული,
ერთი კბილშებან მივიც,
მით კიქებ აზიდებული,
აფდებ, კარამდის წვილე,
არვისგან არ რიდებული.

როგორ თვალნათლივ ხატავს ეპიკოსი სურათს: გიორგი სააკაძეს არა მარტო ხელებით ჩაუბრუჯია ფულის გუდები, არამედ მხრებზეც გადაუკიდია, თავზეც დაუდევს და კბილებითაც ჩაბრაუჭებია, და ისე მიღის, მიეზიდება შინისაკენ.

ეს კბილებით წალება რაღა იყო(?!).

საუკუნენახვარი რომ ჩაიგლის, ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუქებული ნადორ-შაპი, დიდად რომ ემადლიერება ქართველ უფლისწულს (შემდგომ: ერუკლე მეორე), ვინც თავი ისახელა ამ ლაშქრობაში, აუწონელ განთხან მიიყვანს: რამდენიც გენებოს, შენთვის მიბოძებიაო.

უფლისწული ერთადერთ ძვირფას თვალს იკმარებს.

ეს ეპიზოდი საისტორიო ქრონიკის ლაკონიურობით გადმოგეცით, მაგრამ მაინც თვალნათლივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ერუკლე მეორე იქცვა ისე, როგორც მოიცეოდა შეფის გვარისა, როგორც მოიქცეოდნენ, ვთქვათ, თუმცურაზ პირველიც და ლუარსაბ მეორეც.

ერის გამყიდველთა მორალი სულ სხვა. და ვინც ამ მორალით ცხოვრობს, თამა-



მად შეუძლია ფულის გუდების გაზიდვაც დირსებად მიუთვალონ გიორგი სააკაძეს „საშვიოლობო ჯარის“ შემოვანსა, ლუარსაბზე შერისძიებასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან ერთად.

მცდელობა ახლა ჰქვია, თორუმ ედიშა ვაჩნაძეს რომ არ დაეჭრა ორთაბრძოლაში (თვითონ სააკაძის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს), ნამდვილი გადატრიალება იქნებოდა: გიორგი სააკაძის პოლიტიკის სრული ტრიუმფით დაგვირგინება.

მონუმენტალიზმი არ დაჰყოლია მის ბიოგრაფიასა და სახებას.

და ორი გიორგი სააკაძე ამიტომაც ილანდება ასე ხელშესახებად ჩვენს ბედკრულ წარსულში. ოღონძ მიუხედავად ამ გაორებისა, მაინც ძალიან საბრალოა, ის ხელისუფალნი რომ შევუტოლოთ, რომელთა ცოდვათაც ადგილად ვერ აღნუსხავს მემატიანე.

როგორც გენებოთ, ისე განსაჯეთ, მაგრამ გიორგი სააკაძის კულტის იდეური საფუძვლების მოშლით მაინც მეტ პატივისცემას გამოუხატავ ამ უბედური პიროვნებისადმი, ვიდრე ის მეხოტბენი, ვინც მას კი არა, მის სიბორურ სახეს მოსვენ ზეციური შარავანდით.



„ქუთავის ცარცის წერ“, აზდაკი

კიბის გასწვრივ რუსთაველის თეატრის ცნობილი სპექტაკლების ფოტოები და აფიშები ჰყიდია. ამ კიბეს ზევით, მეორე სართულზე მიჰყავხართ — რამაზ ჩხიგვაძის მისაღებ ოთახში... ეს ოთახი ძალიან ჰგავს კაიუტას. ყდელთანაც გემბის მაჟეტებია ჩამწერივებული... ეს აფრიანი ხომალდები ოცნებებს ჰგვანან... აბა, რომელ ბიჭს არ უოცნებია შორეულ ნაოსნობაზე და ასეთ გემბზე?! მერე გავიდა დრო და რამაზ ჩხიგვაძის ცხოვრება ერთიანად შეცვალა გეშე ნაპოვნმა სიყვარულმა... ზღაპარივითაა? იქნებ ასეცაა...

ცხოვრება ზღვასავითაა, ხან ღელვას, ხან წენარდება, ჩვენ კი „კაიუტაში“ ვსხედვართ და „იღუმინატორიდა“ 81 წლის ზღვის მიქცევა-მოქცევას გავუურებთ...

რამაზ ჩხიგვაძე: თბილისში ვიზრდებოდი. უსაყვარლესა ქალაქი იყო — ლამაზი, სუფთა, პატარა. აქ, სადაც ახლა ვცხოვრობ, მაშინ მხოლოდ ტურები დარბოდნენ.

1937 წელი კარგად მახსოვს, მაშინ 9 წლის

რამაზ ჩხიკვაძე:

არტისტი ძუნცია, ისე არ მიანებებს თეატრს თავს, გული არ დასწყდეს...

2008 წლის მაისი. რამაზ ჩხიგვაძესთან დათქმულ დროს გამოუც საღიზი. ურნალისტების მიღება დიდად არ ეხალისებოდა, მაგრამ მაინც შემზედა. ჩვენი მაშინდებლი საუბარი სულ მაღლ შევაწინდების „ვითარებანი ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან“.
„ისტორიანის“ მეთხველს კი ვთავაზობთ მაშინდებლი სუბრის ფრაგმენტებს.

ვიყავი, მახსოვს ტროცკისტების პერიოდიც, როგორ მოდიოდა მანქანა, რომელსაც „ჩორნიად კორონას“ ეძახდნენ. ბავშვები გაფიცე-ოდით და ვუყურებდით, ვის კარს მიაღებოდა, რომელ ოჯახს დაუცემოდა თაშარი... ბოლომდე ვერ ვხვდებოდით, რა ხდებოდა, მაგრამ გვეშინოდა კი, ის მანქანა ჩვენთანაც არ მოსულიყო.

სკოლაში სახლთან ახლოს დავდიოდი. მერე ომი ატყდა. ხან ერთ შენობაში გადაგვიყვანდნენ სასწავლებლად, ხან მეორეში. ამას ვაბრალებდი — ამდენ გადასკლა-გადმოსკლაში ვეღარ ვსწავლობ-მეთქი. სისამდვილეში მეზარებოდა. სული და გული თეატრისეკნ მქონდა. პირველ კლასში ვიყავი — მოზარდ მაყურებელთა თეატრში წამიყვანეს... მაშინ უკვე ვსწავლობდი კონსერვატორიის ნიჭიერია ათწლედში. მშობლები მუსიკოსები იყენენ და იმედი ჰქონდათ, ახალი მოცარტი გაეიზრდებოდი. თეატრი რომ ვნახე, არაფერი აღარ მინდოდა, დაკვრასაც კი თავი მოვანებე. მხოლოდ

არტისტობაზე ვოცნებობდი. ახლა ვნანობ...
მცოდნოდა უკუთხის დაკვრა...

ომის წელები სოფელში გაფატარე, ბებიას-
თან. ბომბი დაარტყეს ზესტაფონსო და ხალ-
ხი შეშინებული იყო. ჩვენ იქვე, სოფელ წევა-
ში ვცხოვრობდით. ბებიაჩემის კბა ჩავიცვი,
წყლის საღებავებით შევიღებე სახე და ჩავსაფ-
რდი ბუჩქებში... ვიდაც კაცმა გამოიარა — გა-
მოვედი და დავიწყე ბურბუცი, ვითომ უცხო
ენაზე ვეკითხებოდი რაღაცას, თან ზესტაფონს
ვახსენებდი... კინაღამ გადაირია — ჯაშუში
შემოსულაო. აწრიალდა სოფელი. გამომეკიდ-
ნენ... ბიჭებმა გადამარჩინეს — არ მოკლათ,
თუბროლეს შვილიშვილიაო.

ბებიას კემბარებოდი, ვთოხნიდა, მავრამ
უფრო თაშაში მინდოდა... ჭონოურის წელი
იყო მომორებით — ისეთი წეალი არსად და-
მილვაია. დღეში ორ-სამჯერ ჩაუით მომქონ-
და. მიეგარდა წყალზე წასვლა!

ვიდრე თეატრს ვნახავდი, მტვირთაობა
მინდოდა, ძალიან მომწონდა სადგურის „ნა-
სილშჩიგბი“. ავიკიდებდი ბარგს და დავდიო-
დი ბედინერად. ბებია წისქვილში მგზავნიდა
— გადამგიდებდა საფეხას, ალბათ 7-8 კილოს
და მეც დიდი სიამოვნებით მიყდიოდი. მიყვარდა
წისქვილში მოხუცების მოსმენა. ჩამოფევის
მოლოდინში დასხედებოდნენ, საუბრობდნენ.
მერე ამოიღებდნენ მჭადას და ყველს, მეც მო-
მიტეავდნენ... ღოქით ღვინოსაც დადგამდნენ.
რა გემრიელი იყო კველაფერი, ბებიაჩემის
კელის სუნი ახლაც ხელზე მაქვს შერჩენი-
ლი. ან ჭადა როგორი იყო! ან ღორბის რო-
გორ კაზმავდა!

თბილისში, ჩვენს უბანში მელი ბიჭები
ცხოვრობდნენ. ზარს აგორებდნენ... ერთ დღე-
საც მილიცია დაესხათ თაქს. ფულს მოხვიეს
ხელი, წყალსადენ მილში შეტენეს და გაიქ-
ცნენ... მივედი, ავილე ფული, მაისურში ჩავი-
ყარე. გამომებერა მუცელი, იმდენი იყო! წა-
ვიდე და შინ ტახტის ქვეშ დავმალე. ის ბიჭები
3-4 დღე არ გამოჩენილან. როცა მოვიდნენ,
ერთ-ერთს დაგუძახე... რა გინდაო, — შემო-
მიბლიორა. ფული მე შევინახე-მეთქი. გენახათ,
რა გაიხარეს... გაეხდი მაგათი საყვარელი ბი-
ჭი რამაზა. ერთხელ, ბავშვებმაც მოვინდომეთ
ზარის გაგორება. ფულზე არ ვთამაშობდით,
მაგრამ გულზე ხელს იმ ყომარბაზებივით ვიბ-
რაგუნებდით. ამ დროს ის ბიჭები არ დაგვად-
გნენ თავზე? რაც იმათ გვირტყეს! ერთმა კა-
მათლები დამიტრიალა სახეზე, დამინგრია
ცხვირ-პირი... იცოდნენ, ცუდ გზას ადგნენ და



ამიტომ არ მოგვცეს ამ გზაზე წასვლის უფ-
ლება... კელის თავისი დირსება პქონდა. ად-
რე ქურდი თავის უბანში არც თვითონ მოია-
რავდა რამეს და არც სხვას მოაპარვინებდა,
ახლა შვილი მამას ჰპარავს... ხაზინიდან ხომ
იპარავნენ და იპარავნე!

ცოტა რომ წამოუიზარდეთ, პიონერთა სა-
სახლეში შევედით მე და ჩემი მეობარი გივი
კლადიმერაშვილი. ერთი-ორი წლის შემდგე
მოვიდნენ კარლო საკანდელიძე და გურამ სა-
ლარაძე. გამიმართლა, გასაოცარი პედაგოგე-
ბი მყავდა — ნოდარ ჩხეიძე, თელო წეროძე...
ომი იყო... თან გვევებოდა ბატონი ნოდარი,
რომ გზას არ აკცენტიდით.

თეატრალურ ინსტიტუტშიც კარგი პედა-
გოგები დამხვდლენ: დოდო ალექსიძე, მალიკ
მრევლიშვილი...

ფარიგაობას ანატოლი ფეოდოროვი მას-
წავლიდა, შესანიშნავი კაცი იყო, მის მიერ ნას-
წვლები სასცენო ფარიკაობით სპორტულ შე-
ჯაბრებაში მეორე ადგილი დაუიკავე. ამას იმი-
ტომ გიამბობთ, რომ მიხვდეთ, რამჟელა პრო-
ფესიონალიზმი იყო მაშინ.

ინსტიტუტიდან თეატრში მივედი თუ არა,
მაშინევ „ესპანელ მღვდელში“ ვითამაშე. ესეც
ბედია. განგბივრებული ვიყავი. ვთამაშობდი და
ვთამაშობდი მთავარ როლებს, ეპიზოდებიც

**ნატაშა გეშე გვიცანი. იმ გემთ მე და
გურამ საღარაძე ოდესაში მივდიოდით
ალტრაში ამრეიდა გებანზე. რომ
დაგინაზე, ძალიან მომწონა და ჩემს
სიცოცხლეში პირველად ვიზიქრე — ასეთ
ქალს ცოლად შვირთავდა-მეთქი.**



„მეფე ლითი“



„რიჩარდ შესაძე“

მიშა თუმანიშვილი იყო ჩემი ჩევი-სორი, დოდო ალექსიძე, არჩილ ჩხარტიაშვი-ლი, თუმურ ჩხეიძესთანაც ვითამაშე „სამანიშ-ვილის დედინაცვალში“. რობიკოს (რობერტ სტურუა. — ლ.ჯ.) სპექტაკლებით მსოფლიო შემოვაარე. ღმერთს მაღლობა, რომ ასეთ სა-ინტერესო ხალხს შემახვედრა... ძალიან დატ-ვირთული და, შეიძლება ითქვას, მუშაობის-გან ოფლადი ცხოვრება გავიარე, მაგრამ დაღ-ლას ვერ ვგრძნობდა.

ჩემ ირგვლივ მანქანა ბევრს ჰყავდა, მე — არა, თუმცა ტარუება ვიცოდი, „ჭრიჭინას“ გა-დაღებისას ვისწავლე. მინდოდა, მეყიდა — არ მქონდა საშუალება. დრო გავიდა და ეს სურ-ვილიც გამიქრა.

მე, გოგი გეგეჭკორი, ბადრი კობახიძე, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, გურამ სალარაძე, ვანიჩკა ჯინჯიხაძე, მათუ შააშმე-ლაშვილი, ლაზარე კაზბეგიშვილი ან ვშრო-მობდით, ან ვექიფობდით.

ომის შემდგომმა ახალგაზრდობამ აღარ იცოდა დვინის დალევის წესი. საჭმელი ჭირ-და, თორეულ დვინო — იცოცხლეთ!. სარდაფებ-ში კასრუბით იდგა. ნახვარლიტრიანი „ბან-კებით“ ვსაგმდით მერე გზებით სურებით, აირ-წინაღებით სვამდნენ. ერთხელ მეც დავლიე აირწინაღით... პირში ჩაგიდებდნენ მილს და ასხამდნენ ზემოდან დვინოს. 3-4 ლიტრს ისე დაულევდით, ვითომ არაფერი. აზარტში შევ-დიოდით... ვიკლავდით თავს! დვინის ქვეუნები რომ მოვიარე, ვნახე — ჭიქას ერთბაშად არა-კინ ცლის, მოსვამენ, დადგამენ... ჩვენი წინაპ-რებიც პატარა სასმისებით სვამდნენ... ჩვენს დროში ბევრი დვინის სხის მოდა შემოვიდა და იმსხვერპლა კიდეც უამრავი. მე ღმერთმა გა-დამარჩინა. ძველი ფეხსუროული იყო — საარ-ტაკ ჯეკელავა, წამოვგანა ერთხელ მთაში სა-ნადიროდ, განთქმულ მონადირეებთან — ქი-რიკაშვილებთან ერთად. საჯიხვეებამდე ბეჭ-ვის ხიდივით ადგილები უნდა გაიარო. გული მისკედებოდა. ჩემი პატივისცემა უნდოდათ. ქი-რიკაშვილმა — ზევით ჯიხვის ჯოგა, მოუვ-ლი, გაღმოურებავ და ესროლეო. კა არ წმო-ვიდნენ, მოფრინავდნენ ჯიხვები. ათიოდე მეტ-რი თუ მაშორებდა მათთან. ვერ ვესროლე. სა-ოცარი სილამაზე იყო. რატომ არ ესროლე, დაგვეღუბე, კაცო. გაიჭედა ვინტოვეა-მეოქი. ქირიკაშვილს ერთი დაუჭრია და მის კვალს მიჰყა, მოკლა და მოიტანა. ჯიხვის ცრუელჩამ-დგარმა თვალებმა ისე იმოქმედა, მას მერე სა-ნადიროდ არ წავსულვარ.

ნატაშა გემზე გავიცანი. იმ გემით მე და გურამ საღარაძე ოდესაში მივდიოდით. იალტაში ამოვიდა გებბანზე. რომ დავინახე, ძალიან მომქონა და ჩემს სიცოცხლეში პირველად ვითიქრე — ასეთ ქალს ცოლად შევირთავდი-მეთქი. მერე აირ-დაირია კველაფერი. ჩემს მშობლებს ბერი ცუდი რამ უთხრეს და გული ატეინეს... ურთიერთობა დაგვეძაბა... არ მიგაქციე არავის კურადღება. შინიდან წამოვედით ხან სად ვცხოვრიბდით, ხან — სად. ოცი ბინა გვაქს გამოცვლილი. სარდაფშიც გვიცხოვრია, სხვენშიც, ცოტა ხანს ერთსისთან ვიყავით, კარლოს ოჯახშიც, ედიშერ მაღლაშვილთანაც... ერთსის მეზობლებმა — უჩამ და ოლიკომაც შეგვიფარეს... ორ წელიწადს არ გამოგვიშვეს...

ხომ ხედავთ, რამდენ წელიწადს გაუძლო სიყვარულმა. სახლიც აუშენეთ. მეგობრებიც და-მქმარნენ. მათი მაღლიერი ვარ სამარადისოდ.

ალექსანდრე ჭუჭავაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ოპერის პირდაპირ. ამინდიც სხვანაირი იყო მაშინ, ზამთარი ზამთარს პგაგდა, ზაფხული — ზაფხულს. ზამთარში ვციგაობდით, ოპერამდე ჩამოვსრიალდებოდით ხოლმე. თავისი მუსიკა ჰქონდა ჩვენს ქალაქს, თავისი მოძღვრდები ჰყავდა. ვინა? — გამყიდველები. ჩამოვლიდინენ და მუსიკალურად გაიძახდენ: „ხარ-თუთაა!“, „აკოშკი შეშებიი!“, „სამოვარნი პესოკ!“ სულ სხვადასხვა ტონალობით იძახდნენ. მხოლოდ ნატურალური პროდუქტები ჰქონ-

დათ ახლა კველაფრის გეშინია, აღარ იცი, რას შემოგატყუებენ. ხალხი იქამდე მივიდა, წმალ-საც კა ტყუილს აშხადებენ. ისე როგორ უნდა მოვკვდე, არ ვნახო და არ გვიხარო, რომ ჩემი ქვეყნა უფლის გზაზე დადგა. ნორმალური ჯა-მაგირი მაინც ხომ უნდა იყოს.

პენსია დიდი მქონდა, მაგრამ მოიშალა კველაფერი და დავრჩით უსახსროდ. კიდევ კარგი, სასტუმრო გაგხესნით და ბიძინა იყანიშვილი გვეხმარება მსახიობებს. დაილოცოს ეს ღვთისშიერი კაცი! ვიცინი: კაცო, სასტუმრო-დან ხომ არ უნდა გაგსენდე-მეთქი და სასტუმროს გაყიდვა დავაპირე. ჩვეულებრივი სახლი მინდა! ერ გავყიდე...

დავბერდი! არ გჯერათ? ისევ კარგად ვთა-მაშობ? ახლა მე მკითხეთ...

ავად ვარ, ჯანი არ მაქეს. ფქები მტკიცა, გულიც მაწუხებს. მძიმე ოპერაცია გავიკეთე, ნაწლევის კბილ მქონდა... ეს პრაღაში ექიმმა მომახალა. არ შემშინება... ისლა ვთხოვე, გარეთ ცოლი დგას და არ გაუმხილოთ, უთხარით, რომ ოპერაცია მჭირდება-მეთქი. ეტეობა, ექიმმა ვერ გაიგო და ნატაშამ რომ შემოიხდა, მასაც უთხრა...

„გავასისურ ცარცის წრეში“ ცუდად გაზხდი. თავს ძალა დავატანე და ძლიგს ვითამაშე. თანდათან ვუძლეურდები. არტისტი ძუნწია, ისე არ მიანებებს თეატრს თავს, გული არ დასწეოდეს... მაგრამ რომ არ შეგიძლია!..




ჩაჩნების თვითსახელწოდებაა „ნოზჩო“, „ნოზჩი“. რუსები და სხვა ხალხები მათ „ჩეჩენების“ სახელწოდებით იცნობენ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ ენაში ტრადიციული ჩაჩნების, ჩაჩნეთის ნაცვლად გამოიყენება ჩეჩენები და ჩეჩენეთი. ტერმინები XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა იმის გამო, რომ ჩაჩანს ქართულ ენაში სხვა შინაარსიც გააჩნია. XVIII-XIX საუკუნეებში კველა ქართულ წერილობით ძეგლში მხოლოდ ჩაჩნები და ჩაჩნეთია დაფიქსირებული.

ჩრდილოელი მეზობლებიც ჩაჩან ფორმას ანიჭებენ უპირატესობას. მიგვაჩნია, რომ ქართველებმა ტრადიციულ ტერმინებს უნდა უკერთგულოთ.

ქართველებისათვის ჩაჩნები (ინგუშებთან ერთად) „ქისტები“ იყვნენ. თუმცა ქართული წყაროები მათ სხვა ეთნონამითაც იცნობენ. ქართულ წყაროებში ეთნონიმ „ქისტს“ „დურდუკი“ უსწორებს. ქართლის მეცვე საურმაგმა, როდესაც ერისთავები აუჯანყდნენ, შფოთის ჩასახმობად დედის მმის ქვეყანას, დურდუკების მიმართა და ასე დაამარცხა ერისთავები. საურმაგს, იმის გამო, რომ დურდუკებით გადამეტსახლებული იყო, ადგილობრივთა მნიშვნელოვნი ნაწილი საქართველოს მთიანეთში, დიღოვეთიდან სვანეთამდე დაუსახლებდა. მონღოლ-თათრებთან ბრძოლაში მეფე რუსუდანს სხვა კავკასიელ მთიელებთან ერთად დურდუკნიც გამოიყენათა. ვახუშტი ბაგრატიონი დურდუკებთან ერთად ქისტებსა და ღლიღვებსაც (ინგუშებს) ასახელებს. XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველებისათვის ეთნონიმი „ჩაჩანიც“ ცნობილი იყო. იგი მომდინარეობს მდინარე არღუნის ნაპირას მდებარე სოფლის, ჩაჩანაულის სახელწოდებიდან. რადგანაც რუსები ამ ეთნოსს პირველად აღნიშნული სოფლის საშუალებით გაეცნენ, სოფლის სახელწოდება მთელ ხალხშე გადაიტანეს.

1989 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 899 ათასი ჩაჩანი იყო აღრიცხული. საქართველოში კი 957 ათასს აღნიშნავ-



დნენ. გარდა ჩაჩნეთისა, ისინი მკვიდრობდნენ დაღესტანში (58 ათასი), სტავროპოლის მხარეში (15 ათასი), ვოლგოგრადის ოლქში (11,1 ათასი), ყალმუხეთში (8,3 ათასი), ასტრახანისა და ტიუმენის ოლქებში (შესაბამისად 6 და 4,6 ათასი), ჩრდილოეთ ოსეთში (2,6 ათასი). დიდი რაოდენობით არიან ყაზახეთში (49,5 ათასი).

ჩაჩნეთში ორი დიდი მდინარე მოედანება — თერგი და სუნჯა. მთაში ჩაჩნეთს ორი მძლავრი ნაკადი — ჩანტი-არღუნი და შარო-არღუნი კვეთს, რომლებიც ერთმანეთს ბარში უერთდებან. XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჩაჩნეთს ორ ნაწილად ყოფდნენ: დიდი ჩაჩნეთი და მცირე ჩაჩნეთი.

ჩაჩნები მთიელებად მიაჩნიათ, მაგრამ ისი-




ჩაჩნი

ნი ბარშიც ოდითგანვე მკვიდრობდნენ. ძელ ჩაჩნებს ათვისებული პქნდათ არა მხოლოდ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთები, არამედ კავკასიისწინეთის სტეპებიც. პოლიტიკური მოულენებიდან გამომდინარე, ჩაჩნებმა ბარში მკვიდრობა დროებით შეწყვიტეს. ისინი კავკასიის მთებში საბოლოოდ მონალლთა შემოსევების დროს შესახლდნენ. ჩაჩნები ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ. დაბლობში პირველი ჩაჩნური დასახლებები XIV-XV საუკუნის მიჯნიდან გაჩნდა. პირველი მიგრანტები აკიის მთებიდან (ნაშადან) მოსულები იყვნენ. თავდაპირველად ჩაჩნები სუნჯის, არღუნისა და მათი შენაკადი ხეობების დაბლობში ეფუძნებოდნენ. შემდეგ კი თანდათან მთელი დიდი ჩაჩნეთის დაბლობი დაიკავეს, ბოლოს

კი ჩაჩნური სოფლები გრებენელ კაზაკთა ტერიტორიების მეზობლად წარმოიქმნა.

ჩაჩნები კავკასიის ძელი, ადგილობრივი მკვიდრი ხალხია. თუმცა 2004 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ერთ-ერთ მონოგრაფიაში (ოსა ავტორი მარკ ბლიევი) ისინი კავკასიის არამკვიდრ, მოსულ მოსახლეობადა მიჩნეული(?!). აშკარაა ისტორიის გაყალბების მცდელობა. საერთოდ, ჩაჩნები თავიანთ წარმომავლობას გოლიათ ნოხეს (ნახჩის) უკავშირებენ. სხვა ლეგენდა ჩაჩნების წარმომავლობას ორ მმას: ჩარმოს და შოთოს უკავშირებეს. ჩაჩნებს სხვა გენეალოგიური ლეგენდებიც აქვთ. ჩაჩნების ერთი შტოს ჩათვლთა (ანუ ითუმელთა) საფუძვლის ჩამერელი იყო საქართველოდან გადმოსახლებული ითუმ ლიუნგიუმი. შაროელ

3 ავეთის ხალხები



ჩანებს პქნდათ გადმოცემა სირიული წარმომავლობის შესახებ.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევრში ჩანებმა გადაინაცვლეს თერგის მარჯვენა სანაპიროდან აღმოსავლეთის მიმართულებით სუნჯისა და თერგის მონაკვეთზე მდინარეების გუდერმესისა და ფორთინგოს შორის. მთისწინეთსა და ბარში მთელი ასწლეულის განძალებაში ჩანური მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. მიგრანტების ნაწილი „აუხოველთა“ აკიელების სახელითაა ცნობილი. ისინი დღეს ძირითადად დაღესტნის ტერიტორიის მკვიდრნი არიან და ლაპარაკობენ ჩანური ენის აკიურ დიალექტზე. აკიელი (აუხოველი) ჩანები მდინარე გეხის სათავეებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. კუმუხების მეზობლად XVI-XVIII საუკუნეებში მდინარე იამან-სუსა და იარიკუს დაბლობთა გასწვრივ კაჩკალთა საზოგადოების ჩანები დასახლებულან. აუხოველთა აულების ჩანებით დასახლება XIX საუკუნესა და უფრო გვიან, 1940-იან წლების დასაწყისამდეც გრძელდებოდა.

აკიელების (აუხოველების), კაჩკალთა, კარაბულა-გების გარდა, ჩანებში სხვა საზოგადოებებიც არსებობდა. ჩანეთის აღმოსავლეთში მდინარეების ხექ-ლულაუს და აკსაის სათავეებში მდებარეობდა მხარე, რომელსაც ჩანები ნოხხი-მოხკს („ნოხხელთა მიწას“) უწოდებდნენ; ის იჩქერიის სახელწოდებით იყო ცნობილი. იჩქერიის სამხრეთით კაზხო-ამის ტბის ირგვლივ მდებარეობდა ჩეპერლის საზოგადოება. არღუნის აუზის მთიან ზონაში კანლაგბული იყო შატოს, მაისტის, შაროს, მალხისტის, ტერლოს, ნაშხოს საზოგადოებები (ტერიტორიული თემები). გალანჩოვის ტბასთან და მდინარე გეხის ზემო წელში ცხოვრობდნენ გალაშელები და მთიელი აკიელები. კარაბულა-გები (ორსტხოელები) მდინარე ფორტანგის ხეობაში ინგუშეთისა და ჩემნეთის საზღვარზე ცხოვრობდნენ.

საუკუნეების განძალებაში მთის ჩანურ საზოგადოებებს ქართველ მთიელებთან (ხვესურებთან, ფშაველებთან, თუშებთან) პქნდათ ურთიერთობა. მალხისტის (მითხოსა) და მაისტის საზოგადოებებთან მიგრაცია ორმხრივი იყო. როგორც ჩაჩანი მოსახლეობა გადმოსახლდებოდა საქართველოს მთიანეთში, ისე ქართველი მთიელებიც მიგრირდებოდნენ. საქართველოს მთიანეთში არაერთ გვარს შევხდებით, რომლებსაც ჩანური წარმომავლო-

ბა აქვთ. მეფე საურმაგის დროს დურძუჭების საქართველოს მთანეთში თუ ერთდროული ჯგუფური გადმოსახლება მოხდა, შემდგი მიგრაციები ძირითადად გაეორნითი, ინდივიდუალური იყო. თუმცა XIX საუკუნის შუა ხანებში ჩანჩები (და ინგუშები) საქართველოში, პანკისის ხეობაში კომპაქტურად ჩამოსახლდნენ. გერმანელი მეცნიერის არტურ ზისერმანის მოწმობით, მთხოვს საზოგადოება ხევსურეთის სოფელ შატილიდან 10 კერძე მდებარეობდა და მასში ექვსი პატარა სოფელი შედიოდა. ამ საზოგადოების მოსახლეობის შესახებ ზისერმანი აღნიშნავდა: „ისინი ქრისტიანებს ურჯულოებს უწოდებენ, მაგრამ თაყვანს სცემენტინდა გიორგის, არ იციან მუსლიმთა ლოცვა — ნამაზი, არ ჰამერ დორის ხორცს, არ ჰყავთ მოლები და არა აქვთ მეჩეთები“.

მეორე გერმანელი მეცნიერი გუსტავ რადე კი მითხოვდა 10 სოფელს ასახელებს, რომლებიც მდინარე არღუნის მარცხენა შენაკად მითხოსწალებულ მდებარეობდნენ. იმ დროს აქ სულ 174 კომლი ყოფილა. 1886 წლის საოჯახო სიებით მალისტის (მითხოვს) 11 სოფელი თიანეთის მაზ-

ზოგიერთი მონაცემით, ომის დროს დაღუპულთა რიცხვი დაახლოებით 80 ათასი იყო, დაჭრილებისა — 240 ათასი. 1999 წელს იმის გამო, რომ შეიარაღებულ ჩაჩანთა რაზძი დაღუსტანძა შეიტრა, პრეზიდენტმა კლადიმირ პუტინმა დაღუსტანძას და ჩაჩნეთში არმიის ძლიერი ნაწილები გადაისროლა. რუსების მიერ ჩაჩნეთში ჯარის შევანას კვლავ ათასობით კაცის სიცოცხლე შევწირა. პრეზიდენტმა ასლან მასხადოუმაც ჯოპარ დუდავვის ბეჭი გაიზარა, ხანგრძლივი დჯინის შემდეგ ის მოკლეს. რუსულ-ჩაჩნური ურთიერთობები დღესაც მოუწესრიგებელია.

ჩაჩნების სოფელი





ჩანჩები

რაში შედიოდა (ეს მხარე ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნოდა; ითანე ბაგრატიონი მას სადედოფლო სოფლებად მოიხსენიებს). საყურადღებოა, რომ აღწერის დავთარში ამ საზოგადოების მკვიდრნი შემდეგი გვარებით არიან ჩანარილი: ალბაკური, აშიგაური, ბარჩაული, გაღურგაული, ბაკშაური, გაღუმაური, დალიკური, ზანტაური, კარსამაული, მუხაური, ხაიაური... გვარ-სახელები წარმოდგენილია საქართველოს მთის გვარ-სახელებისათვის დამახასიათებელი - ურ (-ულ) სუფიქსით, რაც ჩაჩნებსა და ქართველ მთიელთა ისტორიულად არსებული ეთნოგეოლტურული ურთიერთობების მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ეკატერინე II-ის მმართველობის ბოლო წლებში რუსეთის არმიამ თურგის მარცხენა მხარე დაიკავა და ყაბარდო-ჩაჩნეთის საზღვრის მიმართულებით, მოზღვიდან კლადიკავკაზამდე სამხედრო სიმაგრეები ააგო. ამან ჩაჩნთა განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოიწვია. 1819 წელს რუსეთის არმიამ მიწასთან გაასწორა თურგის მარჯვენა ნაპირზე მდებარე აული დადი-იურტი. მცხოვრებთა უმეტესობა (400 კაცი) დახოცეს. არც რუსებს დასდგომიათ კარგი დღე — გენერალ ერმოლოვის მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმის

230 ჯარისკაცი და ოფიცერი შევწირა ამ ბრძოლას. რუსების ამ მოქმედებამ ჩაჩნთა თარეში გაახშირა. 1825 წელს, თურგზე მდებარე ერთ-ერთი სიმაგრე ჩაჩნებმა მიწასთან გაასწორეს — 181 კაციდან 98 მოკლეს და 13 ტყვედ აიყვანეს. მოგვიანებით, 1832 წელს გენერალმა როზენმა ჩაჩნეთსა და ინგუშებიში 60 აული გაანადგურა.

1834 წელს ჩაჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა თურკატიული ხელისუფლება — შამილის იმამეტი. რუსეთის არმიის სისტემატური თავდასხმების გამო 1841 წლისთვის ჩაჩნეთის დაბლობის აულების უმეტესობა გადამწვარი იყო. რუსებმა მთიელი ჩაჩნებისა და ხუნძების წინააღმდეგ დიდი ძალები გადაისროლეს. მარტო 1845 წელს ერთი ლაშქრობის დროს 3900-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. დაღუპულთა შორის 3 გენერალი იყო. ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლის შემდეგ, 1859 წელს ჩაჩნები და დაღესტნელები დამარცხდნენ. მას შემდეგ, ოსმალთა იმპერიაში, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ჩაჩნები და ინგუშებიც გადასახლდნენ (დაახლოებით 20 ათასი კაცი). მიუხედავად ამისა, ჩაჩნები კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნას მაინც არ ურიგდებოდნენ, აგრძელებ-

დნენ პარტიზანულ ბრძოლას, ჯანყდებოდნენ დღოდადღო. ერთ-ერთი აჯანყება 1877 წელს მოხდა. მის აულების გადაწვა, 11 კაცის გროზ-ნოში ჩამოხსრობა და 500-ზე მეტის ციმბირში გადასახლება მოყვა. ამის შემდეგ ჩაჩნები აბრაგობის გზით აგრძელებდნენ რუსების წინააღმდეგ ბრძოლას.

1921 წლის იანვარში გაერთიანებული ჩაჩნეთ-ინგუშეთი მთიანეთის ავტონომიურ ოლქში შეიცვანეს, 1922 წელს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ჩაჩნეთის ავტონომიური ოლქი. 1934 წელს შექმნილი ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი 1936 წელს გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1922 წელს ჩაჩნეთს კავკასიური ომების დროს წართმებული მიწები დაუბრუნეს. 1944 წელს ჩაჩნეთ-ინგუშეთი გააუქმეს და მისი მოსახლეობა შეუაზიასა და ყაზახეთში იძულებით გადასახლებას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლების პირველ წელს, შიმშილის, სიცივისა და ავადმყოფობისგან დაიღუპა. 1944 წელს გაუქმებული ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომია 1957 წელს კვლავ აღადგინეს. მოსახლეობა თავიანთ საცხოვრებელ აღდილებს დაუბრუნეს, მაგრამ ჩაჩნეთის რამდენიმე მთიან რაიონში ცხოვრება აეკრძალათ და დაბლობის აულებისა და კაზაკთა სტანიცებში დაასახლება. 1991 წლის სექტემბერში ჩაჩანი სალხის საერთონაციონალურმა კონგრესმა ჩაჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი გამოაცხადა. 1992 წელს შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი. ეს აქტები რუსეთის ფედერაციამ არ ცნო. 1994 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციამ ჩაჩნეთში შეიარაღებული ძალები შეიყვანა, რამაც სისხლისძლვორელი ბრძოლები გამოიწვია. 1996 წელს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ომი შეწყვიტა და ჩაჩნეთიდან ჯარი გამოიყენა. ზოგიერთი მონაცემით, რუსეთ-ჩაჩნეთის ომის დროს დაღუპულთა რიცხვი დაახლოებით 80 ათასი იყო, დაჭრილებისა — 240 ათასი. 1999 წელს იმის გამო, რომ შეიარაღებულ ჩაჩანთა რაზმი დაღესტანში შეიჭრა, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაღესტანსა და ჩაჩნეთში არმიის ძლიერი ნაწილები გადაისროლა. რუსების მიერ ჩაჩნეთში ჯარის შეეწირა. პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმაც ჯონარ დუდავეის ბედი გაიზიარა, ხანგრძლივი დევნის შემდეგ ის მოკლეს. რუსულ-ჩაჩნური ურთიერთობები დღესაც მოუწესრიგებელია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შამილი (1797-1871).

დაღუსტანის, ჩაჩნეთისა და ჩერქეზთის გაერთიანებული თურქული ფედერაციული სახლმწიფოს — მამატის მეთაური



გენერალი ჯონარ დუდავე (1944-1996), ჩაჩნეთის რესპუბლიკა იმერიის პრეზიდენტი

საფეხურთო „დრა(ჰ)მატიზმის“ სათავეებთან



ფეხბურთი რომ მხოლოდ სპორტი აღარ არის, — ეს ამბავი არახალია.

უკვე მრავალი ათეული წელიწადია, ფეხბურთი სოციალურ ფენომენად, დიდ ბიზნესად, სახელმწიფოთა პრესტიჟის ერთ-ერთ კრიტერიუმად, უამრავი ადამიანის პირადი ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი ყოფის განძსაზღვრულად იქცა...

ისიც საფორელთაოდ გახლავთ ცნობილი, მით უმეტეს, დღვენდელ — ინფორმაციული სიუხვის ეპოქაში, როდესაც არავითარი საიდუმლო არ იმაღება, ამ მართლაც დიდებულ ფენომენს მუდმივად ახლავს ხოლმე სამწუხარო „გაუგებრობები“. რას ვიზამთ, როგორც ასტრონომები ამბობენ, ლაქები მხესაც ჰქონია, ფეხბურთში კი ათასი ჯურის ადამიანი ტრიალებს თვაისი ანგარებითა და ცოდვებით.

ჯობდა პი „ის დრო?“

ჩშირად გაგვიგია — ეპ, კარგი დრო იყო, როცა ფეხბურთი მხოლოდ სპორტი იყო და ასეთი ბინძური გარიგებები არ იდებოდა, მხოლოდ პატიოსანი ბრძოლა იყოო! მაგრამ ბოლო ოც წელიწადში ისეთი ინფორმაციები გაცხადდა იმ „პატიოსანი დროის“ შესახებ, რომ ჩვენი ეპოქის „დიდ საფეხბურთო მაფიოზებს“ — ბერნარ ტაპის, ხესუს პილი-პილის თუ ლუჩანო მოჯის არც კი დაესიზმრებოდათ!

შესაძლოა, იმ დროს იმიტომ არ გამედავ-ნებულა ეს ფუქტები, რომ ინფორმაციის გაფრცელების დღვენდელის მსგავსი საშუალებები არ არსებოდა; შესაძლოა, უბრალოდ, იმდროინდელ ადამიანებს უკეთესად შეეძლოთ „ენაზე კბილის დაჭურა“, მაგრამ ფუქტია, რომ 1995 წელს ისეთი ამბები გაირკვა იტალიაში გამართული მეორე მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ,

რომ ფიფაში სერიოზულად დაისვა საკითხი 70-ზე მეტი წლის წინანდელი შედეგების გაუქმებისა და იტალიისთვის ჩემპიონობის ჩამორიტევის შესახებ. თუმცა საბოლოოდ, ალბათ „დანაშაულის სიძველის“ გამო, ფიფა ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას მოერიდა.

საქმე ეხება 1934 წელს, ფეხბურთში მეორე მსოფლიო ჩემპიონატის წინ, იტალიისა და საბერძნების გუნდების ორმატჩიანი შესარჩევი რაუნდის პერიპეტიების და იტალიელთა მიერ ბერძნების მოსყიდვის აწ უკვე დადასტურებულ ფაქტებს.

სწორედ დასაბუთებასა და მოწმების ჩვენებაზე საქმე, თორემ დაუდასტურებელი და საეჭვო (მეტი რომ არ ვთქვათ) „გაუგებრობები“ პირველივე ჩემპიონატს ახლდა და ჩვენც ამით დავიწყით:

ცნობილია, რომ ფიფას მაშინდელმა პრე-

ზიდენტმა, ფრანგმა უიულ რიმემ ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გაემართა და ეს ტურნირი ტრადიციულად ექცია.

ამ კაცის დამსახურება სათანადოდაა დაფასებული — ჩემპიონის ოქროს თასსაც ხომ „უიულ რიმემ“ თასი ერქვა 50 წლის განმავლობაში, სანამ იგი სამუდამოდ არ გადაეცათ ბრაზილიელებს, როგორც მსოფლიოს პირველ სამგზის ჩემპიონებს, 1970 წელს.

მაგრამ ახლა არა უიულ რიმემს დამსახურებებზე, არამედ იმ „გადაცდომებზე“ ვისაუბრებთ, რომელიც მის თვალწინ ხდებოდა.

მაშ ასე: 1930 წელს, ურუგვაიში გასამართავი ჩემპიონატი ჩამდის საფრთხის წინაშე დადგა. წინა წელს „უეცრად მოვარდნიმდა“ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის ყველა ეპოპულ ქვეყანას უარი ათქმევინა ძვირად ღირებულ საზღვაო მოგზაურობაზე სამხრეთ ამერიკის ნაკირისკენ (ტრანსატლანტიკური ავიაკავშირი ჯერ არ არსებობდა). უიულ რიმემ თავად მოიარა რამდენიმე ეპოპული ქვეყანა და, როგორც იქნა, ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დაითანხმა, რითაც იყო გადაარჩინა, თორემ ურუგვაიში მხოლოდ ამერიკის კონტინენტის ჩემპიონატი მოეწყობოდა — რუმინეთის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და უიულ რიმემ შმობლიური საფრანგეთის ნაკრებები მონტევიდეოში გაემგზავრნენ (აღსანიშნავია, რომ ისევ და ისევ ეკონომიის მიზნით, რუმინელთა გუნდში მხოლოდ 15 კაცი იყო, 22-ის ნაცვლად).

ამ ოთხ გუნდს იქ ამერიკის ორივე კონტინენტის ცხრა ნაკრები დახვდა და მათ შორის გათამაშდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ტიტული.

შედეგები საყოველთაოდ არის ცნობილი — მასპინძლებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს! თითქოს არაფერი იყო საოცარი, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები — ურუგვაელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ფინალში უძლიერესი არგენტინელების დამარცხება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

თუმცა ჩენი დღვნელელი სტატიის თემისთვის უფრო საინტერესო ნახევარფინალური თამაში იყო იუგოსლავიასთან. ბრაზილიელება მსაჯება უილბერტო რეგომ ისეთი „ფოკუსები“ მოაწყო, რომ ტრიბუნაზე მჯდარი უიულ რიმე თურმე სირცხვილისგან იწვეოდა. წარმოიდგინეთ — ჯერ, როცა იუგოსლავია 1:0-ს იგებდა, მას ასპროცენტანი გოლი გა-



1930 და 1934 წლების
ჩემპიონატების
ოფიციალური
პლაკატები



შენობა, რომელიც საბერძნეთის უქბერთის
ფედერაციამ 1934 წელს იტალიელებისგან
აღებული ქრთამთ შეიძინა

უუქმა (2:0-ის „ამოქაჩა“ გაუჭირდებოდათ მასპინძლებს); ამის შემდეგ ურუგვაელი ფორვარდი ირიარტე დემონსტრაციულად დადგა მეტოქის საჯარიმოში (მუდმივ თამაშგარეში), როგორც იქნა, ერთ-ერთი პასი „შეირგო“ და ანგარიში გაათანაბრა. მეორე გოლი „ალალადა“ გაიტანეს ლათინოსებმა — ვერაფერს იტევი, მაგრამ ანგარიში მაინც „არასაიმედო“ გახლდათ და მესამე გოლი ისეთი „მეთოდით“ გაატანინეს მასპინძლებს, რომ ვერანაირი ფანტაზია ვერ წარმოიდგენს: ბურთი კარის გვერდით, პირის ხაზს იქით გადაგორდა, იქვე მდგარმა პოლიციელმა „ზუსტი პასით“ დაუბრუნა კარიდან სამ მეტრში მდგარ ანსელმოს და... ანგარიში 3:1 გახდა!!!



იტალიის ნაკრუბი გამარჯვებას ზეიმობს

ამ ყველაფერს კი ტრიბუნიდან ჟიულ რი-
მე და მთელი „უფროსობა“ უყურებდა.

სხვათა შორის, ეს ბრაზილიელი მსაჯი
ჯგუფურ ტურნირებშივე „ორიგინალობდა“: არგენტინა საფრანგეთის 1:0-ს უგებდა, ფრან-
გი ფორვარდი მექარესთან პირისპირ გავიდა
და ამ დროს მსაჯის საფინალო სასტურენის ჩმა
გაისმა... მატჩის 84-ე წუთზე! (ისე, ამ მატ-
ჩში რომ ფრანგები დაზარალდნენ და არა ვინ-
მე სხვა, ჟიულ რიმესთვის შეიძლება „ალი-
ბი“ იყოს).

კიდევ ერთი კომიკური(?) ეპიზოდი: იმავე ჯგუფურ ტურნირში, იგივე არგენტინელები ძალიად უხეშად ეთაბაშნენ ბეჭისიკელებს და ბო-
ლივიელი მსაჯი ულრიკო სასუედო იძულებუ-
ლი გახდა, რომ პენალტი დაენიშნა ფარორი-
ტების კარში, მაგრამ მაინც მოძებნა „გამო-
სავალი“ — მაშინ თერთმეტეტრიანი ნიშნუ-
ლი არ არსებობდა და მსაჯები ყოველ პენალ-
ტზე ნაბიჯებით ზომავდნენ მანძილს (გაიხსე-
ნეთ იპოლიტე ხეიჩია „პირველ მერცხალში“). ფიფას რეკომენდაციით, მსაჯს 14 ნაბიჯი უნ-
და გადაეთვალა (თითო ნორმალურ ნაბიჯზე
დაახლოებით 85 სანტიმეტრის გათვლით), ზორბა და გრძელფეხება ბილივიელძაც გა-
დათვალა 14 ნაბიჯი და მექსიკელებმა ორივე პენალტი „გააფუქსეს“, მაგრამ როცა მატჩის შემდეგ მანძილი გადაზომეს, აღმოჩნდა, რომ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები მექსიკე-

ლებს 15 მეტრიდან შეუსრულებათ!

საერთოდ, როგორც შემდეგ ამბობდნენ, სწორედ ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური კრიზისის გამო, ორგანიზატორებს ძალიან ეში-
ნოდათ, რომ ჩემპიონატი ფინანსურად წამგე-
ბიანი აღმოჩეულებოდა (ასეც მოხდა) და ერ-
თადერთ გამოსავალს იმაში ხედავდნენ, რომ
ნახევარფინალებსა და ფინალზე იმ ჩემპიონა-
ტისთვის აგებული 70-ათასიანი „სენტენა-
რიო“ სრულად შევსებულიყო და, რაც მთავა-
რია, მეზობელი არგენტინიდან ბევრი გულ-
შემატებული ჩამოსულიყო (შორეული ქვეყ-
ნებიდან, გასაგები მიზეზების გამო, ეს ვერ მო-
ხერხდებოდა). ამიტომაც ყველანარად ეცად-
ნენ, რომ ფინალში ურუგვაისა და არგენტი-
ნას ეთამაშათ. იქნებ ეს ლოგიკასთან ახლო-
საცაა და იქნებ სწორედ ამიტომაც დახუჭა
ჟიულ რიმებ ფრანგების დაჩაგვრაზე თვალი?!
ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი, თუმცა მე-
ტად საეჭვო, მაგრამ მაინც ვარაუდებია, ხო-
ლო ის, რაც ოთხი წლის შემდეგ მოხდა, რო-
გორც დასწყისში აღვნიშნეთ, 70 წლის შემ-
დეგ მოწმეთა უტყუარი ჩვენებებით დადასტუ-
რებული დანაშაულია:

უკვე ვთქვათ, რომ პირველ ჩემპიონატზე
ორგანიზატორებმა 13 გუნდს ძლივს მოუყარეს
თავი, მაგრამ მეორე ჩემპიონატის წინ ვითა-
რება რადიკალურად შეიცვალა — საჭირო
გახდა შესარჩევი შეხვედრების ჩატარება, რა-

თა მონაწილეთა ვინაობა გარკვეულიყო, თუმცა სამხრეთ ამერიკელებს ეს ამბავი არ შეხებიათ: თვით მსოფლიო ჩემპიონებმა — ურუგვაელებებმა და ბევრმა სხვა ქვეყანაში, სამაგიერო ბიოკოტით უპასუხეს ევროპელებს და იტალიაში არ წავიდნენ.

ჟიულ რომეგ მხოლოდ ბრაზილიელებისა და არგენტინელების დათანხმება შეძლო, თანაც არგენტინა განახვერებული შემადგენლობით ჩავიდა ევროპაში, მისი ორი უძლიერესი მოთამაშე კი სულაც „იტალიელი გახდა“ და აპენინელთა ნაკრების სახელით მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა! მაგრამ ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

„დრა(ჰ)მატული ჩემპიონატი“

ისევ შესარჩევ ტურნირს დაუგუბრუნდეთ და სამაგალითოდ შევიცარიისა და რუმინიეთის მატჩს მოვიყვანთ ერთ-ერთ ეპიზოდში, რუმინელთა მექარე უილაამ ზომბურმა თავში ძლიერი დარტემა მიიღო და გონება დაკარგა. მსაჯება შეცვლის ნება დართო. ეს 49-ე წუთზე მოხდა, მაშინდელი წესებით კი გუნდს ერთადერთი ცვლილების უფლება ჰქონდა, ისიც სწორედ ამგვრი ტრაგმის შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ მე-40 წელმდე. გარდა ამისა, რუმინელთა შემადგენლობაში ეთინიკურმა უნგრელმა, მაგრამ რუმინეთის მოქალაქეებმ, იულიუ ბარატკიმ ითამაშა, მაგრამ მას სამი თვით ადრე უნგრეთის ნაკრებში ჰქონია ნათამაშები. ფიფას წესებით კი ნაკრების წევრის იმ ქვეყანაში მინიმუმ საქ წელიწადს უნდა ჰქონოდა ნაცხოვრები და იმის მიუხდებად, რომ ეთნოკური უნგრელები ცოცელთვის წარმოადგენდნენ რუმინეთის ნაკრების ხერხემალს, შევიცარიელთა პროტეტის შემდეგ, ბარატკა ფიფაშ უცხოელად მიიჩნია, ის ზედეტტი ცხრა წუთიც არ აპატია რუმინეთს, რომლითაც მეკარის შეცვლა დააგვიანეს და ფრედ (2:2) დამთავრებული მატჩი წაგდად ჩაუთვალეს (0:2).

ეს მაგალითი იმად მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა — მაშინდელ ფეხბურთში არც ისეთი „ბარდაგი“ იყო, რომ იტალიელებსა და ბერძნებს „ზემოდან“ ნებართვის, ან თვალის დახუჭვის გარეშე გაეკეთებინათ ის, რაც გააკორეს.

ერთი სიტყვით, „რომაულ-ბერძნული შეგობრობა“ 700 ათასი ბერძნული დრაპმის (დღევანდელი კურსით ეს 5 მლნ დოლარია!) ოდენობის ქრომით გამოიხატა და იმ ფულით საბერძნეთის ფეხბურთის ხელმოკლე ფედერა-



ზოულ რომეს მასშე სახელობის ახალდამხადებული თასი წარუდგინეს

ციამ მშენები შენობა შეიძინა ათენში, სადაც 80-იანი წლების ბოლომდე მუშაობდა.

იტალიელებმა „ჩალიიჩი“ ჯერ კიდევ ორი წლით ადრე დაიწყეს — მუსოლინიმ პირდაპირი ბრძანება გასცა: იტალიამ ჯერ მასპინძლობის უფლება უნდა მოიპოვოს, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონობა! ნებისმიერ ფასად!!! ეს საქმე ჯონი მაურის მიანდო — ფაშისტური იტალიის მთავარ იდეოლოგს და მისი მოქმედება რომ „გაეპარვებინა“, იგი ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტადაც დაანიშვნინა.

სწორედ მაურო იყო დელეგაციის ხელმძღვანელი სტოკპოლმში, სადაც მისი „მოღვაწეობით“ იტალიამ უპრობლემოდ მოიპოვა მასპინძლის უფლება და მაურიც ოფიციალურად გახდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

გახდა და დაიწყო კიდეც ისეთი დარღვევაბისა და დანაშაულობათა კასკადი, როგორიც მანამდე არავის სმენოდა, მაგრამ ჩემპიონატის ჩაშლასა და მუსოლინის წყენინებას ფიფა მოერიდა, მით უმეტეს, რომ ურუგვაის ოთხი წლის წინანდელი მაგალითი სახეზე იყო — ეველა მცდელობის მიუხდევად, პირველი „მუნდიალი“ ფინანსური კრახით დასრულდა. აქ კი მუსოლინი თანხებს არ იშურებდა, რათა ჩემპიონატი სპექტაკლად და ზემად ექცია, რაც, ავტომატურად, ფაშისტური ხელისუფლების პროპაგანდასაც ნიშნავდა.

ზემოთ რუმინელთა დასჯა ვახსენეთ მათ ნაკრებში უნგრელი ფეხბურთელის გამოსვლის



ბენიტო მუსოლინი

გამო, აქ კი რა მოხდა? — წინა ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონის, არგენტინული ლუის მონტის (როცა „გაიტალიელდა“, ლუიჯი დაირქვა) მიერ არგენტინულთა რიგებში ნათამაშები ბოლო მატჩიდან, ფიფას მიერ დადგენილი სამი წელიწადი გასული არ იყო, ის კი ბერძნებთან შესარჩევ შეხვედრაში მონაწილეობდა.

ზუსტად ასეთივე დარღვევით (მას ერთი წლით ადრე უთამაშია უკანასკნელად არგენტინის გუნდში) ათამაშეს ენრიკე (იტალიაში ენრიკო) გუაიტა.

მესამე კი ბრაზილიელი იყო — ამფილოკიო მარკესი, რომელსაც დედა იტალიელი, გვრად გუარიზი ჰყოლია. ის „ხელდახელ“ აქციეს ფილიო გუარიზიდ და საწყალი ბერძნები ამ „მსოფლიო ნაკრებმა“ 4:0 გაანადგურა (კიდევ ერთი ბრაზილიელი „წესების სრული დაცვით“ ჰყავდათ ნაკრებში!).

კიდევ ერთი (ისევ რუმინეთ-შვეიცარიის თამაში გაიხსენეთ): შეცვლების წესიც „ფეხებზე დაკიდეს“ იტალიელებმაც და ფიფამაც: შესენების შემდეგ ნერეო როგოს (შემდგომში ცნობილი მწვრთნელი რომ გახდა) ნაცვლად ჯოვანი ფერარი გამოიყვანეს და მან გოლიც გაიტანა, ისევე როგორც მეორე „უკანონომ“ — ბრაზილიელყოფილმა ფილიომ.

უველავზე საოცარი ის იყო, რომ აღნიშნულს, შვეიცარიელთაგან განსხვავებით, ბერძნთა პროტესტი არ მოჰყოლია.

მეტიც — საპასუხო მატჩის წინ ბერძნებმა ფიფას ოფიციალურად შეუთვალეს, იტალიელებს „გადაეცით“, ნულა ჩამოვლენ, 5:0-ს მანც ვერ მიუგაბთ და „ენებდებით“ და ფიფაცაც... შვიდად მიიღო მანამდე გაუგონარი გადაწყვეტილება.

სამაგიეროდ, ორიოდე თვეში საბერძნეთის უქბბურთის ფედერაცია კონტა თვისში გადავიდა ათენის ცენტრში — ომონიის მოედანთან, ფილიის ქუჩის №1-ში.

1994 წელს კველაფერს ფარდა აქხადა. საბერძნეთის მაშინდელი ნაკრების ცოცხლად დარჩენილი, 90 წელს გადაცილებული ხეთი ფეხბურთელიდან ერთს საკუთარი სახელიც კი აღარ ახსევდა, რომება კი ერთხმად აღიარა — იტალიელებმა ქრომი მოგვცეს პირველი თამაშის დათმობისთვისაც და მეორეზე უარის თქმისთვისაც, რადგან ჩემპიონატამდე ცოტა დღიო რჩებოდა და არ უნდოდათ დამლლელ საზღვაო მოგზაურობაში დაქარვეთ ძალებით.

ლეონიდას ადრიანოპულოსმა, აქელევას გრამატიკოპულოსმა, არისტიდეს ქრიზაფორპულოსმა და ანდონიოს მიაკისმა გადაწყვიტეს, იმ ქვენად წასვლის წინ ცოდვები ამქვენად მოენანიებინათ და კველაფერი „დაუქვეს“: გრამატიკოპულოსმა, რომელიც ნაკრების შეკარეი იყო, ისიც კი დეტალებში გაიხსენა, მიღწნის რომელ სასტუმროში გადასცეს მას თანხის პირველი ნწილი — 400 ათასი დრამა ჩეკის სახით და სად მიართვა მან ეს ჩეკი საბერძნეთის ფედერაციის მაღალინოსანს.

ბერძენი ფეხბურთელების აღიარება იმპომაც არის სარწმუნო, რომ ეს მათი ინიციატივა კი არ ყოფილა, არამედ „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე ფეხბურთის ისტორიკოსთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა სიმართლის გაგება და ოთხეულმ ერთდღოულად, სხვადასხვა ადგილას უამბო მათ ეს ბნელით მოცული ამბავი.

როგორც ვთქვით, ფიფაში იტალიისთვის ჩემპიონობის ჩამორთმევისა და იმდროინდები ფინალისტის — ჩეხეთისთვის ტიტულის გადაცემის საკითხიც კი დადგა, მაგრამ ეს ამბავი მაღევე მიჩუმდა...

ვინ იცის, იქნებ „მოხერხებულმა“ იტალიელებმა (ისევე, როგორც მათმა წინაპრებმა ბერძნებთან) შეძლეს ჩეხებთან „საერთო ენის გამონახვა“?



		1 ქართლი განხილი გმილიადა 1866-1885 წწ.	2 ქავერი სამხრეთ აშტარში	3 უკანონის დყენებაქა
		4 იალას შეპი XVIII საუკანეში ... მაა აუმარი	5 სახლმწიფოს ერთ-ერთი სიმილია	6 წიგნია წიგნი
7 ბრძოლაში თავდაჯუმული	8 სამცხის მშრალია საგვარეულო წიგნება			
			9 ონდოველი განსამათლებე- ლია და ფილათისფილი	10 საფრანგეთის პრინცესნი 1981-95 წწ.
11 საქალაქო	12 დაკურთხო წევალი			
	13 საფრანგეთის დეილიალ ... უსტრილი	14 ძველი ქართული საგრძნო სახის ქართული		
16 კოლექტის ქრისტიანი ხამლიდა	17 მერიების პრეზიდენტი	15 ჩრდილოეთ- დამტკიცები აღიასი		19 ბასური ტერიტორიუ- ლი და კავკაცია
20 ობილისის ქრისტია მედლი უბანი	21 მერიების ჯაჭვის პრეზიდენტი	18 ქართველი ისტორიკოსი		
		22 მერიების შტატი		
23 ქედითი ჯრის ქ. სახლმწიფოს	24 მერიების მასტრი			

წინა ნომერში გამოვყენებული სკანორდის პასუხები:

1. ვეზიო;
2. გზირი;
3. მირანდა;
4. მირანდა;
5. კონკრეტის;
6. დაბა;
7. დაბი;
8. ოდიში;
9. მორალუსი;
10. ავგორეგი;
11. ტაო;
12. კვა;
13. სირ;
14. აითორდა;
15. ოდისეა;
16. ენგელის;
17. კალა;
18. კილიკია;
19. ტიტო;
20. კლანი;
21. კიო;
22. აბო;
23. გერილა;
24. კებე;
25. ნატო;
26. ფლორიდა. სურათზე: გამინგტონი.

კიდევაც დაიზრდებიან...



ქოლაგირის ციხე

თბილისიდან მარნეულის მიმართულებით ცენტრალურ გზატკეცილზე, ხელმარჯვნივ განთავსებულია მარაბდის ბრძოლის აღსანიშნავი მემორიალი. ამ ვრცელ ველზე, 1625 წლის პირველ ივნისს მოხდა ცირიბილი მარაბდის ბრძოლა. შაპაბას I-მა მარტყოფის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ განახლებული არმაა გმოგზავნა საქართველოში ქართლ-კახetiს სამეფოს გასანადგურებლად. ყიზილბაშთა რიცხობრივი უპირატესობა, მათი საბრძოლო შზადყოფნა და არახელსაყრელი საომარი მდებარეობა იყო ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი. ბრძოლის ველზე დაეცა 10

ტურისტული მარშრუტი:

- თბილისი-მარნეული — 35 კმ.
თბილისი-ქოლაგირის ციხესიმაგრე — 45 კმ.
თბილისი-ბოლნისი — 60 კმ.
თბილისი-ბოლნისის ხიონი — 70 კმ.
თბილისი-წელრუღაშენი — 75 კმ.
თბილისი-ქვეშის ციხე — 95 კმ.
თბილისი-დაბანისი — 110 კმ.



ათასი ქართველი და 14 ათასი ყიზილბაში. და-
ღუპულთა შორის იყვნენ: ცხრა ძმა ხერხეუ-
ლიძე, ცხრა მაჩაბელი და შვიდი ჩოლოყაშვი-
ლი.

სოფელ მარაბდის ეკლესიის ქზოში გან-
ისვნებს ცხრა ძმა ხერხეულიძე.

თბილისი მარნეულის გზატკეცილის სელ-
მარცხნივ აღმართულია ქართველი მოქანდა-
კის შერაბ ბერძენიშვილის არაჩვეულებრივი
ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“.

ქოლაგირის ციხე

ქოლაგირის ციხე, ანუ დედოფლის ციხე-

სიმაგრე, მდებარეობს ბოლნისის რაიონის სო-
ფელ ქოლაგირში, მდინარე ხრამის მარცხენა
სანაპიროზე.

ციხის აგების თარიღდად XVIII საუკუნის
დასასრულს მიიჩნევენ. 1801 წელს თვით და-
რუჯან დედოფლალი წერდა: „ქოლაგირის დი-
დი ციხე და გალავანი აკმინე... შემონახუ-
ლია წინასწარ შედგენილი პროექტი, რომლის
მიხედვითაც ეს ციხე აშენდა.“

ქოლაგირის ციხე ფეოდალური საქართვე-
ლოს ერთ-ერთი უკანასკნელი სიმაგრეთაგა-
ნია. იგი აგებულია 1788–1798 წლებში დარუ-
ჯან დედოფლის მიერ. ციხის დანიშნულება,
სამხრეთიდან ქვემო ქართლზე მძმავალი გზი-
სა და საჭირო შემთხვევაში, ახლომახლო
სოფლების მოსახლეობის დაცვა იყო. როდე-
საც მტრებმა ამ ციხესიმაგრის შენებლების
შესახებ შეიტყვას, ხელის შეშლა გადაწყვი-
ტეს. ამაზე აგების პროცესში არაერთი თავ-
დასხმის ფაქტი შეტყველებს. ხელშემშლელ
გარემოებათა გამო, საჭირო შექმნილა საგა-
გებო დაცვა, რომელიც მომხდეულს შეაკავე-
და.

ასეთ როტულ პირობებში აშენდა ქოლაგი-
რის ციხესიმაგრე, მაგრამ მას ქვემის დაცვი-
სათვის სამსახური ცოტა ხანს მოუწია. XIX
საუკუნის დამდგენ, ქართლ-კახეთის სამეფოს
რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქოლაგირის ცი-
ხემ, ისევე როგორც სხვა არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანმა თავდაცვითმა ნაგებობებმა, თავისი
ფუნქცია დაკარგა.

ქოლაგირის ციხე კვადრატულია და 2000
კემ ფართობი უკავა. ნაგებია დაუმუშავებე-
ლი შერჩეული ქვით. 6 მ სიმაღლის კედელი
ქვემოთ უფრო სქელია, ზემოთ კი – თხელი.
ე.წ. „სამრინილო ბილიკი“ გრის შემოუყვება
მთელ ციხეს კოშკების მეორე სართულის დო-
ნებზე. ციხის კუთხებში ცილინდრული კოშ-
კები დგას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის
კედლების ცენტრში თითო სწორგუთხა კოშ-
კა. პირველ მთაგანში მთაგარი შესასვლელია.
კუთხის ცილინდრული კოშკები ერთმანეთის
მსგავსია. სამი სართული საბრძოლო-
საცხოვრებელია, ხოლო ბანი მხოლოდ თაგ-
დაცვითი, სადაც განლაგებულია სათოფურუ-
ბი, სალოდები და საზარბაზნები. გალავნის
შიგნით შხოლოდ ერთი პატარა ეკლესიაა. ქო-
ლაგირის ციხეს აქეს ორი შესასვლელი. ამ-
ჟამად ორივე ფუნქციონირებს.

შენებლებს ციხის მორთვაზეც უზრუნი-
ათ. მთაგარი შესასვლელის ფასადებზე ლამა-



ბოლნისის სიონი

ზადაა გამოყვანილი მიჯაჭვული ლომების ბარელიეფები.

ამჟამად, ქოლაგირის ციხესიმაგრეში განთავსებულია მოქმედი დედათა მონასტერი.

ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონი უძველესი ქართული ტაძარია, იგი მდებარეობს ქვემო ქართლში, სოფელ ბოლნისში მდინარე ფოლადაურის ნაპირას.

ტაძრის ჩრდილოეთით ერთ-ერთი შესასკლელის თავზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, იგი აშენებულია 478-493 წლებში და მოპირკეთებულია ლამაზი ფირუზისფერ-მომწვანო ტუფის სუფთად გათლილი კვადრუბით. ბუნებრივია ასეთი მრავალმხრივი მნიშვნელობის მქონე ტაძრისადმი მეცნიერთა ინტერესი დიდი იქნებოდა. ბოლნისის უძველესი წარწერები პირველად იყნენ ჯავახიშვილმა და აკაკი შანიძემ შეისწავლეს. იყნენ ჯავახიშვილმა ისტორიული ცნობების შეჯამების შემდეგ დაადგინა ბოლნისის სიონის წარწერების ზუსტი თარიღი — V-VI საუკუნეების მიჯნა.

ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა. ისევე, რო-

გორც საერთოდ ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისათვის, ბოლნისის სიონისთვისაც დამახასიათებელია ინტერიერის მკაცრი მონუმენტურობა — მთავარი კურადღება შიდა სივრცის მხატვრულ გადაწყვეტას ექცევა, ფასადთა მნიშვნელობა ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანია. ტაძრის ინტერიერი დატვირთულია ცხოველთა და მცენარეთა ორნამენტებით. ფრინველთა და ცხოველთა ერთ ნაწილს ქრისტიანულ რელიგიაში სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. მაგალითად, ფარმაგანგი — სულას უკვდავების განსახიერებაა, ირემი — მორწმუნე ადამიანის სიმბოლოა. აგრეთვე ეხვდებით წარმართულ სიმბოლოებსაც — ხარის თავს, რომელიც რქებს შორის ჩასმული ჯვრითაა „გაქრისტიანებული“.

ამ პერიოდში იხვეწება ჯვრის სხვადასხვაგარი გეომეტრიული გამოსახულება. ამის ერთგვარი ნიმუშია ბოლნური ჯვრის სასულით ცნობილი, წრეში ჩასმული, ბოლოებგაფართოებული ჯვარი.

ბოლნისის სიონი სხვა მხრივაც საყურადღებო ძეგლია. აღმოსავლეთის ფასადზე, საკურ-

თხევლის სარკმლის თავზე, ბოლნური ჯვრის გარშემო შესრულებულია რვასტრიქონიანი წარწერა, რომელშიც იხსენიება შშენებლობის მოთავე დავით ეპისკოპოსი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე წარწერა (რომელიც ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ინახება), რომლის თავი და ბოლო დაკარგულია, დაღვენილია ბოლნისის სიონის ბაზილიკის აგების ზუსტი თარიღი. ეკლესიის შენება დაუწყიათ ირანში პეროზის (459-484 წწ.) მეფობის მეოცე წელს 479 წელს. შშენებლობა გაგრძელებულა 15 წელიწადს. მესამე წარწერაში კი მოთხრობილია ორი უცნობი პიროვნების მიერ კარიბჭის შებმის ამბავი. წარწერები შესრულებულია ასომთავრულით.

ჟამთა სიავემ და მტრის თავდასხმებმა ბოლნისის სიონსაც სერიოზული კვალი დააჩნია. ტაძარი საფუძვლიანადაა რესტავრირებული. XVII საუკუნეში მარიამ დედოფლისა და როსტომ მეფის ბრძანებით, აღადგინეს გადახურვის კამარები საბჯენი თაღებით, გაჭრეს დასავლეთ შესასვლელი. XVII საუკუნის ბოლო წლებში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ტაძარი კვლავ შეაკვთა, მოხატა და სამხრეთ-დასავლეთით სამრეკლო მიაშენა.

1936-1939 წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად ძეგლი შეაკეთეს, გადახურეს და გამაგრეს. 1967-1969 წლებში ძეგლზე ჩატარდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები. უძველესი წარწერის პირი, რომელიც ჩამოვარდნილი იყო, ჩადგეს თავის ადგილას და დააგეს ქვის ახალი იატკა. ბოლნისის სიონში გაჩაღებული იყო მწიგნობრული საქმიანობა. ცნობილია ბოლნელ ეპისკოპოსთა ინიციატივით დამზადებული ხელნაწერები.

X-XI საუკუნეებში იქ მოღვაწეობდა იოანე ბოლნელი.

ტუღრულაშვერი

წუღრუღაშენი, XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლია. ეს გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს ბოლნისის რაიონში. ცენტრალური გზატკეცილიდან იგი თითქმის 10 კილომეტრითაა მოშორებული. ტაძარი მდინარე ფოლადაურის ხეობის მარჯვენა მხარეს დგას.

წუღრუღაშენის ტაძარი მრავალი წლის განმავლობაში უკაცრიელი ყოფილა. ამ დროს ძეგლს მოერდვა სახურავი, გუმბათის კონუსი და ბევრი სხვა დეტალი.

წუღრუღაშენის ტაძარი





ტაძრის ამგებისა და თარიღის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. მცირერამ, რაც ტაძრის ისტორიას გვახსენებს, მისი წარწერებია. ძეგლზე სამი ვრცელი წარწერაა.

ჩვენდა საგალალოდ, არც ერთი წარწერა არ მიუთითებს ზუსტი აგების თარიღსა და ამგების ვინაობაზე. ოუმცა, მეცნიერთა აზრით, წარწერებში მოხსნიებული „მეფეთა მეფე გიორგი“ ლაშა-გიორგია, ე.ი. ძეგლი აშენებულია თამარ მეფის ძის მოღვაწეობის დროს 1212-1222 წლებში.

XVIII საუკუნეში გახუშტი ბატონიშვილი წულრუდაშენის ეკლესიას მონასტრად იხსენიებს. იგი ამ ღროისათვის ჰქვე გაუქმებული ყოფილა. „პირისპირ ამ ეკლესიასა (ბოლნისის სიონი) არის მონასტერი წულრუდაშენისა, გუმბათიანი, მშვენიერად ნაშენი მშვენიერს ადგილას და აწ უქმ არს“.

ეკლესია გარუდნ გეგმით ბეთანია-ქვათა-ხევ-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება — სწორკუთხაა, შიდა სივრცე კი ჯვრული. შიდა სივრცე უფრო მცირეა და გუმბათის ყელიც აზიდული პროპორციებისა აქვს. ჯვრის მკლავები დასვლეთით და აღმოსავლეთით გრძელია, სამხრეთით და ჩრდილოეთით კი მასზე მოკლე.

ეკლესიის სამხრეთ კედელში, კარის გვერდით არის ნიში, ე.წ სამალავი (დაახლოებით იმ სივიწროვის, ხელი რომ შეეტიოს), სადაც ჩადგმულ ქაზე გამოსახულია ბოლნური ჯვრი მოჩუქურობებულ წრეში და ქართული წარწერა.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე

ხშირად ვხვდებით როგორც შინაურ, ისე გარეულ ცხოველთა გამოსახულებებს, ამის ნათელი მაგალითია ბოლნისის სიონის რელიეფური გამოსახულებებიც. ვხვდებით ცხვრის, ხარის, ლომისა და ირმის ფიგურებს, მაგრამ ჯერჯერობით არსად შეგვინაშნავს სახედრის გამოსახულება. წულრუდაშენის ტაძარზე ამ ცხოველის გამოსახულება ტვირთით შეიძლება იმის მომასწავებელი იყოს, რომ სახედრით ზიდავდნენ ტაძრის მოსაპირებელ ქვებს.

წულრუდაშენის ტაძარი ბოლნისის ეპარქიას ეკუთვნის და მასში მამათა მოქმედი მონასტერია.

ძალის ციხე

ქვეშის ციხე მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონის, სოფელ ქვეშის მახლობლად, მდინარე მაშვერას მარცხნია სანაპიროზე.

ქვეშის ციხე შეა საუკუნეების ციხესიმაგრეა და აშენებულია ველზე ამოზიდულ, თითქმის ყოველი მხრიდან მიუგალ მაღალ კლდეზე. კლდის თხემი მთლიანად შემოზღუდულია გაღავნით. ციხის ერთადერთი შესასელელია კლდეში გაჭრილი გვირაბი. დღისათვის შემორჩენილია გვიან შესაუკუნეებში აგებული კედლები. გაღავნის საერთო სიგრძეა 220 მეტრი, სიმაღლე მერყეობს 1-დან 8 მეტრამდე.

ქვეში მდებარეობდა სამშეილდიდან ტაძრისა და ზურტაკეტ-ჯვახეთის გზასაყარჩე. ციხესიმაგრე აქ წინაფეოდალური ხანიდან უნდა არსებულიყო. ისტორიული სოფელ ქვეშისა და თავად ციხის ტერიტორიაზე შემორ

ჩენილი ეკლესიები, სავარაუდოდ, ადრინდელი ფეოდალური ხანისაა. VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენებულია ქვეშაფორი, ე.ი. ქვეშის ხევი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც ქვეში უნდა ყოფილიყო. IX საუკუნეში, დმანისის ქალაქად მოხსენიების შემდგა, ქვეშმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. XII საუკუნის ბოლოს ქვეში ეკუთვნოდა მსხვილ ფეოდალს, მსახუროვებულეს ვარდან დადიანს, მაგრამ 1191 წელს თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობისათვის მას ქვეში ქართლის სხვა ციხეებთან ერთად ქვეშიც ჩამოართვეს. სამეფო ხელისუფლებამ ქვეში თორელთა ფეოდალურ საგვარეულოს გადასცა. თორელთა ამ შტომ ქვეშელთა სახელი დაიმკვიდრა. მოგვანებით ქვეშელები უწოდეს თორელთა განაყოფ შტოს — ჯავახიშვილებსაც, რომელიმაც 1468 წელს მეფისგან გმორისყიდეს თავიანთი ძველი სამამულო — ქვეში. 1573 წელს ქვეში გამაპმადიანებული დაუდ-ხანის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. ამ პერიოდში იგი საბარათიანოში შედიოდა. XVI-XVIII საუკუნეებში ქვეშის ციხე საორბელიშვილოს მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო. XVIII საუკუნის 40-იან წლებში სარდალმა და მსაჯულ-თეხუცესმა ქაიხოსრო ორბელიშვილმა ციხე განაახლა.

დმანისი

დმანისი მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, თბილისიდან სამხრეთ - დასაცვლელთით, კლდოვან ჭრიცხევე, მდინარეების მაშვერასა და ფინეზაურის შეერთების ადგილას.

დმანისის ტერიტორიაზე VI-VIII საუკუ-

ნებში მცირე დასახლება იყო, საეპისკოპოსო კათედრალით.

როგორც ქალაქი, წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება. ამ დროს მას არაბები ფლობდნენ. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან სელჩუკებმა დაიპყრეს. იგი 1123 წელს დავით IV აღმაშენებელმა გაათავისუფლა. დმანისი განსაკუთრებით დაწინაურდა XII-XIII საუკუნებში. შემდეგ ბევრჯერ ქცეულა უცხოელთა თავდასხმის საგნად და საბოლოოდ დაცარიელდა XVIII საუკუნეში. ქალაქი ორი ნაწილისგან შედგებოდა: საკუთრივ ქალაქისაგან (კონცხე), რომელსაც 13 პეტარი ეჭირა და გარეუბნისაგან მის სამხრეთით, ფინეზაურის ორივე ნაპირზე. საგნგებოდ იყო გამოყოფილი ციტადელი. გათხრების დროს აღმოჩნდა ქუჩების ტრასა, ბასტიონები, ხელოვნური მოწიაქება გასასვლელები, აბანოები, სამეურნეო ნაგებობათაგან მთავარია VI საუკუნის სიონი — სამეკლესიანი ბაზილიკის ერთი უმთავრესი ნიმუშთაგანი. ლაშა-გიორგის დროს, ეკლესიას დასაცვლელთის მხრიდან მიაშენეს მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე. მასზე საინტერესო წარწერებია. ერთ-ერთში მოხსენებულია მეფე ლაშა-გიორგი. ეკლესიის გვერდით სამრეკლო და უფრო გვიანდელი მცირე ეკლესია დგას. XVI საუკუნიდან ქალაქი დაცემის გზაზე, მოიშალა ეკონომიკური ცხოვრება, შემდეგ კი სულ გაპარტაზდა და გაუკაციოელდა.

დმანისის აღქილოვანიური შესწავლა 1936 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1983 წელს შუა საუკუნეების ორმოებში ნაპონ

დმანისის ნაქალაქარი





აღვილი, სადაც აღმოჩნდა
უძველესი ადამიანის ნაშთები

ქველებში აღმოჩნდა მარტორქის კბილი, რომელმაც იმავე წელს ნაპოვნ სხვა ნამარხებთან ერთად საშუალება მისცა მეცნიერებს განესაზღვრათ ამ შრეების გეოლოგიური ასაკი. ნათელი გახდა, რომ დმანისში შუა საუკუნეების ნაგებობების ქვეშ ადრეული ადამიანის ცხოვრების ნაშთებია შემონახული. დმანისში აღმოჩნილი დასაგლეთ კერაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთი 1999 წლამდე ქვედა ყბით იყო წარმოდგენილი. იყო *Homo erectus*-ის ჯგუფს მიაკუთხნეს. ქვედა ყბა გამო-

ზუგა და შთა



ირჩევა არქაული და ევოლუირებული ნიშების იშვიათი შეხამებით. 1999 წელს დმანისში აღმოჩნდა ჰომინიდის 2 თავის ქალა. ადამიანი, რომელიც დმანისში ცხოვრობდა კერაზიის ერთ-ერთ უძველეს ჰომინიდადა აღიარებული. მისი ასაკი 1,8 მლნ წლითაა განსაზღვრული.

ამჟამად, დმანისში ჰომინიდის ხუთი თავის ქალაა ნაპოვნი. მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე ჰომინიდის ამდენი ნაშთი ერთად არ აღმოჩნილა. ამ შედეგებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოიპოვა, რადგან შეცვალა მანამდე მტკიცედ დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების განსახლების შესახებ. აქ აღმოჩნილი თავის ქალების რეკონსტრუქციით „შექმნილ“ ჰომინიდებს სახელი დამთვალიერებლებმა შეურჩიეს და მათ შთიასა და ზეგას სახელით ვიცნობთ „მოსანათლია“ ბოლო წლებში რესტავრირებული გოგონას გამოსახულება...

2007 წლის 24 ოქტომბრიდან დმანისის არქეოლოგიური ძეგლები შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

დმანისში არის ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.